

ბიძინა ივანიშვილი: yvel gan, mTel saqarTvel oSi gel odebiT yvel as! TiToeul i Tqvanganis monawil eoba aris Zal ian mniSvnel ovani!

**7 ივნისს გატაისი გველ ოდება!**

# საერთო გაყვითი

№25 (209) • 30.V.-5.VI.2012 წელი • გაეროს ყოველ ოთხშაბათს • www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com • შპსი 1 ლარი



არ შეიძლება ქართველებს ჰკადრო, რომ სააკაშვილის ეშინიათ!

მე გპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ თქვენთან ერთად, რათა ყველამ ერთად ავიხდინოთ ჩვენი ოცნება!



**ჩაწო ანაშნკალი:**

mi vmarTav mTel qarTvel obas, rom 2012 wl is 27 maiss daerqvas I azare, radgan am dRes saqarTvel o fexze wamodga!

**ხათუნა ლაზარია:**

Tbil isma 27 maiss sakuTari xel isufI eba ukve airCia

**იჩაკლი ალანანი:**

arCevnebi CemTvis dRes ukve Catarebul ia

**პანბანბ ხარცილანა:**

27 maisma daamtkica, rom qarTvel i eris damoneba SeuZI ebel ia!

**ქანი ქალაქი:**

mi Sa, unda iswavi o wasvl a da ara gaqceva...

ISSN 2233-3983



9 772233 398001

### ჩეჩენების სეკი

დიდება შენდა, უფალო! — აი, ეს სიტყვები აღმოხდა გაცემულს და გაოგნებულს 27 მაისის აქციაზე მისული ასიათასობით ქართველი რომ დავინახე.

გაცემული და გაოგნებული კი იმიტომ ვიყავი, რომ ნამდვილად არ მეგონა, თუ ამდენი ადამიანი მოვიდოდა ამ აქციაზე.

მართლმე კი არა, ბევრს, ძალიან ბევრს არ ვგონა, ამდენი გულანთებული და უშიშარი ქართველი თუ ცხოვრობდა ჩვენს გვერდით.



დიდება შენ, დიდო ქართველო ხალხო!

მადლობა შენ, დიდო ქართველო ხალხო, მსოფლიო რომ გააოცე და გააოგნე, შენი უეტარი აზვითობით.

27 მაისს გაცემულნი და გაოგნებულნი ვიყურებდნენ ალბათ ის სატანის მოციქულებიც, შენი გაქრობა, შენი დამორჩილება და დაჩოქება რომ დაგეგმეს თავიანთ საიდუმლო ლაბორატორიებში და მაშინ, როცა ეგონათ, რომ უკვე დაგაჩოქეს და დაგამორჩილეს, შენ კვლავ აღსდექ მთელი შენი აზოვნებით და სიდიადით.

27 მაისს ლაზარე უნდა ეწოდოსო — ამბობს რეზო ამაშუკელი.

ვეთანხმები ამ მშვენიერ იდეას — 27 მაისს ქართველი ერთ მართლაც ლაზარესავით აღსდგა და ამიერიდან მისი დაბრუნება იმ სარკოფაგში, რომელსაც მას სამუდამო განსასვენებლად უმზადებდნენ, შეუძლებელია.

ქართველი ერის დამონების გეგმა ჩავარდა!

ქართველი ერის დაჩოქების გეგმაც ჩავარდა!

ქართველი ერის გადასხვაფერების და გადაკეთების გეგმაც ჩავარდა.

— 27 მაისს სააკაშვილს უნდა ვაჩვენოთ, როგორები ვართ ქართველები! — ბრძანა დიდმა ქართველმა, ქართველთა დიდი იმედის შემოქმედმა და ავტორმა ბიძინა ივანიშვილმა.

ჰოდა, აჩვენეს კიდევ ქართველებმა შინაურ თუ გარეულ მტერს ვინ არიან ქართველები.

დიდება შენ, ქართველო ერო — ამაყო და თავისუფალო, უშიშარო და, შეუპოვარო, დაუმარცხებელი და დაუმორჩილებელი!

## პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადება



საზოგადოებრივი მაუწყებლის მისამართით ჩემს მიერ გამოთქმულ შენიშვნებს ამ ტელევიზიის მესვეურთა მხრიდან პასუხად მოჰყვა ცილისწამება, თითქოს, მე, მედიაზე და, კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე „ზეწოლის“ კამპანია მაქვს გაშლილი და საზოგადოებრივ მაუწყებელს ვაშანტაფებ, როცა ვაცხადებ, რომ საზოგადოების ფულით დაფინანსებული ტელევიზია თავის სათანადო მოვალეობას უნდა ასრულებდეს და არ უნდა ემსახურებოდეს ტყუილის შექმნასა და ტირაჟირებას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადებასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ჩემი შენიშვნა ეხებოდა მხოლოდ იმას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს საზოგადოების ინტერესების გამომხატველი და არა რომელიმე ხელისუფლების ნების აღმსრულებელი და მსახური.

მე და ჩვენი კოალიცია „ქართული ოცნება“ ვპირდებით ქართველ საზოგადოებას, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხის სამსახურში ჩადგეს და მისი სარედაქციო დამოუკიდებლობა გარანტირებული იყოს. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა თითოეული ჟურნალისტი იყოს თავისუფალი, დაცული, ვეღარავინ აიძულოს ისინი მხოლოდ დიქტორის როლში იყვნენ და აღარ მოუწიოთ რომელიმე ერთი პოლიტიკური გუნდის ინტერესების გატარება.

ჩვენ პირობას ვაძლევთ ჩვენს ხალხს, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს ამ მაუწყებლისადმი ნდობა, იგი რეალურად გახდეს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების გამომხატველი და იყოს ნამდვილი საზოგადოებრივი მაუწყებელი.

### qarTvel mveral Ta mi marTva

### koal icia `qarTul i ocnebis- I iders biZina ivaniSvi l s

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი კატასტროფული (გაუსაძლისი) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, ქართველ მწერლებს დღეს ვაკისრებს იმის ვალდებულებას, რომ მოგმართოთ თქვენ, — საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ იმედს, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადეთ ამ ხელისუფლების ავტორიტეტულ-ტირანიული მმართველობის მთელი სიმუხთლე და ვერაგობა! თქვენ, ვინც წლების განმავლობაში საქართველოში აშენებდით ტაძრებს, თეატრებს, მუზეუმებს, სკოლებს, აშენებდით ქართული სახელმწიფოებრიობის ინფრასტრუქტურას და სააკაშვილი მხოლოდ ლენტეხის ჭრიდა, უნგაროდ ეხმარებოდით სპორტსმენებს, მეცნიერებს, ხელისუფლების მიერ „ჩარეცხილად“ გამოცხადებულ კულტურისა და ხელოვნების დეველოპერებს და თვით სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებსაც კი! თქვენ, ვისაც ქვეყნის წინაშე უდიდესი დამსახურების მიუხედავად, უკანონოდ, დაუსაბუთებლად, ერთი კაცის აზრებით ჩამოგართვეს უფლის მიერ ნაბოძები საქართველოს მოქალაქეობა, უკანონოდ დააყარაღეს თქვენი ბანკი, დააბატონეს და ოფისებიდან გაიძლიერეს თქვენი მხარდამჭერები და ა.შ.

ამ დროს საზოგადოების მხრიდან დუმილი და უმოქმედობა სამშობლოს ღალატის ტოლფასად მიგვაჩნია... უპირველესად მწერლობას არა აქვს გარუშების უფლება! დასაბამიდან ჩვენი ერის ცხოვრებაში ქართულ სიტყვას და მწერალს ყოველთვის დიდი მისია გააჩნდა, რადგანაც მწერლობა იყო ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირებულებების დამცველი და მატარებელი; რომ არა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი ზნეობრივი სამოქალაქო კონსტიტუციაა და მასზე იზრდებოდნენ თაობები, რომ არა ილია ჭავჭავაძე, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ხმაღამოდებუ-

ლი იბრძოდა ერის გამოსაღვივებლად და გადასარჩენად და, რომელმაც დაუფარავად, გულახდილად განაცხადა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციურსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“, მათ გარეშე საქართველო შეიძლება აღარც ყოფილიყო!

მე-20-ე საუკუნეში მრავალჯერ ეცადნენ ქართველი მწერლის „მოთვინიერებას“, მისი სახელის დაკნინებას, რათა მდროვე პოლიტიკანებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისათვის თავისუფალი და უკონტროლო ასპარეზი ჰქონოდათ და ეს ნაწილობრივ შესძლეს კიდევც!...

დღესაც იგივე გრძელდება: საქართველოს არაეროვნული, „თავისუფლების ინსტიტუტში“ და „სოროსში“ გამოზრდილი „ნაც-ულიტა“ ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს მწერლობის „ჩასარეცხად“: ხელი-სუფლებაში მოსვლის დღიდანვე მათ გააკეთეს ის, რაც კომუნისტებსაც არ გაუკეთებიათ — 500 მწერალი უკანონოდ გამოაძევეს მწერალთა კავშირის საკუთარი სახლიდან და ახლა ისინი, სხვა შენობაში შეკედლებულნი, იმედით უყურებენ ქართულ პოლიტიკაში ახალი ძალის გამოჩენას! დახურეს დიდი სამწერლო ისტორიის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და წაართვეს საკუთარი შენობა, ასევე გააუქმეს ჟურნალები „მნათობი“, „საუნჯე“, ახალგაზრდული ჟურნალი „ნობათი“, ნორჩი თაობის საყვარელი ჟურნალი „დღლა“. ასპარეზი მიეცათ ხელისუფლების კარის „მწერლებს“, „მოღვაწეებს“, „არასამთავრობოებს“, „პოლიტიკურ მიმომხილველებს“ და ა.შ. ამ გაჭირვებამ და ცხოვრებისეულმა კატაკლიზმებმა, ერის ბედზე დარდმა იმსხვერპლა არაერთი ნიჭიერი მწერალი: თავი მოიკლეს დავით მჭედლურმა, ნოდარ შამანაძემ, ტაგუ მებურიშვილმა, ბადრი გუგუშვილმა, შოთა და გოგიტა არაბულემა!... დღეს არაერთი მწერალი და

კულტურის მოღვაწე შიმშილით სიკვდილისთვისაა განწირული!

თითოეული ჩვენთაგანის ვალია, განგაშის ზარები ჩამოვრეკოთ საქართველოში და ამ საქმეშიც მწერლობამ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას... როგორც ეს იყო წინა საუკუნეებში...!

ჩვენ იმედი გვაქვს და გვაჯერა, საქართველოს გადასარჩენად შექმნილი კოალიცია, „ქართული ოცნება“, ჩვენი დიდი წინაპრების იდეალების დამცველი და გამტარებელი იქნება და ამ საშვილიშვილი საქმეში სრულიად საქართველოს მოსახლეობა, კულტურისა და ხელოვნების ჭეშმარიტი მოღვაწეები და მათ შორის ქართველი მწერლებიც ერთად დავდგებით, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს კანონიერად, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა, რათა ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს სამომავლოდ გაერთიანებული, გაძლიერებული, დემოკრატიული და სამართლიანი, სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული საქართველო დაუვუტოვოთ, სადაც ყველა ღირსეულად იცხოვრებს!...

ჭაბუა ამირაშვიდი, რეზო ამაშუკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ გვაშვილი, ნოდარ ჭუღუიანი, თამაზ ფიფიანი, ბაქათი არაბული, ციალა არაბული, ანზორ აბულაშვილი, კობა არაბული, ვაჟა ბიბაშვილი, ჯემალ დავლიანი, თამარ ჯავახიშვილი, რეზო კვიციანი, ლაშა ნადარეიშვილი, მარიკო საღლიანი, ვახტანგ ხარჩილაძე, ვაჟა ხორნაბუღი, ზაურ კალანდია, თამარ ჩალაბაშვილი, რენე კალანდია, ვაჟა ჩორდანი, მისო მორჩილაძე, ნოდარ ხუნდაძე.

**„საერთო გაზეთი“**  
 მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე  
 გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“  
 მის: თბილისი, ალბათინის ქ. 164;  
 ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97  
 რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხალხმდევანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი წვირის ვალში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

# Cven viwyebT!

## ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის ტექსტი 2012 წლის 27 მაისის აქციაზე



ჩემო საყვარელო ხალხო, მოგესალმებით!

ბედნიერი ვარ, რომ თქვენ გვერდით, საქართველოს მოქალაქეების, ჩვენი სამშობლოს გვერდით ვდგავართ!

საქართველოს გარდა მე სხვა სამშობლო არ გამაჩნია! მე საქართველოს მოქალაქეობა თქვენ უკვე მომანიჭეთ! მე საქართველოს მოქალაქე ვარ, რადგან არავინ მიყვარს ისე, როგორც ჩემი ხალხი, ჩვენი საქართველო!

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ერთად ვიწვევთ ბრძოლას ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული საქართველოსთვის!

დღეს ჩვენ აქ შეგვეკრიბა პასუხისმგებლობა ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე. ჩვენი ერთობა, ჩვენი სიმრავლე ადასტურებს იმას, რომ ფუჭად არ ჩაუვლია ჩვენი წინაპრების ბრძოლას და თავდადებას. გავიხსენოთ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის მებრძოლი გმირები. გავიხსენოთ, აი, აქ, ამ მოედანთან ახლოს, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულები. გავიხსენოთ ისინიც, ვინც შარშან 26 მაისის დამეს ხელისუფლების გაუგონარი ძალადობის მსხვერპლი გახდნენ. მოდი, წუთიერი დღემილით პატივი მივავით მათ ხსოვნას...

**ჩვენი ოცნება ყოველთვის იყო ძლიერი, განვითარებადი, ბედნიერი საქართველო. ჩვენი ოცნება იყო ძალაში ჩვენი სახელმწიფო, როგორც თავისუფალი ადამიანების საზოგადოება, სახელმწიფო, სადაც მისი ყოველი მოქალაქე თანაფარობით განისაზღვრება, სადაც პატივს სცემენ ადამიანის ღირსებას და ყველას აქვს საშუალება, საკუთარი ნიჭით და შრომით მიიღონ წარმატება.**

ასეთი იყო ჩემი ოცნება და ასეთად რჩება დღესაც. მიუხედავად ცხოვრება, შეძლებისდაგვარად, ვცდილობდი, ყოფილიყავი არა რომელიმე ხელისუფლების, არამედ ქვეყნის სამსახურში; ჩემი რესურსების გამოყენებით ხელი შემიწყო სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის, ვცდილობდი დაეხმარებოდა ადამიანებს გარდამავალი პერიოდის სირთულეების გადატანაში, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ამ გარდამავალი პერიოდის დასრულებას არა და არ დაადგა საშუალება.

იცვლებოდა ხელისუფლება, მაგრამ ქვეყანა ერთი ჩიხიდან მეორე ჩიხში შედიოდა. ასეა დღესაც, ამ მოჯა-

დობულ წრეში ტრიალი უკვე კრიტიკულ ზღვრამდე მივიდა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ გვყავს უგუნური მმართველი, რომელიც დღით დღე კარგავს საღაზრს! ამას ყოველი ჩვენგანი კარგად ხედავს. ხედავენ ისინიც, ვინც ჯერ კიდევ იძულებულნი არიან შეასრულონ მისი უკანონო, ხშირ შემთხვევაში, ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები!

ჩვენ კარგად ვიცით, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე. მე ნათლად დავინახე, რომ ხელისუფლების უგუნურება იქამდე მივიდა, რომ ის უკვე სერიოზული საფრთხეა ქართული სახელმწიფოსთვის. მე დავინახე, რომ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ყველანი სამშობლოს დავკარგავთ.

ამიტომაც, პოლიტიკაში ყოფნა, პოლიტიკური ბრძოლა მმართველი რეჟიმის შესაცვლელად, ჩემი სურვილი კი არ არის, არამედ ჩემი მოვალეობაა. ეს არის თითოეული ჩვენგანის, საქართველოს ყველა მოქალაქის მოვალეობა, ეს არის ჩვენი ღირსების საქმე!

საპარლამენტო არჩევნები, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს, ყოფნა-არყოფნის საკითხია ჩვენი ქვეყნისთვის; ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! თუმცა, გამარჯვებისთვის მართო სურვილი არ კმარა, გამარჯვებისთვის არ კმარა თავდადებული შრომაც კი, გამარჯვებისთვის არ კმარა არც მხოლოდ თავგანწირვა, გამარჯვებისთვის აუცილებელია კარგად გააზრებული, მკაფიო გეგმა, რომელიც სურვილსაც, თავგანწირვასაც და შრომასაც ერთიან კალაპოტში მოაქცევს და ერთი მიზნისკენ მიმართავს.

მიზნის მისაღწევად პროცესის თავიდან ბოლომდე გააზრება და დაგეგმვა ბუნებაში მაქვს, ეს ჩემი ხასიათია. ჩემი პირველი განცხადებებიდან 7 თვე გავიდა და გარწმუნებთ, რომ ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც გეგმავდი და გააზრებული მქონდა.

ამ გააზრებული გეგმით მოვედით დღემდე და, გარწმუნებთ, დღეიდან პროცესები შეუქცევად ხასიათს მიიღებს, უკვე შეუძლებელია დაწყებული პროცესების შეჩერება, მით უფრო, ამ პროცესების შემობრუნება. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ეს ბრძოლა აუცილებლად ბოლომდე მივა და ჩვენი გამარჯვებით დასრულდება!

გასული შვიდი თვის განმავლობაში ჩვენ შევძელით ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ერთ გუნდად გაერთიანება. და ეს, არც ისე ადვილი იყო. ჩემი კოლეგები უნდა დამერწმუნებინა, რომ დროებით გადავდით ყველა სადავო საკითხს და, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმებულიყვენ ერთიან პლატფორმაზე.

ამ თვეების განმავლობაში ჩვენმა გუნდმა უზარმაზარი სამუშაო გასწია. ჩამოყალიბდით პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“, ჩვენ შევქმენით და მთელ საქართველოში შევქმენით რეგიონალური სტრუქტურები - შტაბები. ყოველთვის ამას ჩვენ ვაკეთებდით ხელისუფლების მხრიდან ისტერიული ძალადობისა და უბედურეობის საპატივსაცემად. ჩვენ ეს შევქმენით, რადგან ამ ბრძოლაში ჩვენ

მხარესაა ქართველი ხალხის ნება, რომელსაც არ სჩვევია მონობაში ცხოვრება. ჩვენ მხარესაა თანამედროვე პოლიტიკური და კულტურული ტრადიცია, ჩვენ მხარეს არიან ქვეყნები, რომლებმაც დემოკრატია და თავისუფლება სახელმწიფოს ფუნდამენტში ჩადეს. ხოლო ჩვენ წინააღმდეგ არის ერთი მშინარა კაცი - ტრადიციას, თანამედროვეობას, რეალობას მოწყვეტილი, რომელსაც სიცრუისა და ძალადობის გარდა არგუქმენტი აღარ დარჩენია.

ჩვენ დღეს ვიწვევთ წინასწარწინა კამპანიას და მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ბრძოლაში თქვენ გვერდით ვართ, საქართველოს მოქალაქეების გვერდით, სამშობლოს გვერდით!

ჩვენი მიზანია არა ვინმეს დამარცხება, არამედ საქართველოს გამარჯვება.

დღეს ჩვენ ვიწვევთ ბრძოლას იმისთვის, რომ მკვეთრად შევცვალოთ საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ.

**მე პატივს გცემთ, რომ გარდა ბიძინა ივანიშვილისა, რადგან გაუმარჯობდა შრომობ, პარტია ვინც, რას ნიშნავს მრავალპარტიანი ოჯახის გააერთიანება. გლოვს შრომის ფასიც ვინც, სწავლასთან ერთად შრომის სიმიმედ გაომიციდია. მიიმი შრომის ფასად ბიზნესში დიდ წარმატებასაც მივალფი და კითხვინდისიერებას შემინარჩუნე, თუმიც, ეს არ იყო ადვილი საქმე.**

ისიც კარგად ვიცი, რომ ერთი ადამიანი ვერ იქნები ბედნიერი, რაც არ უნდა წარმატებული იყო, თუ შენს სამშობლოს მრავალი გასაჯირი ადგას.

სწორედ ამიტომ, თავს უფლებას მივცემ და ხელისუფლების მაღალი ემელონებისა და ქართველი ბიზნესმენების გასაგონად ვიტყვი: ვერანაირი პირადი მატერიალური კეთილდღეობა ვერ მოგანიჭებს ბედნიერებას, როდესაც შენი ხალხი უბედურია, როდესაც მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, როდესაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ბანკის ვალი ახრობს, როდესაც გისოსებს მიღმა უდანაშაულო ადამიანები იტანჯებიან, როდესაც შენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია. ეს უნდა დასრულდეს!

**დღეს ჩვენი მიზანია ბრძოლა იმისთვის, რომ სახელმწიფოს მთავარი ღირებულება და საზრუნავი გახდეს ადამიანი და რომ ყველა მოქალაქე თანაფარობით განისაზღვრება.**

ჩვენ ვიწვევთ, რათა დაეამკვიდროთ თავისუფალი ბიზნესგარემო, ხელი შევეწყობთ მეწარმეობის განვითარებას, შევექმნათ საკუთრების ხელშეუხებლობისა და დასაქმებულთა სოციალური დაცვის გარანტიები, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს უმუშევრობის დაძლევისა და სამუშაო ადგილების შექმნას.

უმუშევრობის პრობლემა მოკლე ხანში მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ყველას უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობის შესატყვისი სამსახურის პოვნა და ამით ოჯახის რჩენა და ჩვენ ამას შევძლებთ!

4 გვ. ➔





# reportaჟი samebis eklesiidan 26 მაისი, 2012 წელი

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა! — ვისაც გინდა ჰკითხო, ყველა ამას ვიკითხებ. თუმცა საზოგადოების ნაწილი ამ დღეს მხოლოდ საქართველოს ეროვნული გმირისა და ზვიად გამსახურდიას სულიერი ძმის მერაბ კოსტავას დაბადების დღეს აღნიშნავს, რადგან მაინათ, რომ კანონიერმა ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 9 აპრილი აღიარა.

ასეა თუ ისე, 26 მაისი, რომელსაც სოციალ-დემოკრატების ლიდერის ნოე ჟორდანიას სახელთან აკავშირებენ, საქართველოს ხელისუფლებას საზეიმოდ დღედ აქვს გამოცხადებული.

შარშან 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მთავრობის სახლის წინ მომთხრობენ ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია...

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. „სახალხო კრების“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე სამების ტაძარში მიცვალებულთა პანაშვილზე ეპატონება ყველას, ვისაც აღუდგება 26 მაისის ტრადიცია და ქვეყნის ბედი...

\*\*\*

26 მაისი, 2012 წელი, შაბათი. ტრანსპორტი სამუშაო დღეებშიც კი არ მუშაობს კარგად. შაბათ-კვირას კი, ცოტა ხალხიაო, — ამბობენ მძღოლები და ნახევარ საათში ერთხელ დადის მგზავრებით გადაძებელი ყვითელი მარშუტკა...

პანაშვიდი 12 საათზე დაიწყო.

ნახევარი საათი უკვე გავიდა, რაც განერებაზე ვღაგვარ. ჩემს გულში ვლანძღავ ვიგი უგულავას და რადგან 12-სთ-ს 15 წუთი აკლია. ტაქსს ვუქნევ ხელს.



— რა არის იცი, ჩემო კარგო? 2000 ლარამდე ხელფასი და ყოველ თვე, მინიმუმ, 300 ლარი პრემია ცოტა საქმე არაა. საჭმელ-სასმელი არ აკლიათ, ჩაცმა-დახურვა, პრივილეგიები და ვერ თმობენ ამას. შარშან 26 მაისს დასარბევად კი არა მიტინგზე წავედი, როგორც უბრალო მოქალაქე. იმის შემდეგ ჩემი ძველი მეგობრები — პოლიციის თანამშრომლები სათოფრეზე აღარ მეკარებიან.

ვხვდები: ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად სანთლით ხელში საკურთხეველის მარცხენა კუთხეში მისთვის ჩვეული უბრალო, უამბიციო, ადამიანური გამოუმეტყველებით ღვთისმსახურებას უსმენს.

ივანიშვილთან მიახლოება ისევე შეუძლებელია, როგორც მთავრის მიახლოება მზესთან. შავკანიანი დაცვის წევრებს ალფაში ჰყავთ.

— კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი! — ამბობს მამა გიორგი ზვიადაძე და ჯვარს სახავს მრევლს.

მრევლში დგას ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრების“ წევრებთან ერთად, მის უკან აწვრილი ბურჯანაძე შავი „საროჩკით“, ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაფარიძე, ვია ბურჯანაძე, თემურ შამიაშვილი, რეზო ესაძე, სოსო ჯაჭვლიანი, დუკა კურტიანი, იქვეა ბაკურ ბაკურაძე.

— რამდენი ხალხია? — უკვირს ბაკურს.

ჩემი მცდელობა, მიუახლოვდე ნინო ბურჯანაძეს, უშედეგოდ მთავრდება. დაცვა აქაც მყარად დგას.

— ჟურნალისტი ვარ, გამატარებთ, თუ შეიძლება... — მუჯღღუგუნე მხარში მსვდება და ხალხის შუაგულში ასაკოვან ქალს შემთხვევით ვხვს ვაბიჯებ.

— რომელი გაზეთიდან? — შეკითხვა ერთი.

— „საერთო გაზეთი“. — არ მაქვს ლაპარაკის თავი.

— უი, — უხარია ქალბატონის და გაღიბებული სხაპასუხობით ამბობს: მე თქვენი გაზეთის მკითხველი ვარ, ეს ერთ-ერთი ეროვნული გაზეთია.

ის კი არა, ვაგრძელებ კიდევ (ხმას იდაბლებს), რომ წავიკითხავ, სხვასაც ვაკითხებ, ხან 2 ან 3 ცალს ვყიდულობ. ერთს ჩემთვის, ორს ვარიგებ...

ბიძინა ივანიშვილი ტაძრის შუაგულსკენ მოდის. შუაში დაბრძანებულ ხატს ემთხვევა.

— გენაცვალე, გაიხარე, — ისმის ქალების შემახილები.

ივანიშვილი გულწრფელად უღიმის ხალხს და ნინო ბურჯანაძისკენ მიემართება. მიდის და ხელს ართმევს. ისმის ტაში. შე-

კავებული შემახილები. ხალხი კმაყოფილია, მაგრამ უკმაყოფილოა მამა გიორგი (ზვიადაძე), რომელსაც აშკარად არ სურს მას დაბრალდეს ამ ორი ანგარიშგასაწვევი პოლიტიკური ძალის ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის პროვოცირება თუ დემონსტრირება სამების ტაძარში და აშკარად აღმოფთვებულ პროტესტს გამოხატავს.

— არ შეიძლება ტაძარში ტაში, ხმაური და ღია ემოციები, — ამბობს ის.

პატრიარქი რომ იყოს ახლა აქ, კარგი იქნებოდა, — ნატრობენ ქალები, მაგრამ პატრიარქი აქ კი არა, საქართველოში არაა, მგონი.

ივანიშვილი გასასვლელისკენ გაემართა.

ხალხი ტაძრიდან ნელ-ნელა გა-



დის, ლოცავენ ბიძინა ივანიშვილს და აშკარად კმაყოფილი ტოვებენ ტაძარს.

როგორც ჩანს, 26 მაისს დაღუპულთა სულები ლოცულობენ, რათა ქართველებმა პირი შეკრან საერთო მტრის წინააღმდეგ, ვინც არ უნდა იყოს ეს მტერი...

ძლივს გარეთ გამოვიდვარ. ელი-



ას მთაზე ისევ უბერავს ცივი ნიავი. ცა გრუხუნებს.

— იწვიმებს ალბათ, — მეუბნება გიორგი ყორღანაშვილი და როგორც ყოველთვის, სკეპტიკურად უყურებს დღევანდელ ახალ ამბავს...

მართალია ბატონი გიორგი, როგორც „ოკუპანტები“ იტყვიან — „დავერიაი, ნო პრავერიაი“...

თავისი არაჩვეულებრივი და როგორც თვითონ ამბობს, ზებუნებრივი პროფილით ცნობილი ჯემალ ჯიქია მიახლოვდება.

— ცუდი ამბებია მოსალოდნელი. — რას გულისხმობ? — ვეკითხები.

— შეჯახება იქნება. გული მგრძნობს, — ამბობს, მერე ხელს

აღაპრობს და ღვთისმშობელს ავადრებს საქართველოს.

— დავით გარეჯი გაუყვია ამ ურჯულოს.

— მიშას? — ეკითხება მერე.

— ჰო, აბა, ვის?! 7 მლნ. დოლარად მოუყვია დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორია ირანელებისთვის, ომის სტრატეგიის ინტერესით. აზერბაიჯანელებს არ უნდათ იქ ირანმა სამხედრო ტექნიკა განათავსოს. ამ გეის კი ფული დაანახე და ყველაფერს გაყიდის. მთავრობის წევრები რომ ამბობენ: იქ სამონასტრო კომპლექსს ავალორძინებთო, ტყუილია, რისი ამლორძინებლები ვართ, გაყიდულია ეს ადგილი, ზუსტად ვიცი...

უახლოვდება. მამინევე ჩუმდებიან. ეტყობა, აგენტი ვვინა ვარ...

ეს ამბავი რამდენად შეეფერება სიმართლეს, ვერ გაიგებს კაცი ვინა, სანამ მართლა ირანელები არ დაიკავებენ „ნაყიდ“ ტერიტორიას. ღმერთმა არ ინებოს ასე იყოს, თორემ რაც არ უნდა მოხდეს, მერე გამოვლევ ხელიდან ვინმეს რამეს? ნოდარ ღუმუბაძის არ იყოს: „რას მოატყუებ შენ ორთვალა თათარს?!“

ტაძრიდან გამოსული ნინო ბურჯანაძეს ვეღარ ვხვდები, ხალხი ბიძ-



ნა ივანიშვილს მისდევს და კვლავ ტაშს უკრავს.

გენაცვალე და გაიხარე, ისმის ამჯერადაც.

რამდენიმე ახალგაზრდა კაცი ამბობს: ბიძინა ივანიშვილს გაუპარა...! გაუმარჯოს! ხალხი არ ჰყვება...

ხალხი, ეტყობა, ამჯერად, ფრთხილობს.

ეს კარგის ნიშანია. — თქვენი იმედი გვაქვს, — მისდევს ხალხი ჯვარად და ცოტა გარშემორტყმულ ივანიშვილს.

— მეც თქვენი იმედი მაქვს. ხვალ შეგხვდებით, — ილიმბა ბიძინა ივანიშვილი, ორივე ხელს ერთ მუშტად კრავს და მალა სწევს.

— ნუ გეშინიათ, ხალხო, ჩვენ ერთად ვართ! — ეუბნება ხალხს.

უპატრონო ცხვარივით დაბნეული ხალხი კვლავ მისდევს შავკანიანი, ამერიკელი დაცვის წევრებით გარშემორტყმულ „ქართული ოცნების“ ლიდერს და ზუსტად ვიცი, ეს ხალხი მზადაა თავი გასწიროს ბიძინა ივანიშვილის დაბახილზე — ქულზე კაცი სამშობლოსათვის!

27 მაისს კოალიციის მიტინგზე ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო მართონის დაწვევას გამოაცხადებს თავისუფლების მოედანზე...

მეც იქ მივიდვარ...

მგონი, შესაძლებელია, ძირითადი ძალების გაერთიანება. ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს... ბრძენია ქართველი ხალხი — „ძალა ერთობაშია“!

— კი მაგრამ, სხვებს ასეთი აზრი რატომ არ უნდებოდა? სინდისი არ აწუხებთ?



მძღოლი კუნთმაგარი, სპორტული აღნაგობის კაცია.

— სამების ეკლესიაში წახვალთ? — ვეკითხები.

თავს მიქნევს. მივდივართ.

— დღეს ბურჯანაძე იქნება სამებაში. იქ მიდისხართ?

საუბარს იწყებს მძღოლი. — დიახ.

— შარშან ამ დღის მერე ვტაქსაობ. იცი, ვინ ვიყავი მე?

— საიდან უნდა ვიცოდე? — ვეკითხები სიცილით.

— მე ერთ-ერთი რაიონის პოლიციის სამმართველოს განყოფილების გამგე ვიყავი. შარშან 26 მაისს საღამოს შეგვეკრიბა უფროსობამ და გამოგვიცხადა, რომ მონაწილეობა უნდა მიგველო დარბევაში. ხმა არ ამოძლია.

შეკრება რომ დაითავრდა, დაწვენი ვანცხადებდა ვათავისუფლებს მოთხოვნით და წამოვედი სახლში. ჩემი შვილი 1 წლის იყო მაშინ, იმას ვერავის დავაწყველინებდი და არც მამაჩემის სახელს შევავინებებდი ვინმეს, რომელმაც მთელი ცხოვრება კაცურად იცხოვრა.

— კი მაგრამ, სხვებს ასეთი აზრი რატომ არ უნდებოდა? სინდისი არ აწუხებთ?



Cveni maishi

mi Sa, unda i swavl o wasvl a da ara gaqceva, rogorc garbodi brZol is vel i dan Tu par l ament i dan!

დადგა 27 მაისი და „ქართულმა ოცნებამ“ გახსნა და გამოაცხადა საკუთარი საარჩევნო კამპანია. ამ დღეს დიდი ინტერესით ელოდა ყველა და არა მხოლოდ საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს მხერა საქართველოსკენ იყო მოპყრობილი. რა თქმა უნდა, ყველას სათავეს ინტერესი ამოძრავებდა, მაგრამ მაინც.

27 მაისამდე იყო აპრილი, თებერვალი და ა.შ უკუთვლით, გასული წლის ნოემბრიდან მოყოლებული სოციალური გამოკითხვების კასკადი, რასაც წითელ ზოლად გასდევდა ბიძინა ივანიშვილისა

ეს არ გამოგია, მაგრამ ისეთი რამ გავივებ თამარ ჩერგოლიევილისგან, ჩემი საძიებელი პროცენტების სათვალავი უარესად ამერია, ამჯერად პროცენტების გარეშე.

თამარ ჩერგოლიევილი: — „ხალხი იმაზე ნაკლებია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ადვილი დასათვლელია. საქართველოში 3 მილიონამდე ამომრჩეველი ცხოვრობს. აქედან 2 მილიონ 200 ათასი იღებს აქტიურად მონაწილეობას (დაახლოებით). აქედან, მილიონ 200 ათასი (დაახლოებით) ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერია. მილიონი მოწინააღმ-

იყო, მაშინ იყო გამოთვლილი კვადრატულ მეტრებში და რატომ ირჯება ახალი გამოთვლის „გამოწონებით“? ასე დავინახე — ნეტავ, სად დაინახა ასე? 27 მაისის ხალხმრავალ აქციას „იმედმა“ 17 საათიან გამოშვებაში, ცხელ-ცხელზე პირველ ნუსად ლამის 15 წუთი შეაწია, „რუსთაველ“ თითქმის ამდენივე ან ცოტა ნაკლები („გომიურ“ „კავკასიაზე“ ლაპარაკი აღარაა და ასევე „ბანა“ მაუწყებელზე) და რომ არც ამხელს, სად ნახსხვავებარად?

კვლავ მრავლისმნახველ მეუღლეს დაეკითხოს თამარ-გოგო, რამდენი კაცი ეტევა პარლამენტის წინ (30 000 კაცი), პუშკინის ქუჩაზე სკვერთან და შუაში მდებარე ადგილით კიდევ (75 000 და 20 000 კაცი) და ა.შ.

მოვლენებს ვუსწრებ, მაგრამ სიტყვას მოჰყვა და ბარემ, აქვე ვიტყვი, მე რომ მეგონა „მიწვივები“ გონზე მოვიდნენ, გაუნათლათ რაღაც, თავისუფლების მოედნიდან მათაც დაჰქროლა თავისუფლების სიმ-მეთქი, გონზე, პირიქით, მათ მომიყვანეს, სადამოს საინფორმაციო გამოშვებებში კვლავ ისე ბნელოდა, როგორც ყოველთვის...

ვაკის პარკთან 13 საათისთვის მისულ ადამიანებს იმდენად ეჩქარებოდათ თავისუფლების მოედანზე მისვლა 15 საათისთვის, ლიდერებს აღარ დაელოდნენ და სწრაფი სვლით დაემხენ თავისუფლების მოედნისკენ. განგებ არავისთვის მიმიყვარებოდა, მაგრამ მათთან ერთად მიმაგალს მაყოფოდ მესმოდა ფრაზები, რაც მათ შინაგან განწყობას გამოხატავდა.

„რა არის ეს, ყველა ავაზაკი რატომ უნდა დაიყენოს (ბიძინამ) გვერდში? ბარემ კიტოვანიც ჩამოიყვანოს!“ — ხმამაღლა აპროტესტებდა კოალიციაში ვიღაც ავაზაკის ყოფნას ახალგაზრდა ფაშვილი.

„საქართველოს მოქალაქეობაზე 2007 წელს ვთქვი უარი და თუ ივანიშვილი მოვა ხელისუფლებაში, ისე დავიბრუნებ.“ — პრეტენზიული ტონით ეუბნებოდა სანდომიანი ქალბატონი მასზე ბევრად ასაკოვან მამაკაცს.

„ავტობუსი ხომ დადის, ფეხით რატომ უნდა წავიდე?“ — იკითხა რიგის

„რა წერია შეხვედ? ალბათ, ამიტომ ვერ გვიტანს სააკაშვილი ვაკელებს“, — ხმამაღლა აღნიშნა ჩემმა მეზობელმა და დასძინა: — „ჩემი გოგო, კი იცი შენ, ინგლისურში ამეცადინებს ბავშვებს და მისით გვიდგია სული ოთხ უმუშევარს, მაგრამ თვითონ როგორ შესძულდა ინგლისური ამით გადაიკიდეს?“

„რატომ უნდა გვიტანდეს ვაკელებს, როგორი პიროვნებაა თვითონ, ისეთი უმცირესობები უყვარს“, — საუბარში ჩაგვეერთო კოპწია ქალბატონი მეგობართან ერთად და გვიმარშის თემას ვერ ავცდო.

კეკელიძის ქუჩის დასაწყისში, პატარა სკვერში, ტარას შეეჩვენოს ძველი უფრო გველია თუ სკვერში მსხდომნი, მწელი გასარკვევი იყო, იმდენი შეკრებილი იყვნენ მის გარშემო, ოღონდ, მკვეთრად ერთი ასაკისანი, საშუალო ხნის. იმდენად შეხმატკბილებული იყვნენ, ან სამეზობლო იყო, ან სანათესაო ან რაღაც ერთი უწყების ხალხი, ცხადია, ყოფილი თანამშრომლები.

თვალმისაცემი ის გახლდათ, რომ თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტი ღია და ცნობისმოყვარე თვალებით მომზირალი ახალგაზრდებით იყო წარმოღვენილი.

„ვაიმე, რა ხდება? ჩვენ რა, ჭურში ცვივართ? ვისი გასვენებაა ნეტა?“ — სიცილით ჰკითხა პეტრიაშვილის ასახვევთან მდგომმა გოგონამ მეორეს.

„თქვენი მიშისი!“ — მიამახა ერთად მიმაგალი ზუთი მამაკაციდან ერთ-ერთმა. გოგონები აშკარად დაიბნენ.

ისევე შემხვდა ორი უბნელი ქალი, ამჯერად სხვები და ახლა მათ გადამკოცნეს. (გზად საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანებიც მხვდებოდნენ, მაგრამ არაკორექტული იქნება მათი ჩამოთვლა)

51-ე სკოლასთანაც ბლომად იდგნენ მომლოდინენი, „ივერიასთან“ კიდევ უფრო მეტი, მეტწილად ახალგაზრდები და შეერთდა ჩვენს უკან ვაკიდან და დიდუბიდან მიმაგალი კოლონები.

„მეგონა, ბიძინა მარტო ჩვენი თაობის ხალხს გველაპარაკებოდა გასაგებად და უყურე შენ?“ „ამათაც მოსწყინდათ, მის-



და შესაბამისად „ქართული ოცნების“ დაბალი პოლიტიკური რეიტინგი. რა სვლა იყო ეს რეპუტაციაშეღასული (პირველად კენიაში შეერყა რეპუტაცია) ამერიკის საერთაშორისო ინსტიტუტის (IRI), ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის „გელაპის“ (GALLUP) და „ცნობისმოყვარე“ ინსტიტუტებისა და მცირე ინტერვალში, პოლიტიკურად მთლად ბოთისთვისაც ნათელი გახდა. თავი ვინ იყო იმ შემთხვევებში, როცა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები იდებოდა, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან 27 მაისს ძლიერ ფაქტად დაიდო, რომ იმ თავგმა იმდენი თხრა, რომ ბოლოს დიდი კატა გამოთხარა...

27 მაისის შემდეგ მთელი მონღო-მებით ჩაეკირკიტებ, გულით მინდა გამოვთვალო რაღაც პროცენტები, მაგრამ აშკარად არ მყოფნის მხოლოდ ჩემი მათემატიკური გამჭრიახობა.

კონკრეტულად, მაინტერესებს ამერიკული „ცნობისმოყვარე“ ინსტიტუტის მარტ-აპრილის გამოკითხვით, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა და გიორგი თარგამაძეს საქართველოს მოსახლეობის ნდობის 28% ერგო, 27 მაისს რამდენი ადამიანი არ უნდა გამოსულიყო მხოლოდ თბილისის მასშტაბით, რომ მის კულში მოჩანჩაღე 21%-იანი ნდობის ხარისხის მქონე ბიძინა ივანიშვილისთვის გადაესწრო? — რაღაც ვერ გამოდის. იმ თავსატეხის ამოხსნაზე აღარაფერს ვამბობ, პოლიტიკური ლიდერების რეიტინგში მიხეილ სააკაშვილი 71%-ით ლიდერი რომ ყოფილა. რეალური სურათიდან გამომდინარე, ამჯერად უცნაურ მოცემულობებს, ხომ ცხადია, ვერასდროს გამოთვლის რიგითი მოკვდავი...

რაც მე საკუთარი თვლით ვიხილე ვაკის პარკიდან თავისუფლების მოედნის ჩათვლით, არასდროს მინახავს საქართველოში კი არა, არსად — იქნებ ვცდები, მაგრამ რომელიმე პოლიტიკური ლიდერის საარჩევნო კამპანიის დაწყებას ასეთი რაოდენობის ხალხი ერთად შეეკრას? — არ ვიცი და არც გამოგია.

დევე. დაახლოებით მეოცედის მობილიზაცია უნდა შეძლო, როცა აქციებს იწყებ და ერთიანი კამპანია გაქვს — ამას დაამატე არასრულწლოვნები და... მოკლედ მეოცედს — ანუ 50 ათასს ერთი დასტყვევით უნდა აგროვებდნენ :) ამდენი არ ყოფილა. თავისუფლების მოედანი, სულ გაჭვდილი როცაა (პუშკინის ქუჩიან, რუსთაველიან — თავისუფლების მოედნის მეტრომდე) 30 000 კაცი ეტევა. ნახევარი მოედანი იყო საგსე + რუსთაველი თავისუფლების მეტრომდე, მე ასე დავინახე...

ვაი და უი! ამ ენაკვიმატ გოგონას ოკულისტი დროულად უნდა შეაშველოს მრავლისმნახველმა მეუღლემ ან უფრო იავ ვარიანტში, კარგი ხარისხის ჭოგრიტი უყიდოს, ისეთი, ინსტრუქცია რომ მოჰყვეს, თორემ, შესაძლოა, უკულმა მიიტანოს თვალებთან და კიდევ უფრო უცნაური რამები დაინახოს, მით უფრო ქუთაისიდან ან ბათუმიდან, გააჩნია, სად იყო 27-ში, როცა ამ ოქროცურვილ ასოებს კრეფდა კომპიუტერის კლავიატურაზე...

27-ში დილას „ქართული ოცნების“ პრესსამდივომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დაუდგენელი პირები მოსახლეობას ურიგებდნენ „ქართული ოცნების“ მაისურებს და სთავაზობდნენ გარკვეულ თანხას თავისუფლების მოედანზე მისვლის სანაცვლოდ, თან ამ „გარიგებას“ ვიდუოკამერებით იღებდნენ. პრესსამდივო მოუწოდებდა ყველას, უარი ეთქვათ მსგავს „გარიგებაზე“ და ამგვარი ფაქტების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ „ქართული ოცნების“ საორგანიზაციო ჯგუფებისთვის, რომლებიც მანიფესტაციის მხარდამჭერთა თავშეყრის ადგილებზე იმობრავებდნენ.

„იღეთები დაგიძველდა, მურტალო!“ — იტყოდა ამ შემთხვევაზე „კუკარაჩა“

რამდენი ათასი კაცი ეტევა თავისუფლების მოედანზე, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის სკვერში, პარლამენტის წინ, მთელ ამ ტერიტორიაზე ოპერამდე ან სულაც იმის იქით და სხვა, ხალხმრავალი შეკრებისთვის ხელსაყრელ ფართობებზე, თამარ-გოგო დაბადებული რომ არ



ქუჩასთან შემოერთებულმა ძალიან საყვარელი გარეგნობის მოზუცმა ქალმა.

„მიშა მინც მაგარია, ხომ გამოგყარათ ქუჩაში?“ — ლვარდლიანად მოგვამახა 55-ე სკოლასთან ჩამუხლულმა კუნთმაგარმა ბიჭმა და ნაძალადევადა დადიარხარა ორ თანამოაზრესთან ერთად.

„აერორასთან“ უბნელმა ქალებმა შემწიშნეს, გაიხარეს ჩემს დანახვაზე, გადამკოცნეს და ერთხანს ერთად განვაგრძეთ გზა.

„ის, რაც ქართულია, ნებადართულია!“ — დღემდე წერია „აერორას“ მიმდებარე შენობის კედელზე.

ვდნენ ვითან ყოფნა რომ ცუდად მიუბრუნდათ“, — გაიბასეს ერთმანეთში ასაკოვანმა ქალებმა.

„დამეხმარეთ, დემოტი გაგახარებთ!“ — შუა ტროტუარზე ცარიელი კონსერვის ქილით იდგა ინვალიდი მამაკაცი და მასხასიათებელი ხრინწიანი ხმით და გამკვლელებს შეჰლაღებდა. სახელი არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის მხვდება იმ ტერიტორიაზე.

„მიშას ამოუწყდა ოჯახი, შენ რომ მაგ დღეში ხარ და მე კიდევ ამ დღეში, რომ ვერ გვემარები ვერაფრით!“ — მიამახა ჩემმა მეზობელმა.

„ჯიში და ვილაგი“ – განაგრძო საქართველოს პრეზიდენტის წვევლა ინვალიდმა.

შორიდან მანქანის სიგნალების ხმა მოისმა, ორმა ცარიელმა ტაქსმა გაიქროლა, მძღოლებს ცერათითაწეული ხელი ჰქონდათ გამოყოფილი და მანიფესტანტებს ასე უცხადებდნენ სოლიდარობას, აივნებიდან კი ტაქსს უკრავდნენ, ალბათ, გარკვეულ მიზეზთა გამო შინ დარჩენილები.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ასახვევთან ორი სამხედრო ფორმაში და ორი დაცვის პოლიციის ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭი იდგა. მანამდე რას ლაპარაკობდნენ, არ ვიცი, მაგრამ სიტყვა-სიტყვით ასე თქვენს ბოლო ფრაზა: – „ცოტა ხანი იგულავით და მერე ნახავთ!“ ჩე-

თი ახალგაზრდა გოგონა გახდა ცუდად, ვისაც წყალი ჰქონდა წამოღებული, ასულიერებდნენ) მაგრამ იტანდნენ – ბიძინა ივანიშვილის მოსვლას ელოდნენ, რომელიც კიდევ ერთ კოლონას მოუძღვოდა და ვერაფრით შემოდოდა მოედანზე. მიუხედავად მოწოდებისა, იქნებ როგორმე გზა დაუთმოთ ბატონ ბიძინას პუშკინის ქუჩიდან, შედეგი არ მოჰყვა, რადგან ფიზიკურად იყო შეუძლებელი გზის დათმობა, შენობის კედლებზე ხომ ვერ ავიდოდნენ იქ მდგომები, სხვაგვარად კი, ნემსი არ ჩავარდებოდა...

„კიდევ ერთხელ დავგიშვებ ბატონმა ბიძინამ, რომ ვაჟაკცია, იგი ხალხთან ერთად მოდის ჩვენსკენ, – გვამცნო აქციის წამყვანმა (ქალბა-

„ეგვიც იქნება!“ – არ დააყოვნა დადასტურება ტონმაც.

არავის უკითხავს, ვინ ვილა გააკოჭავსო და ჩემთვის დავასკენი, ალბათ, ხალხს ვინც ეცოდება, ფიქრობენ, რა ქნას კაცმა, პრეზიდენტი აიძულებს ბევრი უკანონობის კეთებას მასაც, თორემ, რომ გააკოჭავს, სულ ჩამოფეკვავს ყველაფერსო და... შეუნდობენ.

დაეფიქრი, მაინც რატომ უნდა ეთქვა იმ მამაკაცს ასეთი რამ ასე დაბეჯითებით და ვერაფერი გავიხსენებ ერთი სიმართლისა და ერთი ჭორ-მართლის გარდა. სიმართლე ის არის, რომ ბატონი ივანიშვილის ხალხისადმი მიწერილ ღია წერილში მერაბიშვილი უარყოფით კონტექსტში არ არის მოხსენებული, პირიქით, ჭკვიანიყო. რაც შეეხება ჭორ-მართალს, ხმა დაირხა, ივანიშვილის ბანკიდან კისრისტეხით რომ გამოჰქონდათ ანაბრები და სხვებსაც აიძულებდნენ, მერაბიშვილის ოჯახის „დანაშაული“ ისევ იქაა, ივანიშვილს აქვს მიბარებული...



თვალი გაახილეთ და ირწმუნეთ, რომ დღეს ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა მომავლის იმედით ქუჩაში. არ გინდათ ქილიკი, არ ვარ რევანსისტი და არ მესაიძულება ხეებზე ჩამოკიდებული გნახოთ. შევეგუეთ, რომ ოპოზიცია ძალიან ძლიერია.

მიშა, დაემშვიდობე თბილისს!

არისო? შსს-ს რიგითმა თანამშრომლებმა თავი გაანძირნენ, თარგამბესავით გაიქცევა მერაბიშვილი და მაგათ მერე პასუხი მოეკითხებათ ჩადენილი უკანონობის გამო. თქვენი თვალთ ნახეთ დღეს რამდენი ადამიანი გამოვიდა საპროტესტო მიტინგზე... უნდა გაუფრთხილდეთ თავს და თქვენს მომავალს...

დღეს მიშა გადარჩა სენაკში ძროხების მონახულებას, მაგრამ კოკა ჩაის ყოველთვის არ მოიტანს. გააყალბებს არჩევნებს და ძალიან მწარედ ინანებს.

ივანიშვილმა ერთი ბრძნული პოლიტიკური მანევრით ახლა ფარდა სააკაშვილის ყურმოჭრილი ყმების პარლამენტს და დაგვანახა საზოგადოებას ის ცირკი, რასაც პარლამენტი ქეია დღეს. სააკაშვილის ყურმოჭრილი ყმა-პარლამენტარები ხელში კონსტიტუციით დასდევნენ ივანიშვილს და გზაში ჭრიან და კერავენ უზუნაეს კანონს. 27-ში ქართველი ხალხი დაგანახებთ, ნაცმოებს თუ ვის უღვას ხალხი გვერდში. თქვენი NDI-ის და IRI-ს გამოკითხვები დაახეით და სააკაშვილს ერთ ადგილას გაუკეთეთ.

ეს რა ენაზე :) კოლმეურნეობიდან მოყოლებული რუსთაველის მეტრომდე ხალხის ტევა არ იყო :) კვ, მიშკო და მიშკისტეო.. ჰაა, ავიკანკალდათ ერთი ადგილი? :)))

ვახ, რა სასაცილოა... მართლა რა სასაცილოა... დღემდე ამბობდნენ, არავინ მივალო... ფაქტს ვერ გაეცნენ და ახლა ამბობენ ცოტააო... მართალი 10 კაცის ამბავი მაინც არ იცით ნამეტანო ქრისტიანებო? ჰკითხეთ, აბა, თქვენს მოძღვროს ორდენოსან კალისტრატეს, – რას ნიშნავს 10 მართალი... ერთმა 30 ათასი დაითვალა, მეორემ 20, მესამე ამბობს საკუთარ თვალსაც ვერ ვენდობი, უცხოელებს დავულოდები რას იტყვიანო... რამ გამახსენა არ ვიცი და ეს ის ერაა რომელიც იმ დროს როცა რუსები ზეზე ცხოვრობდნენ ვეფხისტყალას წერდა?

მოგახსენებთ პირადი მონიტორინგის შედეგებს: თავისუფლების მოედანზე ოფიციალური ჭყლეტა იყო. ცუდად გავხდი, ვერსაით ვერ გავინძერი. ძლივს გავეპერი „ქორთიარდის“ მხარეს და ზევიდან შემოვუარე, ჩავდი თავისუფლების მეტროსთან, ვერც იქ გავინძერი, იმდენი ხალხი იყო და ისევე ზევიდან შემოვუარე. ხალხის სიხალავათე მხოლოდ პარლამენტიდან იწყებოდა და ასე ხალვათად სავეი იყო რუსთაველის გამზარი ბოლომდე.

გულს იცი, რა მტკენს?... უშნო ქირქილი... კრიჭაში დღეო... მინუსების ტენა... თქვენი ხალხი, თუ ასე მოწადინებული ხართ მიშას წასვლით, ერთმანეთს კი ნუ უკრიკიტებთ, თქვენც დაიწყეთ საარჩევნო კომპანია და ამაზე მეტი ხალხი გამოიყვანეთ, აჩვენეთ ქვეყანას რისი თავი გაქვთ, მართო ლაქლაქით და სხვის თვალში ბეწვის ტენით საქმე არ გაკეთდება...

ვანოლოლოლოლოლოლო... ოვეეეეეეეეეეე... შე 10%-იანო, სადა ხარ?

დღეს, არჩევნებამდე 4 თვე ნახევრით ადრე, თბილისში საკუთარი ხელისუფლება აირჩია, ჯერი რევიონებზე!

ვანო მერაბიშვილი პრეზიდენტს ატყუებდა თუ ორივე თავს იტყუებენ, ივანიშვილს მხარს არ უჭერენ და ჩვენი კონკურენტი არ

ის მქონე ჯგუფზე. ერთადერთი რაც მოფიქრეს, ცდილობენ დააჯერონ ხალხი, რომ დღევანდელ აქციაზე მაქსიმუმ 30 ათასი ადამიანი იყო:) ფოტოს და ვიდეოს რას მოუხერხებთ მიშისტეო?

ყველაზე მინიმუმ 300 000 ათასი ქართველი იდგა დღეს! ფოტოებს მალე დავებ დამადადსტურებებს! მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს ყველას გილოცავთ შეუქცევადი პროცესია ჩვენი გამარჯვება.



მი მეზობელი მსწრაფლ გაეპასუხა: რა, მერე, რას გვიპირებთ მერე, ამაზე უარესს, რასაც გვიშვებთ, რას გვიზამთ მერეო.

საქართველოს ხელისუფლება ლიხის ქედს იქით იყო გადაბარებული ახალ საპარლამენტო ქალაქში და შემდეგ მთლად ბათუმში გადაინაცვლეს, უფრო შორს საბუღალვო თბილისიდან და დედაქალაქი ცარიელს ჰგავდა, თითქოს სიერცე გაიზარდა, თითქოს სუნთქვა უკეთ შეიძლებოდა...

ტონმა ნინელი ჭანკვეტაძემ) და მანიშნების გარეშე ერთხმად იხუვლა ხალხმა. სიტყვა „ვაუკაცმა“, ამ დანატრებულმა ცნებამ ყველა მათგანში ერთად შეაღწია...

„მიშა, უნდა ისწავლო წასვლა და არა გაქცევა, როგორც გარბოლი ბრძოლის ველიდან და პარლამენტშიდან!“ – კახი კალაძის ამ ფრაზას ხალხის გულიდან ამოხეთქილი გუგუნი მოჰყვა...

არ ვიცი, რას ნიშნავდა ეს გარინდება და უმოქმედობა ხელისუფლების მხრიდან, მომავალი გამოაჩენს, მაგრამ ფაქტია, რომ პროვოკაციის მსგავსი გაფაჩუნებაც არ ყოფილა. ერთი კი უცვლელი იყო, როგორც ყოველთვის, „ქორთიარდ მერიოტის“ შუშებიდან იყო მომართული „ვანოს კამერები“, ალბათ, ყოველი შემთხვევისთვის, გარკვეულ პირთა სახეების დასაფიქსირებლად და შემდგომ დასაშინებლად, „რა იცი, რა ხდებას“ ვარიანტში...

ხალხი ჭრელიაო, ნათქვამია, – ბევრი რამ მოვისმინე და ერთი დასკვნა გამოვიტანე, სააკაშვილისა და მისი რეჟიმის სიძულვილმა სძლია იმ ხალხისას, ვის გვერდზე დგომასაც დღემდე უწუებენ „ბიძოს“. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების მოედანსკენ გზად მიმავლებსაც და უკვე მისულებსაც პირზე ეკერათ კოალიციაში მყოფი ცალკეული პი-

**ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**  
**www.saertogazeti.ge**  
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**  
**საერთო გაზეთი**

თითქოს მანიფესტანტების გარდა არავინ ცხოვრობდა თბილისში, პატრულიც კი არსად დამოღანდავს, არათუ პოლიციის სამოსის მსგავსი, ისე, პოლიციური ქვეყნისთვის დამახასიათებელი ატრიბუტის ამპლუაში მაინც. თუმცა, როგორ და რატომ გამოჩნდებოდნენ, მათ ხომ, მიუხედავად წინასწარი გაფრთხილებისა, არცერთი ქუჩა არ გადააკეტეს, საკუთარი ფუნქცია არ შეასრულეს და მანიფესტანტებს ხომ არ შეუერთდებოდნენ... არა, რატომაც არა, სამოქალაქო ტანსაცმელში იქნებოდნენ, მაგრამ დანიშნულება? ისე, ალალად რომ ეთქვათ, მიუხედავად ყველაფერისა, პოლიციელიც ხომ ადამიანია? და თუ შეიძლება ჰქონდეს არსებობის უფლება ცნება „ადამიან-პოლიციელს“, მასაც ხომ ისევე ეტყობა ის სატყვივარი, როგორც „ადამიან-ექიმს“, „ადამიან-მუშას“ თუ „ადამიან-პედაგოგს“?

„ჩვენი პატარა!“ – სიყვარულით შესძახა შავებში ჩაცმულმა შუახნის ქალმა და თვალს მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

„შენ გაიხარე, ბიძი!“ – ახლა იქით გაისმა ქალის ხმა, როგორცკი სცენაზე და მონიტორზე ბატონი ივანიშვილი გამოჩნდა.

„მტრელები, მტრელები მოჰყვენ ბიძინას!“ – შესძახა გაზეთისქედიანმა მამაკაცმა და გაუოცდი, საიდანაც მტრელები მოფრინდნენ მართლა, ძალიან დაბლა, თითქმის ჩვენს თავებზე გაიქროლ-გამოიქროლეს უშიშრად და თვალი რომ მივაღვენე, ლეესლიდის ქუჩისკენ გადაიფრინეს.

ავადსახსენებელი 90-იანი წლები გამახსენდა, სიონის ეკლესიის გუმბათზე მტრელები იხსდნენ ხოლმე, მისი გაძევების შემდეგ კი ორი ყვაი რომ დაბუღდა და ყრანტალით იკლბდნენ იქაურობას...

რებისა თუ პარტიების აუგი, მათ გამოჩენას, რადგან ბატონი ბიძინას გვერდით იდგნენ, მაინც ოვაციებით შეხვდნენ...

რა უთხრა ბატონმა ივანიშვილმა შეკრებილ ხალხს, აღარ გავიმეორებ, მაგრამ გამოიკვეთა, რომ ხალხი კონკრეტულად ერთი პირის, ივანიშვილის სიყვარულმა კი არ გააერთიანა, სააკაშვილის სიძულვილმა შეკრა ერთ მუშტად;

ისიც გამოიკვეთა, რომ ივანიშვილი არა მხოლოდ იმედია, არამედ, ეტალონიცაა იმ ტრადიციული ქართული ოჯახისა, რომელიც ასე მონათრატა გენეტიკურად ტრადიციების მიმდევარ ქართველ ერს ზნედაცემულობის მქადაგებელი ხელისუფლების ხელში;

მართალია, კვირა დღე იყო, მაგრამ მანქანები თითქმის არ ჩანდნენ. პრინციპში, მანქანის საჭესთან დამჯდომი კაცი სადაა იყო, ყველა ფეხით მოსიარულედ იყო ქვეყლი.

მდინარესავით მიედინებოდა ხალხის ნაკადი ქალაქის ყველა კუთხიდან თავისუფლების მოედნისკენ ფეხით. არავის მიურევია ისინი ყვითელი ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსებით იძულების წესით, მუქარით, მოქროთამით, დამინებით, ოჯახის წევრების დაშანტაჟებით, – ადამიანები მიდიოდნენ ლაღად და იმედიანად...

„აი, ნახეთ, ვანო თუ გაკოჭილს არ ჩააბარებს ივანიშვილს იმ გიჟს!“ – ახლოს მდგომებს ისე დაბეჯითებით გამოგვიცხადა მზემოკიდებულმა მამაკაცმა, თითქოს მერაბიშვილმა გამოატანა თავისი სიტყვა სათქმელად.

„მართო მიშა – არა, ყველა!“ – არ დააყოვნა შეკვეთამ.

ისიც გამოიკვეთა, რომ ხალხში ეროვნულობის მოთხოვნილებამ გაიღვიძა, სასწორზე შეგდებული დახშული ქართველობის გამოხეთქვის პირველივე შემთხვევას ეტებს;

ისიც გამოიკვეთა, რომ შიში, რომელიც აქამდე ყველა ოჯახში იყო დაბუღებული, ამ ერთმა დღემ, ერის ერთიანობის დღემ გადაყლაპა...

**შემოგვიერთდით facebook-ზე**  
**„საერთო გაზეთი“**

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ნინო ბურჯანაძე

– ქალბატონო ნინო, 27 მაისს ხალხმრავალი და საკმაოდ ეფექტიანი აქცია შედგა, თქვენც დაშინებულხართ.

– ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო 27 მაისის აქციაზე ხალხის მართლაც დიდი რაოდენობის მოსვლა. ხელისუფლებამ დაინახა, რომ მიუხედავად მისი გაზვიადებული მცდელობისა, ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია მოხდა. „სახალხო კრების“ და ჩვენი პარტიის – „დემოკრატიული საქართველოს“ გადაწყვეტილება, მიმანია, რომ სწორი იყო. ჩვენ სოლიდარობა გამოვუცხადეთ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მის ორგანიზებულ აქციას. ვამბობდი და კვლავ ვიმეორებ: ერთიანობის, კოორდინაციის და სოლიდარობის მინიმალური დონის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება ბრძოლა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ.

– მაგრამ, ეს იყო ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მოწყობილი აქცია, სადაც ოპოზიციური პარტიები, ასე ვთქვათ, მიწვეულნი არ იყვნენ...

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოაწყო აქცია. შარშანდელი მიტინგის წარმატებლობა... არა.. დამარცხება განაპირობა ზუსტად იმან, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ამბობდა – ბურჯანაძის აქციებზე არ მივალ, მის გვერდით არ დავდგები. მაგრამ ბურჯანაძის გვერდით ნუ კი დავდგები, ივანიშვილის გვერდით კი არ დავდგები. შენი ხალხის გვერდით დავდიქი და მხარში ამოუდექი შენს საზოგადოებას. შარშან 26 მაისს რომ გამოეჩინათ ისეთი სოლიდარობა, როგორც ამ 27 მაისს იყო, დღეს სრულიად სხვა რეალობა გვექნებოდა და სააკაშვილი აღარ იქნებოდა ხელისუფლებაში. ამიტომ, პირდაპირ გეტყვით, „სახალხო კრება“ არ აპირებს მოიქცეს ისე, რასაც სხვებს ვუწუნებთ და ვსაყვედურობთ. სოლიდარობა ტოტალიტარული და დიქტატორული რეჟიმის პირობებში არის ერთადერთი შანსი, რათა წარმატებას მივაღწიოთ. თუ იქნება დაქსაქსულობა, ვაბრი, რევანშისტული განწყობები: იქ არ მივალ, იმის პოლიტპატიმარი ჩემი პოლიტპატიმარი არ არის და ა.შ. ნაციონალები 10 წელიწადს კიდევ იქნებიან ხელისუფლებაში.

– ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში და მათ შორის „ქართულ ოცნებაში“ არიან ძალები, რომლებიც თითქოს და კერძომესაკუთრის თვალთ უყურებენ „ქართულ ოცნებას“. მე ვფიქრობ, მის მიერ გადადგმული ნაბიჯები ბოლო ხანებში და 26 მაისს სამების საკათედრო ტაძარში მისი მოსვლა, სამიძმარი და ხელის გამოწოდება ადამიანური, ნორმალური მოქმედებაა, ეს ნაბიჯი ამ ანანორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში ნამდვილად დასაფასებელი და სწორი იყო. ის, რომ მან კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან განსხვავებით კი არ დაამადა ვინმეს 27-ში მისვლა, არამედ თქვა: ყველას ველოდები, ყველა მოვიდეს. კი არ დაუჩემებია 27 მაისის აქცია პარტიის ღონისძიებას, არამედ პირიქით, და სხვათა შორის, მისი გარემოცვისგან განსხვავებით, მას არ უთქვამს ეს აქცია მხოლოდ და მხოლოდ პარტიული ღონისძიებააო. ბიძინა ივანიშვილმა ძალიან სწორი ნაბიჯი გადადგა და მე ვთვლი, ეს არის სვლა გარკვეული კოორდინაციისკენ. ეს სწორი ტაქტიკა იყო და მიმანია, რომ ყველაფერი ამის უკან გააზრებული ხელვა დგას იმისა, რომ ერთად დავიძა და სოლიდარობა სააკაშვილის რეჟიმის რეალური დამარცხების შესაძლებლობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა აღმოჩნდებით ილუზიებში, ხოლო ოქტომბერში სააკაშვილი ძალიან კონკრეტულ შედეგს დადებს.

– სამების საკათედრო ტაძარში ბიძინა ივანიშვილი რომ არ მოსულიყო და თქვენთვის ხელი არ ჩამოერთვა და ამ შესტით, ალბათ, ერთგვარი თანაგრძობა არ გამოეხატა, როგორც გასული წლის 26 მაისის ტრაგედიის ერთ-ერთი ჭირისუფლისთვის, 27 მაისის აქციაზე მისვლას მაინც აპირებდით?

– მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა ამ აქციის შესახებ, ჩვენ მუდმივად ვმსჯელობდით ამ თემაზე და მუდმივად... (პაუზა)

– ყოყმანობდით?

– არა, ვერ გეტყვით, რომ გამუდმებით ამაზე ვფიქრობდით, მაგრამ ვფიქრობდით კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, კონკრეტული გადაწყვეტილება მიგველო. ამაზე ვმსჯელობდით პარტიამდე და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებაშიც. რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება ბიძინა ივანიშვილი სამების ტაძარში რომ არ მოსულიყო 26 მაისს, სხვა ეკლესიაში წასულიყო სანთლის დასანთებად და შარშანდელი დღის აღსანიშნავად. ეს თავისთავად იქნებოდა არაკორექტული ნაბიჯი და ძალიან გაგვიჭირდებოდა 27 მაისის აქციაზე მისვლა. თუმცა არ გამოერიცხავ, რომ ჩვენ მარტული ადამიანები და კონკრეტული ძალები, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მე არ დავიწყებ ახლა ამაზე მარჩიელობას, არც ჭორებს ავყვები, არც ის მინდა, სიტუაცია გაგანალიზო და ის ინფორმაციები განვიხილო, რომელსაც ვფლობ.

– რა ინფორმაციებს გულისხმობთ?

– იმას, თუ რა პოზიციები აქვთ ჩემს მიმართ „ქართულ ოცნებაში“, ვის რა ინტერესი აქვს, ვინ რას ფიქრობს ჩემზე და ა.შ.

# nino burj anaze: axl a raRacas i seTs maTqmevi nebT...



– ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მე იმათ უფრო კარგად ვიცნობ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი იცნობს მათ. ეს ადამიანები მინახავს სხვადასხვა სიტუაციებში და ჩემი ნათლად ჩამოყალიბებული აზრი მაქვს არა შეგრძნებებიდან გამომდინარე, არამედ რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი რამ: ხალხის მოთხოვნა არაა, რომ ოპოზიციური ძალები კოალიციაში გაერთიანდნენ. ეს არ არის ხალხის მოთხოვნა და სხვათა შორის, არც „დემოკრატიული მოძრაობის“ და არც „სახალხო კრების“ სურვილი ეს არ არის. მე ვიცი, საზოგადოების მოთხოვნა რაც არის. ეს არის სურვილი – ერთად იმოქმედო! თუმცა ეს არ ნიშნავს ერთ კოალიციაში ყოფნას. „სახალხო კრება“ როცა „ქართულ ოცნებას“ შესთავაზა ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა, ეს არ ნიშნავდა კოალიციაში გაერთიანებას, რის გამოც ნამდვილი ისტერია დაემართა „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წევრს – არ ვუშვებთ ბურჯანაძეს კოალიციაში. ვუპასუხეთ ჩვენ ამას არაერთგზის – ნუ ლეღავთ, კიდევ რომ შემოგვიშვათ, არ შემოვიდვართ-თქო; რადგან ლაპარაკია ერთიან, კოორდინირებულ ბრძოლაზე, იმაზე, რაზეც „სახალხო კრება“, 21 მაისს გააკეთა განცხადება და ჩვენ ნათლად განვაცხადეთ. როგორც მინიმუმ, ოპოზიციამ უნდა შეძლოს ის, რომ ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს, ხელი არ შეუშალოს, აქციები ისე დაგვემოს, რომ ეს აქციები ოპოზიციის კი არა ხელისუფლების წინააღმდეგ იყოს მიმართული. ამ ტიპის კოორდინაციის გარეშე, გარწმუნებთ, რომ წარმა-

ტებას ვერ მივალწევთ. – თქვენ ამას წინათ საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ განაცხადეთ, სადაც ყველაზე მეტად მორატორიუმის გამოცხადება მომეწონა ოპოზიციურ პარტიებს შორის კინკლაობის შესაჩერებლად... – იქ სხვა პუნქტებიც იყო. ერთ-ერთი იყო ოპოზიციურ პარტიებს შორის ერთმანეთის კრიტიკისგან თავის შეკავების შესახებ, იყო ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი და სირცხვილიც კი არის, რომ ჩვენ ამის აღნიშვნა გვიწევს, მაგრამ რეალობა და

ვერსად გავეცქევით: ეს არის ის, რომ ოპოზიციამ ერთობლივად იმოქმედოს პოლიტპატიმრების დასაცავად, იმის მიუხედავად, რომელი პოლიტიკური პარტიის წევრი არის, ან არის თუ არა საერთოდ რომელიმე პარტიის წევრი. სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტპატიმრებს აქამდე არ უგრძობიათ არავითარი სოლიდარობა ოპოზიციური პარტიების მხრიდან. ამას გარდა, იყო მოთხოვნა წინ აღვედგეთ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ზეწოლას ოპოზიციონერი აქტივისტების მხრიდან, შედეგს შეთანხმება იმ პოლიტიკურ გზებზე, რა გზებითაც ხელისუფლების დამარცხებას ვაპირებთ. ყოველივე ეს არის გამარჯვების საწინდარი და ამ ელემენტარული შეთანხმების გარეშე გამორიცხულია რაიმე სახის წარმატება.

– გაკეთ ამ საკითხებზე საუბრები ოპოზიციასთან?

– არის საუბარი, მაგრამ „ქართულ ოცნებასთან“, მიუხედავად იქ მყოფ ზოგიერთ წარმომადგენელთან ადამიანური ურთიერთობისა, მაინც ვერ მივალწევით კონსტრუქციულ მოლაპარაკებას. ჯერჯერობით ვურთიერთობთ მედიის საშუალებით და ვიმედოვნებთ, რომ იმ ორმხრივი ნაბიჯების შემდეგ, რაც გადავდგით ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის აღსანიშნავად, „ქართულ ოცნებას“ და „სახალხო კრებას“ შორის შემოთხამოვლილ ელემენტარულ საკითხებზე, ვიმედოვნებ, საუბარი როული არ იქნება.

– ქალბატონო ნინო, თქვენ წელან ბრძანებ, რომ „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომელთაც კარგად იცნობთ იმ პოლიტიკური ბრძოლის გზიდან, რა გზაც გააარეთ. შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი, ან მთავარი მიზეზი, რის გამოც ბიძინა ივანიშვილთან და კოალიციასთან ჯერჯერობით უფრო ახლო კონტაქტები არ გაკეთ?

– მოდი, ასე ნუ ვილაპარაკებთ. (პაუზა). ერთ-ერთი მიზეზი იყო, მაგრამ არა ერთადერთი და გადამწყვეტი. თუმცა კონკრეტულად რა, ეს მათ უნდა ჰკითხოთ, რადგან რა მიზეზებზეც ლაპარაკობენ ჩემთან მიმართებაში, ყველა აბსოლუტურად მოგონილი მიზეზებია. ჯერ ერთი, როცა ამბობენ, რომ ბურჯანაძეს სხვა ხელვა აქვს, ეს ბუნებრივიც არის.

ჩვენ არ ვითხოვთ კოალიციაში შესვლას და არც არასდროს ვითხოვდით ამას. კოალიციაში იმდენად განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკური ორიენტაციის და მიმართულების პოლიტიკური ძალები არიან, იმ არგუმენტის განცხადება, რომ ბურჯანაძეს განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია აქვს და ამის გამო ვერ თანამშრომლობს კოალიციასთან, უბრალოდ, თითქმის გამორ-



– თქვენ ამას წინათ საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ განაცხადეთ, სადაც ყველაზე მეტად მორატორიუმის გამოცხადება მომეწონა ოპოზიციურ პარტიებს შორის კინკლაობის შესაჩერებლად... – იქ სხვა პუნქტებიც იყო. ერთ-ერთი იყო ოპოზიციურ პარტიებს შორის ერთმანეთის კრიტიკისგან თავის შეკავების შესახებ, იყო ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი და სირცხვილიც კი არის, რომ ჩვენ ამის აღნიშვნა გვიწევს, მაგრამ რეალობა და

რად მოგონილი მიზეზებია. ჯერ ერთი, როცა ამბობენ, რომ ბურჯანაძეს სხვა ხელვა აქვს, ეს ბუნებრივიც არის. ჩვენ არ ვითხოვთ კოალიციაში შესვლას და არც არასდროს ვითხოვდით ამას. კოალიციაში იმდენად განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკური ორიენტაციის და მიმართულების პოლიტიკური ძალები არიან, იმ არგუმენტის განცხადება, რომ ბურჯანაძეს განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია აქვს და ამის გამო ვერ თანამშრომლობს კოალიციასთან, უბრალოდ, თითქმის გამორ-

წოვილი მიზეზებია. აქედან გამომდინარე, მიზეზები არის სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღრმა.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს განსხვავებული ხედვები „ქართული ოცნებისგან“. მაგალითად, არ ვამბობთ, რომ ვართ პროამერიკული ძალა. ჩვენ ვართ პროქართული ძალა და შეიძლება ეს იყოს უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვერ შევძლოთ რეჟიმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა.

– მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ტექნიკური ბოლო ხანებში პრორუსულ ძალებს მივიჩნევთ, რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში თუკი ე.წ. პროდასავლელები და პრორუსულები ერთად იბრძობენ, გამოდის, რომ პროქართულები ყოფილხართ, რადგან ამით ქართულ საქმეს გააკეთებთ.

– არა. ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ ნიშნავს პროქართულობას. თუ აპირებ იგივე ფასეულობები დაამკვიდრო, რასაც ესენი ამკვიდრებენ, ამით წინააღმდეგ ბრძოლას ეს არ ნიშნავს. რეჟიმი, შეიძლება, შეიცვალოს, მაგრამ იდეოლოგია დარჩეს. თუ ამბობენ, რომ რუსეთი არის მტერი და უნდა შენარჩუნდეს მის მიმართ მტრული დამოკიდებულება, თუ ამბობენ, რომ რაღაც უნდა დაგვიკვლიდეს საქართველო ნატოში გაწევრიანდეს, თუნდაც აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე, თუ ამბობენ, რომ ქართული და ტრადიციული არაფერს არ ნიშნავს, ოჯახი არაა ჩვენი ქვეყნის ღერძი და საფუძველი, ეს არ არის პროქართულობა.

როდესაც ნაციონალური მოძრაობა გამაღებელი იბრძვის უფროს-უმცროსობის მოსაშლელად, როცა ტელევიზიებში გარყვნილების პროპაგანდა და რომელიმე ოპოზიციური პარტია ამბობს, რომ ეს პოლიტიკა უნდა გავრძელებს, ეს არ ნიშნავს რეალურ ცვლილებას და რაც უნდა იბრძოდნენ, ეს არაა პროქართული ძალა. მე მინდა ჩვენი ქვეყანა იმ ქართულ, ტრადიციულ ფასეულობებზე იყოს დაყრდნობილი, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა.

ნებისმიერი ამერიკელი პოლიტიკოსის სამუშაო კაბინეტში შედით, იქ ნახავთ მისი ოჯახის წევრების ფოტოსურათებს, იქ არის ოჯახის, წინაპრების კულტი და არა ისე, როგორც... რაღაცას მათქმევინებთ ახლა

რ ა ც ე ... (იცი-ნის).



**რასაც ვლადიმერ პუტინი, ვაჟისხომო მსოფლიო ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ნებისმიერი სხვა პალა, რომელიც იტყვის, რომ ნაციონალური მოძრაობის საბაზაში უნდა შენარჩუნდეს, ჩემთვის, მიწის, პრიტიკის საბაზის იტყვას.**

– ქალბატონო ნინო, თქვენ ხართ ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იმ რეჟიმის შექმნის, რაც დღეს არის. საზოგადოების ნაწილი თქვენს კომპრომატად ამას იყენებს. როგორ აპირებთ ეს „ბრალდება“ მოიხსნათ, შეუპოვარი ბრძოლით?

– მე არაფერი მჭირს „ბრალდების მოსახსნელი“, იმიტომ, რომ

ვინც შექმნა ეს რეჟიმი, ის ადამიანები დღეს იქ არიან.

სამწუხაროდ, მე ყოველთვის მართლ ვიყავი ამ რეჟიმთან ბრძოლაში და არაერთგზის მიიტყვამს, რომ თუნდაც მამინ, როდესაც პირველად გამოვედი „კარდების რევოლუციის“ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე და კატეგორიული წინააღმდეგი ვწავიდი კონსტიტუციის ისე გადასწერის, რომლითაც სუსტდებოდა პარლამენტი, ძლიერდებოდა პრეზიდენტის ძალაუფლება და მეტნაკლებად პრემიერ-მინისტრისა, მაშინ მე ვიყავი სრულად მარტო და არც ჟურნალისტები და მიღიქვით გვერდით, არც საზოგადოება. სხვათა შორის, არ ვიქნები სამართლიანი, რომ არ ვთქვა: ერთადერთი პოლიტიკოსი, ვინც მამინ სოლიდარობას მიცხადებდა დავით უსუფაშვილი იყო. სხვა დანარჩენი პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა, ჟურნალისტებიც და საზოგადოების დიდი ნაწილი აპყვავა პიარს, რაც დაგვამა ნაცმოძრაობამ – ბურჯანაძე იბრძვის საკუთარი ძალაუფლების გასამცოცხლებლად, პარლამენტის თავმჯდომარეა და უფლებები ის დათმობა არ უნდა ო. ბერკეტები ჩემი ძალა-უფლებების

გასამცოცხლებლად კი არა, იმისთვის მჭირდებოდა, რომ დამებლანსებინა სააკაშვილი და ნაცმოძრაობა და აღმოჩნდა ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე.

მეორე, როცა გამოვედი და ვთქვი, საპარლამენტო სიებში უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამის ღირსნი არიან. მაშინაც დაიწყო ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა – ბურჯანაძეს მეგობრების და ახლობლების ჩასმა უნდა სიაში. ჩემი მეგობრების კი არა, წერა-კითხვა რომ იცოდა და აზროვნება რომ შეეძლო, ისეთი ადამიანების ჩასმა მინდოდა სიაში. როდესაც ეს ბერკეტები გამომგლიჯა ხელიდან ცხონებულმა ფვანამ და სააკაშვილმა, მე მაინც ვაგრძელებდი უძმიძეს ბრძოლას გუნდის შვინით. ძალიან

კარგად იცის ეს იმან, ვისაც ამის დანახვა და ცოდნა უნდა. მე ვიყავი იმ გუნდის წარმომადგენელი, მაგრამ ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ბურჯანაძე იქ ყოველთვის იყო თეთრი ყვავილი და არაფერი მთვლიდა იქ თავისიანად. გუნდის შვინით ყოველთვის ვამბობდი, რაც მიმანია სწორად და კვდილობდი ისინი რაღაც ჩარჩოებში მომიქცია. და ეს ძალიან კარგად გამოჩნდა.

**ჩემი წამოხვევის შემდეგ ვუსტად ორ თვეში რამ დავიწყებ. მე წამოხვედი 8 ივნისს, 8 აპრილში კი, მოგახსენებთ, რაც მოხდა...**

იმის შემდეგ რა დონეზე ხელისუფლების გაფრენები, ყველა ხედავთ. არც მანამდე იყო დალაგებული, მაგრამ შეადარეთ ახლანდელი ქვეყნები, გნებავთ, საკანონმდებლო თვალსაზრისით, გნებავთ, უბრალოდ, მოქმედებებიდან გამოდინარე, იყო ხარვეზები დემოკრატიაში, მაგრამ არ იყო დიქტატურა.

შეადარეთ 7 ნოემბრის აქცია და 26 მაისის აქცია.

**– 7 ნოემბერს თქვენ ხელისუფლებაში იყავით, მაგრამ მაინც სასტიკად დაარბიეს მიტინგი.**

– იმიტომაც არ იყო მსხვერპლი, რადგან მე იქ ვიყავი. თორემ იგივე ხალხია ხელისუფლებაში და რა შეუძლიდათ ხელს 26 მაისის მსგავსი არ გაეკეთებინათ 7 ნოემბერსაც?!

1996 წლამდე არავის ახსოვდა არც მამაჩემი, არც მე. არც ბინძური, შავი პიარ-სტატების წერა ჩვენივე სტატიები განიდა მას შემდეგ, რაც ფვანამ და სააკაშვილმა დაინახეს, რომ ბურჯანაძე პოლიტიკურ ფიგურად იკეთებოდა. 1997 წლიდან დაიწყო ჩემი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ შავი პიარი და დღემდე ცდილობენ ამის გაკეთებას.

ჩემი შეცდომა მამინ იყო ის, რომ მე ყველაფერ ამას ზემოდან ვუყურებდი, ჩემი ღირსების შემლახველად მიმჩნა რეაგირება – ხალხი მიხვდება-მეთქი, არც შედიას ვაკონტროლებდი, არც არასამთავრობო ორგანიზაციებს და არც იმას ვიკადრებდი, შეკვეთილი წერილები დამეწერივნებინა და...

**– ახლა აკონტროლებთ სიტუაციას?**

– ახლა, უბრალოდ, დიად ვამბობ იმას, რასაც ადრე არ ვამბობდი.

ირანდა კალანდაძე



დღეს მამა გავაცვილე უკანასკნელ გზაზე! მართლა მეგონა, რომ ცხოვრება დამთავრდა!

მამას სულ ჰქონდა იმედი, რომ ქართველ ხალხს ღირსების გრძობა გაუმძაფრდებოდა და საქართველოში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, თუმცა ყოველთვის ამატებდა, მე ვერ მოვესწრები, თქვენ გაიხარეთო... მისტიკური დამთხვევა იყო ალბათ, რომ მისი დაკრძალვა 27 მაისს, 3 საათზე დაემთხვა! ის კიდე ჩვენთან იყო, როცა თქვენ, ჩემო მეგობრებო, იკრიბოდით თავისუფლების მოედანზე! როგორ ელოდა ამ დღეს?! მადლობა, მეგობრებო, ვინც ჩემს მაგივრად იღებთ იქ, ვინც ჩემი ძმების მაგივრად იღებთ, ვინც მამაჩემის მაგივრად იღებთ! მიყვარხართ, მეამაყებით, მეომედებით!

ძალიან სასაცილოა, როდესაც სასაცილოდ იღებენ კოალიცია „ქართული ოცნების“

დღევანდელ აქციას. თითქოს არაფერი მომხდარა, მერე რა რომ ამდენი ხალხია. არა ამდენია, არა ამდენი და ესე გაუთავებლად. რეალობა და ფაქტი კიდე ისაა, რომ ძალიან სერიოზული განაცხადი გააკეთდა. ძალიან ბევრი ხალხი მივიდა და საკმაოდ სერიოზული ალტერნატივაა. ამიტომ ხელისუფლებას მოუწევს სერიოზული დასკვნების გამოტანა და საარჩევნო კამპანიის სწორად დაგეგმვა და რაღაც რაღაცების შექცევა და გადახედვა.

მიტინგზე რაც ითქვა, პირველად არავის მოუსმენია და ის ხალხი არც მანამდე შემოეთებულა,

არც დღეს. პირიქით, უხრიდათ, მოსწონდათ და იმედინად დაბრუნდნენ შინ, რომ რეალურად კიდე მეტი ადამიანია მათი მხარდამჭერი. თუ რაღაც პროცენტი ცნობისმოყვარეობამ მიიყვანა (ეჭვი მაქვს, ძალიან მცირე რაოდენობა იყო ასეთი), გასაოჯაროსწინებელია, რომ გარკვეული რაოდენობა ვერ ან არ მოვიდა, მაგრამ მათი მომხრეა. ასე მარტივად არაა საქმე.

მოკლედ ჩაიარა. მთავარია, ხალხის მუხტის ტესტირების თვალსაზრისით, კარგი მაჩვენებელი იყო. ვისაც არ მოსწონს, მოსინჯეთ და გამოიყვანეთ ამდენი ხალხი :) ფაქტობრივად, ევროპულ სტილში საარჩევნო კომპანიის გამოცხადება იყო ეს.

ნეტა, მიშა რა ხასიათზე იყო დღეს? ყოველგვარი პარტიულობისა და პოლიტიკური თვალსაზრისის გარეშე, მგონი დრო მწუხარება გამოვხატოთ ნაციონალურ მოძრაობის პანაშვილის გამო.

ასეთია ჩემი უბედუნა ..... :) რას იზამ, ამქვეყნად ყველა და ყველაფერი წამსვლელია ხალხო და შეეგუეთ ამას. იმედია, ეს რაც დღეს ხდება, ქართული პოლიტიკის გარდამავალი ეტაპი იქნება.

ჩვენ მოგვპარეს თავისუფლება და ყველა მისი თანამდგევი სიკეთე, ბიძინა ივანიშვილი მისი დაბრუნების შანსად მოგვევლინა. ჩვენ, ყველამ, თვალი უნდა გავახილოთ, დავინახოთ და გავვხვო ჩვენს შანსს ბიძინას და „ქართული ოცნების“ სახით. არ დაგვავიწყდეს, „თავისუფლების ქურდები ბოლო ფაზს მუდამ დასვლიან, -როდის დგება ეს ბოლო ფაზა? სწორედ მაშინ, როცა ხალხი თავლებს ახლეს.

მეგობრებო, ხლა შემოვედი სახლში და მინდა გაცნობოთ, რომ ისტორიას არ ახსოვს ამდენი ხალხის გამოხვევა ასეთ პატივსა და პატივსაში!!!! მორჩა იმაზე საუბარი, რომ ხალხი დაშინებულია, განარაცხებულა და ა.შ!!!! ყველაფერი როგორ, თუკი მიზანი ნათელია და ერთობის რაღაც განცდა არის! ყველას გილოცავთ და მომავალ გამარჯვებებს გილოცავთ.

ეკა კვესტაძეს გთხოვთ გააგებინოთ, რომ გერმანიაშიც და საფრანგეთშიც ყველა მოქალაქე სახელმწიფოს მიერაა დაზღვეული. ვისაც ეს დაზღვევა არ მოსწონს ან უფრო მეტი უნდა, მათ შეუძლიათ დაეხვეწონ კერძო სადაზღვევო კომპანიებში.

ჩემო კარგებო, მართლა რა სასწაული ხალხი ვართ რა, საერთოდ ახლა რომ გადავთვალე, უხეშად მოსახლეობის 5% გამოვიდა დღეს აქციაზე და წარმოდგინეთ ჩინეთის რუსეთი ან ამერიკის 5% რომ გამოდიოდეს საპროტესტო აქციაზე!!!! ასეთი რამე მარტო აქ თუ შეიძლება მოხდეს ერთსულოვნად სოლიდარულად მშვიდობიანად :) რაც მთავარია, ეს სოლიდარობა და ერთსულოვნება არჩევნებამდე სწორ კალაპოტში მიდის და არჩევნების შემდეგ გამარჯვების იმედს იძლევა :)





გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კახაძე:

– კახა, დღეს პრო-დასავლური ძალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელობას დაკნინებას ცდილობენ. როგორ ფიქრობ, რითაა ეს განპირობებული?

– საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს დროში ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც პოლიტიკაში პრინციპების გამოა და ქვეყნის განვითარებას სტრატეგიულად უყურებს. ხალხი, რომელიც რუსეთზე ამგვარ ტონალობაში საუბრობს ან პოლიტიკურად, ან პუბლიცისტურად, ან ვიდეოს ასისტენტი და რუსეთთან ურთიერთობებს, როგორც საარჩევნო თემას, ისე აღიქვამს. ამ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი სულაც არ არის, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ყველაფერმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. „თავისუფალი საქართველო“ სწორედ ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაზე, ხედავს ორიენტირებული და რუსულ-ქართულ ურთიერთობებს აქედან გამომდინარე ვაფასებთ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს არ არის მხოლოდ გაშლის ან ციტირების თემა. სამწუხაროდ, დღეს და ბოლო 20 წლის მანძილზე, გამსახურდას დამხობის შემდეგ, პოლიტიკური ელიტის 99 პროცენტი კორუმპირებულია. პოლიტიკური კორუფცია ზოგს მხოლოდ უკანონოდ ქრთამის აღება ჰგონია – ეს კორუფციის ლეგალური, ანუ იურიდიული განმარტებაა, მაგრამ ვიტყვით, თუ რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ კორუმპირებული არა მარტო სახელისუფლო, არამედ ოპოზიციური პოლიტიკური ელიტაა. ამ ადამიანების მოტივაცია არის კარიერა, ფინანსები და არა ის, რომ გარკვეული პოლიტიკური კურსი გაატარონ.

ქართული ეკონომიკის ყველა ძირითადი დარგი პირდაპირ რუსეთის ბაზარზეა მიბმული. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ, აქ უბრალოდ ჩაის ან ვენახის გადარჩენაზე კი არა, არამედ საუბარია იმაზე, ვიქნებით ისევ ღატაკი, აფრიკული დონის ქვეყანა თუ შევძლებთ დავიბრუნოთ განვითარების სოციალ-ეკონომიკური პარამეტრები, რაც 80-იანი წლების ბოლოს გვექონდა. ჩვენს ოპონენტებს ეს არ აინტერესებთ. მეორე, რაც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია, ესაა აფხაზეთი და სამხაბლო, რომლის დაბრუნება მხოლოდ რუსულ-ქართული კომპრომისის შედეგად შეესაძლებელია. საუბარია იმაზე, რომ ოდესღაც ამერიკული სამხედრო მანქანა რუსეთის სამხედრო ძალებს, რომლებიც აფხაზეთისა და სამხაბლოშია განლაგებული, რაიმე დარტყმას მიაყენებს, ისეთივე სასაცილოა, როგორც ქართული ექსპორტი საფრანგეთში. უნდა გვესმოდეს, რომ აფხაზეთის და სამხაბლოს რეინტეგრაციის ერთადერთი გზა რუსულ-ქართული დიალოგია. ბოლო 200 წელია, ანუ ნაპოლეონის ომებიდან მოყოლებული, რუსეთის ფაქტობრივ იგნორირება მსხვილი საერთაშორისო კონფლიქტის დროს, პრაქტიკულად ვერ ხერხდება. რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა. მსოფლიო კარდინალურად უნდა შეიცვალოს, ახალი გამოგონებები, ახალი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია უნდა მოხდეს, რომ

# ruseT-saqarTvel os urTierTobis Tema Rvinis da citrusis gayidvis Tema ki ara saqarTvel os yofna-aryofnis Temaa

ამ ბირთვულმა იარაღმა ის მნიშვნელობა დაკარგოს, რაც დღეს მსოფლიო პოლიტიკაში გააჩნია.

– კახა, სააკაშვილმა განაცხადა, აფხაზეთი ჩვენი არასოდეს ყოფილა. ამ ფაქტს 2008 წლის ომის მსგავსად ოპოზიცია მორატორიუმს უცხადებს, რით აიხსნება ეს დემოლი?

– ამ შემთხვევაში, სააკაშვილის განცხადებებს ნაკლებად ვაკრიტიკებ იმიტომ, რომ მასთან დაკავშირებით აზრი უკვე ჩამოყალიბებულია. იგი

ლი დამოუკიდებლობის მქონე ქვეყანა. ეს ორი პრინციპულად განსხვავებული ამოცანაა. პირველ შემთხვევაში, ნატოში ინტეგრაცია ესაა „რესპუბლიკური პარტიის“ ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი, რადგან ნატო მათთვის ერთგვარი ერთგულების ფიცია, ხოლო ჩვენი გადასახდელიდან ქვეყნისთვის მთავარია მისი პოლიტიკური სტაბილურობა ეყრდნობიდან არა იმას, მხარს დაუჭერს თუ არა თეთრი სახლი ქვეყნის ხელისუფლებას, არამედ ქვეყნის მოსახლეობის და პოლიტიკური სექტორის 90 პროცენტი ამ ქვეყნის მოწინააღმდეგე უნდა იქნებოდეს. ამიტომ, ნატოში ინტეგრაცია და რუსეთთან კონფორმაცია, ჩემი თვალთვლიდან აბსოლუტურად მიუღებელი კურსია, მაგრამ ლიბერალიზმის გადასახდელად, ეს აუცილებელია. ეს მათთვის ხელისუფლების სტაბილურობის მთავარი ფუნდამენტია.

– ანუ, ლიბერალური დირექტივები უნდა დაინერგოს და არა შეიცვალოს? ისტორიულად თუ გადავხედოთ, რეალურად რუსეთმა გადაარჩინა საქართველო. ახლა კი როგორც ვთქვით ვარაუდით ტერიტორიებს და რაც ერთგული დაგვრჩა, იმასაც ამერიკა ყოფიანად შესვს და ვიჯივინს.

– გამოსავალი საზოგადოებრივი აზრის შექმნაა. თქვენი გაზეით ამ კუთხით ძალიან დიდ საქმეს აკეთებს, ასევე – რამდენიმე პარტია, მაგრამ, სამწუხაროდ, მცირედნი ვართ. ამიტომ ამ ყველაფრის კოორდინირება, ერთგულ საკოორდინაციო საბჭოს შექმნა უნდა მოხდეს. დია ან იბრძოდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. მან იცოდა, რომ ამას ერთი ადამიანი ვერ გადაწყვეტდა. სამაგიეროდ, მან ათეული წლები სწორედ ეროვნული თვითშეგნების და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას შეაღწა და ეს მხოლოდ მრავალპლასტიანი ფორმატის ბრძოლის შედეგად მოხერხდა. ვფიქრობ, ილიასგან უნდა ვისწავლოთ, გამოსავალი სწორედ ეროვნული იდეოლოგიის ყველაგან დანერგვა და „ერთი გაზეთი“ სწორედ ამას ემსახურება, აუცილებელია ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების შენახვა და აღდგენა. თუ როდის იქნება ეს ამოცანა რეალიზებული, პოლიტიკურ ვითარებაზე დამოკიდებულია. ჩვენ, პატარა, სამილიონიანი ქვეყანა ვართ და დინების წინააღმდეგ ვერ წავალთ. ამიტომ უნდა შეიქმნას კონკრეტული ისტორიული მიმენტი, როდესაც ამის რეალიზებას შევძლებთ, მაგრამ ეს საზოგადოებას უნდა უნდოდეს, მან ამისთვის უნდა იბრძოდეს.

– გამოდის, რომ რეალურად, ქართული და რუსული ინტერესები ჰკვირვებენ ერთმანეთს და არა ამერიკულს. მაშინ რა ხდება, რატომ ასცდა ეს ინტერესები ერთმანეთს?

– პირველ რიგში, რუსეთის ადვოკატობა რომ არ დამწამონ, ვიტყვი, რომ ამ ქვეყანას, რა თქმა უნდა, დღეს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. ნამდვილად გეთანხმები, ოკუპაცია ეს არის ფაქტი და შედეგი, მაგრამ თუკი მიხედავთ ვიმსჯელებთ, რუსეთსა და საქართველოს შორის არანაირი გადაუღალახვი წინააღმდეგობა არ არსებობს. ამას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: პირველი – ესაა მართლმადიდებლური რელიგია. ეს ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ, სარწმუნოება. ისევე როგორც ქართული, რუსული კულტურა მართლმადიდებლურია. როცა სახელმწიფოთა თანაარსებობასა და პარტნიორობაზე ვსაუბრობთ, რელი-

გიისა და კულტურის თავსებადობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ქართული ვერასოდეს იქნება ტოლერანტული ზოგიერთი ჩვენი მოძმე მუსულმანი მეზობლის რელიგიისა და კულტურის მიმართ. კულტურული და რელიგიური თავსებადობა ესაა ფაქტორი. დღესაც, როდესაც ამერიკულ გავლენაზე ვსაუბრობთ, რატომ, რომ მთელი ქართული კულტურა სტაგნაციას განიცდის? – იმიტომ, რომ ის ფასეულობები, რომელსაც ამერიკა ქადაგებს გეო-პარადებში და სხვა, რომელიც ევროპაშიც გაკოტრდა უკვე, მით უფრო არათავსებადი საქართველოს ეროვნულ სხეულთან. მეორე ფაქტორი, რაც რუსულ-ქართული სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლო პერსპექტივებში მნიშვნელოვანია, ესაა ის, რომ რუსეთი ლიბერალური იმპერიაა. რა თქმა უნდა, რუსეთი კლასიკური გაგებით იმპერიაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს დასუსტებულია, კარგად უნდა გვესმოდეს შემდეგი – ეს არის ძალიან დიდი იმპერიული ტრადიციების ქვეყანა, რომელიც როგორც სააკაშვილს ჰგონია, ასე იოლად ვერ ამოვარდება მსოფლიოს გლობალური დიდი პოლიტიკის კონფიგურაციიდან. ამიტომაცაა რომ, რუსეთის ყოველთვის ანგარიშს უწევს. აშშ-ს პრეზიდენტი ყოველთვის თავის პირველ სამიტს მართავს არა საფრანგეთის, ჩინეთის, გერმანიის და ა.შ. არამედ რუსეთის მიმართ. რუსეთი არასოდეს ქადაგებდა მულტაკულტურალიზმს. რუსეთის იმპერიული კონცეფცია შემდეგია: რუსი ერი ესაა სახელმწიფოს წარმოქმნილი ერი და მასში ცხოვრობენ სხვა ერებიც, რომლებიც რუსეთის იმპერიის ნაწილი არიან. მათ

როგორც საბჭოთა საქართველოს მთავრობას, ეს ფაქტია. მაშინ ნამდვილი კულტურული ბუმი იყო. ეს არის მნიშვნელოვანი განსხვავება. აშშ რაც მოვიდა, საქართველოში საერთოდ დაიხურა სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული სფეროები. გვეუბნებიან, რომ ეს არის სოციალიზმის და კომუნისმის გადმონაშთი, რისი ადგილიც თავისუფალი ბაზრის პირობებში არ არსებობს. ამერიკა არის უკულტურო იმპერია. რა თქმა უნდა, საქართველო ვერ იქნება სრულიად დამოუკიდებელი. არაფერი მიუღებელი არ იქნებოდა ამერიკაზე დამოკიდებულად ყოფნაში, იგი ქართული ეკონომიკის და კულტურის დანერგვას რომ არ იხსნავდეს მიზნად. ისრაელის და თურქეთის მსგავსი პარტნიორობა რომ ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა ფიქრი ამ პარტნიორობის შენარჩუნებაზე, მაგრამ აშშ-მა ჩვენ შემოგვთავაზა პარტნიორობის ისეთი პირობები, როგორიც ავღანეთთან და ერაყთან აქვს. არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რაც დღეს ხდება. შშირად მეუბნებიან, რომ რუსეთი ბიროსიმაზე დიდი ტრავმაა, ბატონო, იმპერია, კეთილი არ არსებობს, მაგრამ არ მესმის ლოგიკა – რატომაა რუსეთის იმპერია უფრო ბიროტი, ვიდრე აშშ-ის. მსოფლიო ისტორიაში ხიროსიმაზე დიდი ტრავმა არა მომხდარა. ამიტომ, ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, ვითარების ობიექტური აღქმა უნდა შევძლოთ. გიორგიევსკის ტრაქტატის დროს, 1801 წელს ქართველები კუნტრუმ-კუნტრუმით ჩაბარდნით რუსეთს, რატომ? – იმიტომ, რომ არანულებივან გაწაბული ვიყავით და ირანს ბოროტების ღერძად, რუსეთს – ფრთიან ანგელოზად აღვიქვამდით.



არასდროს ჰქონიათ ისეთი პოლიტიკა, რომ ყველა უნდა გარუსდეს და იქ მხოლოდ რუსი უნდა ცხოვრობდეს. ამერიკაში ეს არ არსებობს, იქ არის მხოლოდ ამერიკელი. ამერიკა შლის ყოველგვარ იდენტურობას. როცა ხარ ამერიკელი, ვეღარ იქნები ამერიკელი – იტალიელი, ან ამერიკელი – ფრანგი. შევხვდებით რა პოლიტიკას ატარებენ ეს იმპერიები დაპყრობილ ქვეყნებთან მიმართებაში. ამერიკელებმა ინდიელები რეზერვაციებში მოაქციეს, მას შემდეგ, რაც 95 პროცენტი გაფილიტეს. დღეს, ინდიელებს ტყვენი ცხოვრების გარდა სხვა უფლებები არ გააჩნიათ. რუსეთის მოდელი, რომელიც სტალინის დროს შეიქმნა შემდეგს გულისხმობდა – ყველაზე განუვითარებელ ერებსაც კი რესპუბლიკები შეუქმნეს. რუსულ კოლონიზაციამდე იაკუტის რესპუბლიკა კი არა, სამთავროც არ არსებობდა. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი რუსეთს ენიჭებოდა, მაგრამ კულტურის წაშლა მათი ამოცანა არ ყოფილა. საბჭოთა პერიოდის საქართველოში არასდროს ქართულ ენაზე, ფოლკლორზე ისე არცერთ მთავრობს არ უხრუნია,

– რაც შეეხება ბურჯანაძესთან „თავისუფალი საქართველოს“ კოალიციას, რა პერსპექტივებია ამ მიმართულებით?

– კოალიციაზე კონსულტაციები მიმდინარეობს და, ალბათ, აგვისტოსეკტემბერში მიიღებს დასრულებულ სახეს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბლოკი შეიქმნება და იქნება ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც უახლოეს წლებში პოლიტიკური ზრდა ექნება. მხოლოდ ჩვენ ველაპარაკებით ქართველ ხალხს იმაზე, რაც რეალურად მათი საწუხარია. ყველა დანარჩენი ძალა ხალხს ეუბნება – სიტყვაზე მენდე. ყოველგვარი დელიკატურობის გარეშე მინდა გითხრათ, რასაც ისინი გვთავაზობენ, ქართველ ხალხს ფეხებზე ჰკიდია – ნატოც, საარჩევნო კოდექსიც და ა.შ.

– ანუ, რა აინტერესებს ქართველ ხალხს?

– როგორ მოხდება უზუმიერობის პრობლემის დადგენა, სოფლის გადარჩენა და ა.შ. ხალხი ამაზე წუხს და არა იმაზე, გაწვევანიდება თუ არა ნატოში საქართველო.

თაბარ შვილიძე

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში  
www.saertogazeti.net  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**

10 გვ.

რის ადამიანების უმრავლესობამ არჩევნებზე ივანიშვილს ხმა არ მისცენ. აქედან გამომდინარე გამოდის, თუკი რუსული კურსის მომხრე პოლიტიკური ძალები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, რუსეთთან ურთიერთობის მომხრე ადამიანები საკუთარი იდეის განმახორციელებელი პოლიტიკური ძალის გარეშე რჩებიან. თავისთავად ამ კატეგორიის ამომრჩევლებიც ხომ ოპოზიციური ელექტორტის წარმომადგენლები არიან და ხელი-სუფლებასთან ასეთ მწვავე ბრძოლაში რატომ უნდა დაეკარგათ მათი ხმები? ამიტომ ტაქტიკურად სწორი იქნება თუ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობის აფიშირებას არ ერიდებიან, საარჩევნოდ ერთ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდნენ და საკუთარი საარჩევნო ხმებისთვის იბრძოლონ.

— ბიძინა ივანიშვილის მიერ გავრცელებული წერილი, რომელიც მან მანიფესტაციამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაქვეყნა, „ქართული ოცნების“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს ვეტო დაადოს ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რადგან იგი საპარლამენტო არჩევნებითა და ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით სარგებლობას არ აპირებს. როგორ ფიქრობთ, 27 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე ივანიშვილის მხრიდან რამდენად მართებული იყო მსგავსი განცხადების გაკეთება და

ლის გადაწყვეტილება მორალურად გამართლებულია. ბატონ ბიძინას, გადაწყვეტილების დროულობას რაც შეეხება, იგი კანონპროექტის ინიცირების დღიდან მოყოლებული ამბობდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებით არ ისარგებლებდა.

— როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის განაცხადი, რომ მან, შესაძლოა, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს და საარჩევნო სიის პირველი ნომერი არ გახდეს, ეს ფაქტი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების რაოდენობას ხომ არ შეამცირებს?

— ბიძინა ივანიშვილმა თუკი მოახერხა და საზოგადოებამდე სწორედ მიიტანა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივაცია, მაშინ შედეგი უარყოფითი არ იქნება. აქ პრობლემას ქმნის ის, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ორი საინფორმაციო ველაა. ერთი — ეს არის თბილისი, მეორე — რეგიონები, სადაც ინფორმაციის ვაკუუმი. რეგიონების დაახლოებით 30 %-საც კი არ მიუწვდება ხელი იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ყოველდღიურად იღებს თბილისის მოსახლეობის 80-90%. ივანიშვილი თუ ამ რეალობის გარდატეხას შესძლებს მაშინ ის არჩევნებზე მისთვის სასურველ შედეგს მიიღებს. ივანიშვილმა უნდა შექმნას რეგიონებში ისეთი საინფორმაციო ველი, როგორც შექმნილია თბილისში. რეგიონებში თუ „ქართული ოცნება“ შეძლებს იგივე განწყობის შენარჩუნებას, შიშის გატეხვას და, რაც მთავარია, ამომრჩევლის საკუთარ შესაძლებლობებში დარწ-

# vinc dRes biZina ivaniSvil is wi naaRmd eg i l aSqrebs, i s saakaSvil ze uaresia!

გვესაუბრება პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თამარ შამაგიაშვილი.

— ბატონო თემურ, როგორ შეაფასებთ 27 მაისის შეკრებას?

— 27 მაისი ისტორიული დღე იყო. არა მარტო იმიტომ, რომ ამ რაოდენობის მასა არ შეკრებოდა, არამედ იმიტომაც, დანარჩენი საქართველოს 90% ასე ფიქრობს.

ამ დღემ გააძლიერა ეროვნული განწყობა იმედი ჩაუნერგა ხალხს და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

— იმასაც ამბობენ, ახლა ხელისუფლება უამრავ მზაკვრულ ჩანაფიქრს განახორციელებს და ამ დღისთვის მწარედ გასწავლავინებო...

— დიახ, ასეა, და დღეს უკვე საუბრობენ, თუ რატომ განათავისუფლეს მათი მიმინოშვილი. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება ხელისუფლება უამრავი მეთოდით დაიწყებს ბრძოლას. სამსახურებიდან დათხოვნაც არ არის გამორიცხული.

აღმოჩნდა, რომ ქალბატონი

ბიძინა ივანიშვილის და იმ განწყობის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ქართულ ოცნებასთან არის დაკავშირებული დანაშაულია. არ ვამბობ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ალიანსზე, არამედ სახელდობრ ქართულ ოცნებაზე.



## დღესდღეობით ბიძინა ივანიშვილს ჩვენში — სამართავლოში მოქმედ ყველა პოლიტიკოსზე, მტრის ბაჰამისთანაა მთავარი მხარე, რომელიც ბატონი ბიძინას წინააღმდეგ?

გაოცებული ვარ, გაოცებული... სკამის კაცი ყოფილხარ შალვა ბატონო. ნათელაშვილს ვგულისხმობ, გაცნობიერებული გაქვს, თუ არა, ფაქტი ერთია — ამ ხელისუფლების საქმეს აკეთებ. ჯერ ხომ ყველა დაგვლანძობდა, ვინც 27 მაისს შეკრებაზე იყო, ფულის გამო მივიდნენო. დედამიწის ზურგზე, მამაპაპისეული სახლის იქეთ არაფერი გამაჩნია, ბატონო შალვა.

ქვეყნისთვის საბედისწერო ფაქტია. ისეთი ხელისუფლება მოვიდა, რომ უარესის ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო. ჯერ კიდევ 1997 წლიდან ვამბობდი გაუნონასწორებელი და დამლუპველი ხელისუფალი გვეყოლება სააკაშვილის სახით-მეთქი, არ მომისმინეს.

თუმცა დღევანდელ მოცემულობაში თამამად შემიძლია ვთქვა და კიდევ განემორღობი: არავის შეუძლია ქვეყნისთვის იმდენი სიკეთის გაკეთება, რაც ბიძინა ივანიშვილს ხელეწიფება.

იმ 300 ათასის ნების წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ, პატივი ვცეთ 27 მაისს შეკრებილი ქართველი ხალხის ნებას. თუ საქართველო გვიყვარს, თუ სკამზე არ ვართ დადარჯებული, რატომ უნდა განვუდგეთ მას? იმის გამო, რომ არ ვარ ალიანსში, გავბოროტდები? არამც და არამც. თუმცა იმასაც ვიტყვი, ბატონმა ბიძინამ უნდა მოცილოს ხალხი, ვინც გაყოფიდა მასთან ალიანსში შესვლით და ასეთი ბევრია. ახლა ისინი რატომღაც მენტორული ტონით გვესაუბრებიან. აი, ეს პირები ბიძინა ივანიშვილსაც დალუპვენ და საქართველოსაც.

## — შალვა ნათელაშვილის გარდა კიდევ ვინ გვათ მხედვლობაში?

— არ მინდა, ზვიად ძიძიგური ასეთი ტონით ელაპარაკებოდეს „სახალხო კრებას“ ან კიდევ ბერძენიშვილის განაცხადი რას ჰკავდა? მხოლოდ ჩვენ ვართ გაუსვრელი ძალაო, ძალიან შევშალა. ე.ი. მის გარდა ყველა მოსყიდული და მოღალა-

ტა? რატომღაც არ მგონია, ასე იყოს. დიახ. ბევრს არ აწყობს ივანიშვილის და „სახალხო კრების“ ალიანსი. არადა, მისი პროგრამა კრების იდეოლოგიასთან სრულ თანხმობაშია.

არ ვეხები უსუფაშვილ-ხიდაშელის გაერთიანებას, რადგან იდეოლოგიით აბსოლუტურად განსხვავდებით.

არასოდეს ვიქნები ის პიროვნება, ამერიკის საამაბელად საქართველოს და ქართველობის საწინააღმდეგო საქმეები ვაკეთო.

სხვათაშორის, ვინც ვერ იცხოვრა სწორად, ვინც ცდუნდა, მათ შორის ძალიან ბევრი ბიძინა ივანიშვილს ახვევია თავს იმედი მაქვს ამ გარემოცვას ბატონი ბიძინა გადახედოს და დროთა განმავლობაში ვითარება დაიწმინდება. აი, ამ ხალხმა პოლიტიკა აქცია ბიზნესად. როცა ისინი არ უსისინებენ, მაშინ ივანიშვილს არც არაფერი ემლება და სწორ სვლებს აკეთებს.

ბატონო ბიძინა, დიად ვაცხადებ, მე, თემურ შამაგიაშვილი მოწოდებული ვარ შექმნა ქართული ნების გამოხატველი პარტია, უთუოდ მიგულებთ მხარდამჭერად, მხოლოდ ამასთანავე ვიბრძობ იმისათვის, რომ ამ ეტაპზე თქვენ ირგვლივ თავმოყრილი რიგი პარტიები ვერ მოხვდნენ პარლამენტში. ჩემი პარტია არც კრემლს და არც თეთრ სახლს არ უკმეებს გუდრუკს. რადგან კულის ქიციანი ქართული თვისება ნამდვილად არ არის. თუმცა ივანიშვილის უალტერნატივობას ვალიარებ და მის გამარჯვებას მუდამ შევეწუვებ ხელს.

სხვათაშორის, ერთადერთი ნეგატიური რამ, რაც შეკრებას ახლდა ზოგიერთის მლიქვნელური გამოსვლა იყო: ბატონმა ბიძინამ ახლა მარჯვენა ფეხი შემოიღო...ახლა 200 მეტრშია, ახლა 100 მეტრით მოგვიახლოვდა და ა.შ.

ზოგად, 27 მაისი იყო ხალხის ნების გამოხატულება. ბატონი ბიძინას გამოსვლა მართლაც შეუდარებელი იყო, რადგან მოზომილი და საქმიანი განწყობებით ხასიათდებოდა. ყურადღება გაამახვილა იმ პრიორიტეტებზე, რაც სჭირდება და გადაარჩენს საქართველოს. როცა გვერდიდან არ უსისინებენ ალიანსის წევრები, ბიძინა ივანიშვილი შეუდარებელია.

ნათია ნოღია



## ზოგად ივანიშვილის ეს ნაბიჯი რამდენად დროული იყო?

— ფაქტია, ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას „ქართული ოცნების“ მიერ დავგვიღო მანიფესტაციაზე უარყოფითად არ უმოქმედია.

პოლიტიკოსი ხელისუფლებაში იმისთვის მოდის, რომ ხორცი შეახსას სახელმწიფოს უმაღლეს კანონს — კონსტიტუციას. ჩვენთან ეს ყველაფერი პირიქით ხდება, პოლიტიკოსის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კონსტიტუცია მისთვის ერთი ფარატინა ქალაღი ხდება. შეასაბამისად ივანიშვილი იგივე გზას რომ დასდგომოდა და კონსტიტუცია საკუთარ პერსონაზე მოერგო, ჩვენ მივიღებდით პოლიტიკოსს, რომელმაც ოპოზიციაში ყოფნისთანავე ფეხქვეშ გაათელა კონსტიტუცია და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ივანიშვი-

მუნებას, ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი შესძლებს დასახული მიზნის მიღწევას და გამარჯვებას საპარლამენტო არჩევნებში. თუკი, ამისთვის, „ქართულ ოცნებას“ ძალიან რთული ბარიერის გადალახვა მოუწევს.

## — როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი დააკმაყოფილებს ივანიშვილის მოთხოვნას და საკონსტიტუციო ცვლილებებზე ხელს არ მოაწერს?

— მგონია, მიხეილ სააკაშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებზე ხელს მოაწერს. თუკი სააკაშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებს ხელს არ მოაწერს მაშინ მის პოლიტიკურ კარიერაში მისი მხრიდან ეს პირველი ნაბიჯი იქნება, როცა ის შესძლებს უკან დახევას კიდევ უფრო წინ წასვლის მიზნით და ვნახოთ, რამდენად აჯობებს მიხეილ სააკაშვილი საკუთარ თავს.

მირანდა ნაბახტაშვილი

მაია და მისი ვაჟი ივანიშვილს გულშემატკივრობენ, 27 მაისს შეკრებაზე ყოფილან. ამ მოტივით გაათავისუფლეს.

იმ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლების თამაშს თამაშობენ მეტი დატვირთვა მიეცემა, მეტად დაავალდებულებენ. ყველაფერზე მაღლა ვდგები, რადგან მიყვარს სამშობლო და ვაცხადებ: დღეს ვინც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არა მხოლოდ პიროვნულად მის წინააღმდეგ, არამედ იმ განწყობის, რაც ქვეყანაში ბატონი ბიძინას კვალდაკვალ ჩამოყალიბდა, გამოვა, ის სააკაშვილზე უარესია.

მიუხედავად იმისა, ბევრი ჭეშმარიტი მამულიშვილი დარჩა „ქართული ოცნების“ ყურადღების მიღმა (სხვათა შორის, მათ რიცხვში მეც ვიგულისხმები)მანაც ვიტყვი: დღეს,

2011 წლის 26 მაისის სისხლიანი კალონად ერთი წელი გავიდა და ამ დღის თითოეული მსხვერპლი ტრაგიკული ამბავი ცალკე დასწერილი სისხლიანი ისტორია...

„საერთო გაზეთის“ სტუმრია ბატონი ლავით ნიკოლოზივილი, სამართალმცოდნეობის პროფესორი, საბურთალოს და კრწანისის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსი; ასევე, ეწ მ-5 იზოლატორში ერთ-ერთი მოადგილე ობერპოლიციის უფროსი და შემდეგ ეწ „კრიტიკის“ უფროსი.

არასდროს დამიძლავს ჩემი ვინაობა და არც ახლა დაემაღლა „სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო“, — ამ პრინციპით ვცხოვრობდი ყოველთვის. ბავშვობის მეტ-სახელი, ასე ვთქვათ, თიუნია, „ნიკოლა“ იყო და ასეც მიცნობენ დღემდე. 2007 წლამდე ამ მთავრობის სამსახურში ვიყავი, მეგონა, რამეს გააკეთებდნენ ქვეყნისთვის სასიკეთოს, მაგრამ შევცდი, ისეთი რამის გაკეთება მომთხოვეს, იძულებული ვიყავი, წამოვსულიყავი. სტრუქტურას ვერ ასცდები, მაგრამ, რამდენადაც შემიძლო, როდესაც სასჯელალსრულებლობაში ვიყავი, პატივსაცემად ვაგუროლე ყოფა და მათ პატივსაცემად, მაგრამ შემდეგ იქაც მომაგნეს და...

თავდაპირველად მადლობებს მიხდებოდა, ვერ კიდევ პოლიციის უფროსობის დროს, ისეთი მკვლელობები მაქვს გახსნილი (35 წელია ასეთი საქმეები არ გახსნილა). „ციხის ბუნტი“ რომ მოხდა, სამი დღის მისული ვიყავი და ისე დავაღაგე სიტუაცია, ახალაღას ნათქვამი აქვს: ასე „კრიტიკის“ დამიძლავს; ფაქტიურად, იქიდან, ანუ სასჯელალსრულების „ხერხემლიდან“ მომივიდა. „კრიტიკის“ დავალაგე. სიკვდილიანობის პატივსაცემად ვიყენე, 26 კაცი, ისეთები, მათთან იქაური თანამშრომლები ვერ შედიოდნენ, გარედან ელაპარაკებოდნენ. თავდაპირველად მეც ცუდად შემხდებოდა, მაგრამ გამოეხატა

„სახალსო პატრული“ რომ შეარქვა, მე, „კორკოტა“, ვი ბურჯანაძე, სულ 4-5 კაცი ვიყავით მისი ჩამოყალიბების. მაშინ, ჩვენ, ფაქტიურად, დავაკავეთ რუსთაველის პროსპექტი, პატრული ვერ შემოდიოდა, ასე იყო ტელევიზიისთანაც, ესენი რომ შემოვიდნენ, გაიქცნენ — ძალას წარმოვადგენდით, ისეთი კარგი კაცები დავვიდგინე გვერდზე, ვაუკაცო კაცები. მაშინ გავიცანი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, ქალბატონი ნინა, საქართველოს სიწმინდე... 26-ში ჩვენ ვიყავით არა როგორც საზოგადოება, არამედ როგორც მოქალაქეები. ალყაში რომ მოგვკეტეს, იმხელა ფიზიკური ზეწოლა იყო, ხალხმა ფაქტიურად გადაჯვავა ჩვენი სასიქაღლეო მოღვაწეობა. ქალბატონი ნინა რომ წაიქცა, ვეღარ მიეწვდი მისაშველებლად იმ ჭყლეტვაში, მაგრამ ბატონი გოგი ქავთარაძე, შემოიღია ვთქვა, რომ მე გამოვიყვანე (მერე პლასტიკური ტყვია მოხვდა ყელის არეში). მერე კი ისეთი ამბავი იყო, ფეხი ვეღარ დავდგი მიწაზე, პაერში მყოფი შემოიტანეს „რუსთავე-

ბიჭო, რას მაგინებ-მეთქი. გავინებ კი არაო, „დუბინკები“ ჩამარტყვეს და ვილაგას დაუძახა, ხელები ისე შეუკარით, სისხლი გაუჩერდესო. ვინ დავიჭირეთო, — წარმოვდგენა არ ჰქონდა მერე ნიღბიანს. ეს „ნიკოლაო“, ეხლა ხარ უკმაყოფილო, როცა აღარ მუშაობ? — და შემიკრეს კიდევ ხელები.

— ის პლასტიკის თასები ხომ სხვა დანაშაულებებისაა, სინამდვილეში რაში გამოიყენება სასწრაფოს ექიმისგან ვიცი, რომ მისი დიდხანს მოჭერა განგრუნას იწვევს.

— ასეა, „ხამუტია“, რაღაცის მომჭერი, ბევრად მტკივნეული, ვიდრე რკინის ხელბორკილი. სხვა გადახარისხებულებთან ერთად დამაგდეს კინოთეატრის სცენაზე. იქაც დამაგდა ის ნიღბიანი და ძაღლის ლეკვები რომ იტყვიან, ისე ითხოვა ჩემი თავი, ეს მე მარჩუქით. წაიყვანეთ. სად-

უნდა გაუუსინჯო. ისე გამიხსნა იმან ხელები დანით, რომ ხელიც გამიჭრა. არცერთი აღარ ესინჯება, კვდება და უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში. წაიყვანეთო.

იმისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ ვიყავი. მილიანად ემაგმაგებდი. როგორღაც შექმნილი სიარული, თორემ საკაცები აღარ გვაქვს და აქედან



# 26 maisis tragikuli i Ramis Semdeg mtkvars zurgsukan xel ebSekrul i cxedrebi mohqonda...

ლის“ კინოთეატრში. უკვე მივხვდი, რომ დახურულ სივრცეში გვიმწვევდნენ და გარეთ გამოსვლა მოვახერხე, მაგრამ 7-8 პლასტიკური ტყვია მომხვდა დამიხვებით და ვხედავდი ვინც მესროდა. ალყაში ვარ, განწყობა, გაღუმული, ცალკე ტყვიელი მახსენებს თავს და მივხვდი, რომ იქიდან გარიდების შანსი არ არსებობდა — უკანვე შეებრუნდი, სადაც ყველა, იქაც მე-მეთქი. ერთხანს

დაც ოთახში გამიყვანეს. შვიდნი იყვნენ, ალბათ, სათანახეარი მინც „დუბინკებით“ და წიხლებით მცემდნენ უმოწყალოდ, 2-3-ჯერ გონება დავკარგე და დარტყმისგან მოვიდოდი ისევ გონზე. ტყვიელს ვეღარ ვერჩნობდი უკვე გაბუღული და ვინებზე მეც ვაგინებდი. მერე მითხრეს ნინო ბურჯანაძეს შეაგინეთო. არანაირი პარტიის წევრი არ ვარ, მოსული ვარ როგორც რიგითი მოქალაქე და რატომ მკლავ, ვინ ხარ მეთქი. შენ ხომ „ნიკოლა“ ხარ, მოსაკლავების სიაში წერისხარო. დავილაღე უკვე ცემისგან. მეთქი, ხელები გამიხსენით, მართლა ხომ არ უნდა მომკლათ, სახე მოვიწმინდომეთქი — ცხვირი აღარ მქონდა საერთოდ, ჩამსხვერული იყო (ოპერაცია დამჭირდა, მერე) სისხლი რომ ჩამდიოდა ისედაც გახსნაყლას, ვეღარ ვსუნთქავდი, ვიგუდებოდი. რა სუნთქვა, ნახე, რა კარგი იდუა მოგვცაო, ცელოფანი ჩამომაკვეს თავზე და რომ კრავდნენ, „სოლი-ს“ ფორმას ჩაცმული ვიღაც შემოვიდა. იმას გადააბარეს ჩემი თავი, ამას უყურე, უნდა გაიგულოს, ჩვენ ხალხს მივხვდით იქო. სანამ ცელოფანი დაიორთქლებოდა, ვხედავდი როგორ იცინოდა ჩემს ფართხალზე ის ვიღაც. გასაგები იყო ყველაფერი, ვკვებოდი, მაგრამ ისე, რომ არაფერი აღარ მტკიოდა. ამ დროს, სწორედ ისე, ანგელოზები რომ მოგვლანდებინა, კარი გაიღო და თეთრხალათიანი კაცი შემოვიდა ორ ქალთან ერთად, აქ რა ხდებაო. არაფერიო. რა მიხვედრა უნდოდა, თავზე ცელოფანი მქონდა წაკრული, ხელები გაკოჭილი და მთელ ოთახში სისხლის გუბები იდგა. ძალიან ვაუკაცურად დადგა ექიმი, ხელები გაუსხენი, წნევა და პულსი

ვერ გავიყვანათო. — იმდამინდელი „პორიგე“ ექიმების რეპუტაცია ეგვიტემ დადგა და თქვენ მართლა ანგელოზები მოგვლენიან...

— მეც ვე ვიფიქრე მეთქი, სად მივეყვარ, იქნებ ამათები არიან და მოსაკლავად მივეყვარ — ვინაიდან ვხედავდი რაც ხდებოდა, უკვე ყველაფერს ვფიქრობდი. სასწრაფოს მანქანაში რომ დამაწვიენეს, დამშვიდება დამიწვეს, სუ გემინია, მარტო ჩვენ ვართ, თუ რამე კანონსაწინააღმდეგო ვაქვს ვაბეგე, მოგვეცი და როცა მოგვაკითხავ, დავიბრუნებთ ყველაფერსო, მითხრეს რომელი სასწრაფოდან იყვენ. რა უნდა მქონოდა. მაშინ სახლში დარეკე, მოგაკითხონ, რომელ საავადმყოფოშიც მიგვეყვარო. სხვათა შორის, კარებში ეკა ბესელაია შემხვდა და ვერ მიცნო, თუმცა ცოლმა და დედამ ვერ მიცნეს, ეკა რას მიცნობდა, სახე აღარ მქონდა...

დილაუთენია მამჩემი მოვიდა და დარეკა, არ მიშვებენ, პოლიციელები-თაა სავეს აქაურები, წუხანდელი მოგვინალების გადახარისხებას იწყებენ და რამე ქენით, არ ვიპოვონო. ექიმებს ეტყობოდათ, რომ გავიყვებოდა იყვენ ხელისუფლების ნამოქმედარზე და ახლა საავადმყოფოშიც რომ მივიდნენ სპეცრაზმელები, აქაც მოხდესო? — ჩემს მკურნალ ექიმად ვინც ითვლებოდა, იმან გამომაპარა... კარგახანს ვიწვეს სახლში, სხეულზე თეთრი ადგილი არ მქონდა დარჩენილი, ხერხემალი ახლაც სამკურნალო მაქვს, დანგრეული ვარ საშინლად...

— დარბევინდ მერე დღესვე გავრცელდა ინფორმაცია და არაერთხელ გაიმორა ცალკეულმა პირმა, რომ იმ დღეს კინოთეატრში „დუბინკებით“ გააუბატურეს ქალები, ხოლო

უკვე გადაყვანის შემდეგ მამაკაცებიც, მათ შორის არასრულწლოვანები, ზოგს პირში აფურთხებდნენ და თავზე აშარდადებდნენ, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ აბგარი ინფორმაცია.

— გეტყვი. პირადად მე საიდან ვნახავდი, მაგრამ მყავს ახლობელი, რომელიც კინოთეატრში გახსნილ ტურისტულ სააგენტოში მუშაობდა. ამ ადამიანისთვის უცნობი იყო, იმ დამეს რომ მეც იქ ვიმყოფებოდი და იხსენებდა, დილას დამირეკეს, სასწრაფოდ მოდი და მაიალავო. რომ მივედი, ცრულები წამომივიდა, ისეთი რაღაცები ვნახეთ, ქალის საცვლები, ბუუსტპალტერები, პრეზერვატივები და რაღაცები, იმდენი ყვარა, ვერ მივხვდი რა ხდებოდაო. ქალუბის გაუბატურებების შესახებ, ჭორის დონეზე მეც ვაგებოდა მქონდა, მაგრამ ამ ადამიანის ნათქვამმა დამარწმუნა, რომ მართლა მომხდარა...

რაც შეეხება კაცებს, მე ვიცი ჩემი მეგობრებისგან, ვაუკაცი, კაი ბიჭებისგან, მშობელი რომ იტყვიან, ასეთი შევილი



საერთო ენა და კამერაში შევიდოდი. მე ბედნიერი ვარ, რომ იმ წუბებში, სულ ვიყავი, ჩემი კაცობითა და სიყვარულით რაღაცებს მივაღწიე...

— რა მოხდა რეალურად ეწ „ციხის ბუნტის“ დროს, ამაზე, თუ სურვილი გქვინებათ, დაუფარავად სხვა დროს ვისაუბროთ, ახლა კი, შარშანდელი 26 მაისი გავისხენოთ, როგორ მოხვდით „სახალსო კრების“ აქციაზე, როგორც ამ ხელი-სუფლებით უკმაყოფილო რიგითი მოქალაქე, თუ როგორც „კრების“ წევრი.

— შეგნებულად ვიყავი, იმიტომ, რომ მუდმივად სიცრუეს და საქართველოსთვის მანებლურ გზას ყოველთვის ვებრძოდი. თუ გახსოვთ, თავდაპირველად 12 კაცი რომ დაჯდა საშინილოდ ცხონებულ ვიკა ჭანტურაძისთან ერთად, ერთ-ერთი მე ვიყავი. იმ დღიდან სულ მიტინგებში ვარ, მაგრამ რა ვქნა, ვერ მოვისვენებ, სანამ ეს ქვეყანა არ დალაგდება.

შვიდნიდან ჩაკეტეს კარები, მაგრამ ბრახუნი რომ ატეხეს, ვაგაღეთ, ახერი არ ჰქონდა. შემოცვივდნენ ძალიან ბევრნი, ყველანი ნიღბებში. პარადოქსი ის იყო, გარეთ რომ ცოდვამდლის გარჩევა მიდიოდა, ვიღაცები ფილმს უყურებდნენ მშვიდად. ახლავანმა ნიღბიანმა დამახსიათებელი ხმით, გამოაცხადა, ვისაც ბილითი გაქვთ, გვაჩვენეთ და გავიშვებთო (1-2 ჩვენიდანაც გავიდა ვიღაცის გადაგდებული ბილითით). სიტყვაზე, პირადად მე, ბილითი რომც მეპოვა, სველი ტანსაცმლით და სისხლიანი, ვის მოვატყუებდი. ძალიან ბევრნი დავრჩით სივრცით და დამიწვეს ჩვენი გადახარისხება. ისევ ის ნიღბიანი შემოვიდა, სოსო ჯაჭვლიანი იკითხა, დაემუქრა და... მოკლედ, მივხვდი, რომ სასწაული საშინელება უნდა მომხდარიყო იქ. ჩემამდეც მოვიდნენ, გამჩხრიკეს და საფულედან პირადად მისი მოწმობა რომ ამოიღეს, ერთი ეუბნება მერეს, ნახე, ვინ დავიჭირეთ, ამისიო და მაგინებს. მეც ცოტა ისე ვუბასუხე: მეთქი, ვინა ხარ

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში [www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net) შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

**საერთო გაზეთი**

მაია ჭალიძე

**ვანდერბილის უნივერსიტეტის ეკონომიკის მოწვეული პროფესორი დავით ონოპრენოვილი რამდენიმე თვე აშშ-ში იმყოფებოდა. აღნიშნულ უნივერსიტეტში გარდაამავალი ქვეყნების ეკონომიკის კურსის წაკითხვის გარდა, იგი საქართველოში არსებულ პრობლემებზე ფლორიდას შტატის კონგრესმენს – დონალდს და კალიფორნიის შტატის კონგრესმენს – რობერტს შეხვდა. ასევე სიტყვით გამოვიდა სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევითი ცენტრში. ბატონი დავითი ახლახან დაბრუნდა აშშ-დან, იქ გამართულ შეხვედრებზე და ზოგადად ეკონომიკის პრობლემებზე „საერთო გაზეთს“ ესაუბრა:**

**– ბატონო დავით, თქვენ ახლახან დაბრუნდით აშშ-დან. რას გვეტყვი „წარმატებული“ ქვეყნის „წარმატებულ“ ეკონომიკაზე – როგორია რეალობა?**

– ეს სახელისუფლებო პიარია. მუდმივად გვემის, რომ საკმაოდ წარმატებულ ქვეყნებს გავუსწართ სხვადასხვა პარამეტრებით, თუმცა საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქე საკუთარ თავზე გრძობს, რომ რეალობა აბსოლუტურად სხვაგვარია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გამოკითხვების თანახმად გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უჭირავს. მაგალითად, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმოებით 135-ე ადგილი გვიჭირავს, ადგილობრივი კონკურენტის მიხედვით კი – 124-ე, სასამართლოს დამოუკიდებლობის მიხედვით 91-ე ადგილი გვიკავია. აღნიშნული, საკმაოდ საგანგაშო მაჩვენებლებია, რასაც, უპირველესად ინვესტორები აქცევენ ყურადღებას. თვითაღმსახურების ნაკლებად, ხელისუფლებას, იმ პოლიტიკის შედეგად, რასაც ატარებენ კრიტიკული დასოკიდებულება უნდა გააჩნდეს. სწორედ ამიტომ საგრძნობლად შემცირებული ინვესტიციების რაოდენობა, უფრო ზუსტად, განსხვავებულია, გაიზარდა უმუშევრობა, სიღარიბე. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხრიდან პრიორიტეტი სიღარიბის პროგრამას ენიჭებოდა, რეალურად დატაკთა რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა – დღეს, დახმარებას 1.800 ათასი ადამიანი ითხოვს, ნახევარ მილიონამდე ადამიანი უკიდურეს სიღატაკშია, დღემდე საარსებო მინიმუმამდე ვერ იქნა მიყვანილი პენსიები. ქვეყნის მთავარი პრობლემა ის განსაკუთრებით, რომ ვეღვა სხვა რეგიონის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ეკონომიკის ზრდასთან ერთად სიღარიბე და უმუშევრობა მცირდება, საქართველოში საბინისპირო ტენდენცია – მსოფლიოში ერთ-ერთი გამოინაკლის ქვეყანა ვართ, სადაც მიუხედავად გარკვეული ეკონომიკური ზრდისა, სიღარიბე და უმუშევრობა იზრდება. ამას უკვე „მსოფლიო ბანკის“ კვლევებიც მიუთითებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლებში საშუალო ტემპებით იზრდებოდა, ის არ იყო სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული, პირიქით, ვარდების რევოლუციის შედეგად რეალური კეთილდღეობა მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტს გაუმჯობესდა. საქართველოში ვერ შეიქმნა საშუალო კლასი. 2008 წლის შემდგომ გაიზარდა უმუშევრობა რაოდენობა. ასევე გაიზარდა სხვაობა ქალაქისა და სოფლად სიღარიბის მაჩვენებლებს შორის. დღეს სიღარიბეში და უკიდურეს სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის 64 პროცენტი ცხოვრობს სოფლად, რომელიც საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ 8 პროცენტს აწარმოებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 2003 წელთან შედარებით 30 პროცენტითაა

რომელიც ზღუდავს, ატერორებს ბიზნესს, ემსახურება მონოპოლისტიზმის გაძლიერებას, იზღუდება კონკურენცია. მეორე მხრივ, ამის გამო, მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ვითარდება, ბიზნესები ხშირად იკეტება, შესაბამისად ბიუჯეტში ნაკლები შემოსავლები შემოდის. რაზე ვსაუბრობთ, როცა კანონი მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ გაუქმდა. შემდგომ, ვითომ ახალი პროგრამა შემოიღეს – „იფი კრედიტი“, მაგრამ პროგრამამ ვერ იმუშავა, რადგან სესხი ხშირ შემთხვევაში მათ მეგობრებს, ნათესავებს ეძლეოდათ. ძირითადად ამ ბიზნესებმა ვერ იმუშავა, ხოლო რომლებმაც იმუშავა, ხელი-სუფლებამ ამ ბიზნესების სახელმწიფოსთვის ნუქება, გადაფორმება მოითხოვეს შეწარმნეს. ათობით



ამიტომ დაფარვის პროცენტი კიდევ უფრო მცირე დაჯდა. რაც შეეხება, კონკრეტულად ევრო-ზონდების სა-ნაცვლოდ მიღებულ 500 მილიონ დოლარს, არავინ იცის რაში გაიხარა ეს თანხები.

**– სამწუხაროდ, მართლაც უცნობია, თუ რაში ხარჯავს აღებული ვალების დიდ ნაწილს ხელისუფლება. ქვეყნები, ვინც ამ ვალებს გააძლევს, რატომ არ ინტერესდებიან, რაში იხარჯება თანხა, ხელისუფლება მათაც ატყუებს?**

– თანხას როცა გაძლევს მას გარანტიად ქვეყნის ბიუჯეტი და მისი რესურსები უდგას. სხვა ქვეყნები ვერ იქნებიან პასუხისმგებლები თუ ქვეყნის ხელისუფლება არამიზნობრივად ხარჯავს მიღებულ თანხებს. ზოგადად ვალი კიდევ რომ ავიღოთ, ალბათ, მოგვეცემენ იმიტომ, რომ საქართველოს თავისი რესურსებით ვალიებით მეტი ღირებულება აქვს ვიდრე ვალი გვაქვს, თანაც ამ ეტაპზე, თეორიულად გადახდისუნარიანია.

ლუბამდე მაქვს სიმართლე და სთავაზობს პრობლემების გადაჭრის გზებს. დარწმუნებული ვარ, რომ ოქტომბერში ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს.

**– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ, რომ მიუხედავად აშშ-ს ელჩის შემფოთებისა რაც საკითხებზე, აშშ მაინც სააკაშვილს უჭერს მხარს და სულაც არ სურს მისი პოსტიდან წასვლა. მოსახლეობაშიც ანტიამერიკული განწყობაა. ამ დროს კი პრეზიდენტს „დემოკრატიის შექურათს“ უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ აშშ მართლაც ამ რეჟიმის მომხრეა?**

– საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა, უპირველესად კი აშშ-მ, არაერთხელ განაცხადეს, რომ რეალურად ქართველ ხალხს უჭერენ მხარს და არა კონკრეტულ ლიდერებს. მათი მხრიდან ხორციელდება სხვადასხვა სახის დახმარებები. ახლახან საკმაოდ კრიტიკული განცხადებები გააკეთა აშშ-ს ელჩმა ხელისუფლების მისამართით – ისინი შემფოთ-

# მსოფლიოში ერთ-ერთი გამონაკლისი ქვეყანა ვართ, სადაც ეკონომიკურ ზრდასთან ერთად სიღარიბე და უმუშევრობა იზრდება

შემცირებული, რაც არცერთ მეზობელ ქვეყანაში არ მომხდარა, პირიქით, ვეღვან ზრდაა.

ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე“ შეუსრულებელი დარჩა, ისე, როგორც სხვა ბევრი დაპირება. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მხოლოდ ის ვჯგუფები მდიდრდებიან, რომელთაც მონოპოლიზირებული აქვთ ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებები და ბაზარზე მონოპოლისტიზმი არიან, რაც ნიშნავს, რომ ბაზარზე კონკურენცია არ არის. შედეგად ფასებიც მაღალია. ადრე ბენზინის შემოღებთან იმპორტიორი, დაახლოებით 100-მდე იყო, დღეს რამდენიმეა. აბა, გაბედი და სცადეთ, ნავთობრეფიტის შემოტანა, ამის უფლებას არავინ მოგცემთ, უფრო მეტიც, შეიძლება ციხეშიც აღმოჩნდეთ თუ ხელისუფლებასთან შეთანხმებული არ იქნებით. იგივე მდგომარეობაა სხვა სფეროებშიც. ეს პრობლემები ძირშივე შესაცვლელია და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამ მიმართულებით მუშაობას დაიწყებთ. რაც შეეხება ჯანდაცვას, „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ექნება გარანტირებული საბაზისო საყოველთაო დაზღვევის პაკეტი, რაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იქნება რეალიზებული.

**– რაც შეეხება ბიზნესს – ხელისუფლება გვარწმუნებს, თავისუფალია, თუმცა რეალურად ბიზნესმენებს ტყავს აძრობენ და მგონი უკვე გასატყავებელიც აღარ დარჩა.**

– დღეს უკვე საქართველოში მოღვაწე უცხოელმა ბიზნესმენებმა კი იციან, რომ რეალურად ბიზნესი თავისუფალი არაა. ბიზნესმენებს ძალიან დიდი პრობლემები აქვთ საგადასახადო სამსახურთან. საგადასახადო სამსახურის ურთიერთობა ბიზნესმენებთან ბოლო წლებში ნამდვილ სახელმწიფო რეკეტში გადაიზარდა,

მილიონი ლარი არამიზნობრივად გახარჯული. უცხოეთში ეს ყველაფერი გაცილებას, ღიძილს და აღშფოთებას იწვევს.

**– რას იტყვით საგარეო ვალებზე, რამაც ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა?**

– დაიხ, საგარეო ვალი ბოლო სამი წლის მანძილზე, ფაქტობრივად გაორმაგებულია. მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით, დაახლოებით 40 პროცენტამდეა გაზრდილი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 2007-2008 წლებში ეს მაჩვენებელი 20 პროცენტს არ სცილდებოდა.



ცხადია, ეს მძიმე ტვირთია იმიტომ, რომ ვალები გასასტუმრებელია, 40 პროცენტი კი საგანგაშო ციფრია. ხელისუფლება, რომელმაც წლებია თავი ვერ შთაბა ქვეყნის ეკონომიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მიმართავდა მარტივ ხერხს – ვალების აღებას. ახლა გარკვეულ ზღვარზე ვართ, კიდევ დამატებით ვალებს აღება, უფრო მეტად გააძვავებს შექმნილ ვითარებას. მოგეხსენებათ, რომ ვალს მომსახურება – ყოველწლიურად პროცენტის გადახდა და შემდგომში მთლიანი თანხის დაფარვა უნდა. ხელისუფლება კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და არა იმაზე, რომ ამ ვალების დაფარვა მომავალ თაობებს მოუწევთ. იცით, რომ ევროზონის დიდიან თანხის დაფარვა გადახდა გადავიდა მომავალი 10 წლით. რეალურად ის 5 წელიწადში, 2013 წელს უნდა დაფარულიყო, მაგრამ რადგან ხელისუფლებას ამ დროს ვალის გასტუმრების თავი არ ჰქონდა და დაფარვის ვადა გადაავდა.

ამიტომაც ვალს უპრობლემოდ ვაძლევს, ისინი ხომ მას ყველა ვარიანტში დაიბრუნებენ უკან. ცხადია, ამას ბოროტად იყენებს დღევანდელი ხელისუფლება. მას ვალის აღების პოტენცია გააჩნია და იმას არ ფიქრობენ, სამომავლოდ რომ დაგვევირდეს, ვალს ვეღარ ავიღებთ, არამედ მის გასტუმრებაში უნდა ვიყოთ მხოლოდ. რაც მთავარია, ვალი ეფექტიანად არ არის გამოყენებული – ინვესტიციები შემცირებულია, ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობა გაუარესებულია, არცერთი საარჩევნო დაპირება შესრულებული არაა. სააკაშ-

ბუნი არიან პოლიტიკური ანგარიშსწორებით ოპოზიციონერების მიმართ. ასევე, აშშ-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ანგარიშში საქართველოს შესახებ, კონკრეტული ჩამონათვალია, თუ როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები საქართველოში. ამას სერიოზული ყურადღება ეთმობა. ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიცია არ იყო აქამდე ასეთი ძლიერი. ამერიკაში შეხვედრები მქონდა სახელმწიფო დეპარტამენტში, კონგრესსმენებთან, ყველა აცხადებს, რომ – ისინი მაქსიმალურად დაგვეხმარებიან, რათა საქართველოში დამოუკიდებელი, თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს. აშშ დღეს რეალურად ხედავს ძლიერ ოპოზიციურ ძალას, რომელთანაც მათი ხელისუფლებაში მოსვლისას ითანამშრომლებენ. დღეს აშშ ნამდვილად არ თვლის, რომ საქართველო „დემოკრატიის შექურათს“, როგორც 4 წლის წინ ზოგიერთი ფიქრობდა.

**– თქვენ, როგორც აღნიშნეთ, ამერიკაში ყოფილი დროს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის წარმომადგენლებს და კონგრესმენებს შეხვდით, რაზე ისაუბრეთ?**

– აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტსა და კონგრესში პირადად მქონდა შეხვედრები კონგრესმენებთან ლიონთან და რობაბაჩთან. მათი განსაკუთრებული დაინტერესება სწორედ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული პრობლემებმა გამოიწვია, უპირველესად კი ხელისუფლებისა და კონტროლის პალატის არადემოკრატიულ ქმედებებზე გაამხვილეს ყურადღება. ისინი აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევნები, რისთვისაც ვერ კიდევ ბევრი საკითხი აქვთ მოსაგვარებელი. არჩევნებამდე კი სულ ცოტად დრო რჩება.

რამდენიმე დღის წინ, აშშ-ს ჰელსინკის კომისიამ განიხილა ამიერკავკასიაში დემოკრატიზაციის საკითხები არჩევნებთან დაკავშირებით – სომხეთში, აზერბაიჯანში და საქართველოში. უკვე მიღის განხილვა, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი გარემოა წინასარჩევნოდ. ისაუბრეს წინასარჩევნო დარღვევებზე, ხორციელდება ოპოზიციონერი აქტივისტების პოლიტიკური დევნა, დაჭერა, ასევე, იქმნება ისეთი კანონები, რაც ოპოზიციას ფინანსური თვალსაზრისით არაკონკურენტუნარიანს გარემოში ამოყოფს.

თამარ შველიძე

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**  
[www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net)  
 შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**

# vin xocavs asl an abaSiZis erTgul j ariskacebs ruseTsi da vin iqneba Semdegi?

კიდევ ერთი ქართველის კუბო ჩამოტანეს უცხო ქვეყნიდან! კიდევ ერთი ოჯახი დაწიდა, კიდევ ერთი ღვინა, ცოლი და შვილები ატირდნენ! და, რა თქმა უნდა, მათთან ერთად ატირდა საქართველოს ის ნაწილიც, რომელთა მეხსიერებაშიც 25-ე ბრიგადის გენერალი, საქართველოსთვის თავდადებული ვაჟკაცი რომან ლუმბაძე არა მარტო დიდ ქართველობასთან, არამედ საქართველოსთვის თავგანწირვასთანაც ასოცირდებოდა.



რომან ლუმბაძე აუხსნებდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გავიციანი და გუშინდელ დღესავით მასსოვს ლალი, უბრალო სიტყვებით ნათქვამ წინადადებაში რა სიყვარული ჩაქსოვა, როცა ინტერვიუში მითხრა: „აბა, სად უნდა ვიყო, რასაა რომ მეკითხებით, ქალბატონო ჟურნალისტო? ვინც მას იცნობდა, დამეთანხმება, რომ მისთვის პირველობა, დალატი, ორგულობა და მით უმეტეს სამშობლოს დალატი, ისეთივე მთავარი იყო, როგორც საკუთარი ოჯახისთვის ზიანის მიყენება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ასეთი იყო: – „სააკას“ ხელისუფლებამ ჩვენს რომანს არ აპატიო ის უმთავრესი, რაც მას და „ნაც. მოძრაობას“ აგრერივად განასხვავებდა ერთმანეთისგან და ამ განსხვავებას – სამშობლოს უკიდევანოდ სიყვარული ჰქვია!

დალატი“ გენერალი რომან ლუმბაძე ჩაუყვანა ცხინვალთან ახლოს და თან ისე, რომ პატიმრობაში მყოფი ლუმბაძისათვის არც კი უთქვამთ, საით ან ვისთან მიჰყავდათ! რომანმა მამინ მითხრა: „რა, ვიცი მეძინა, დილაუთენია ციხის უფროსი დამაღლა თავზე და მითხრა – განთავისუფლებით. ბარგიც კი არ ჩამალაგებინეს, ჩამსვეს მანქანაში, თვალები ამიკრეს და სადღაც წამომიყვანეს. საცხა ტყეში ამხსნეს თვალებზე, კარგები იდგა, რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები დევინახე. მერე სლავაც (ვიანსლავ ბორისოვი) გამოჩნდა და მივხვდი, მაგი უბრძანებდა ჩემს განთავისუფლებას ამგენს, იმიტომ რომ ეძმაკაცობდით აჭარადან.

– რომან, სახელისუფლებო არსებით ნინო ბურჯანაძის აქციების უკან შენ, თემურ ხაჩიშვილი, ასლან აბაშიძე, ბადრი მელაძე და კოტე გოგელია დგახართ. იმასაც ამბობენ, რომ თქვენ ცხინვალთან შემოხვალთ თბილისში და გამაგებინებ ერთი, რა ხდება? – რა უნდათ ჩემგან, მომეშვან, რა? მე ის კაცი ვარ, ქართველი მოკლა? მიტინგები და ასეთები ჩემი საქმე არ არის, ვაგვიფარ ჩემთვის აქანე, მოსკოვში, დამანებინე თავი! სახლი არ მაქ და კარი, სამსახური არ მაქ და სინარული, სხვის სახლში ვცხოვრობ და აქაც არ მასვენებენ? ვისაც ეკვი ეპარება ამ სიტყვების სიზუსტეში, მიიძიოს გახეთი „ალია“ და შარშანდელ „საერთო გაზეთიც“; მთავარი სიმართლე კი რომან ლუმბაძის გარშემო ახლა უნდა ვთქვა და ყურადღებას ვითხოვ, ძვირფასო მკითხველო!

გინჭარამეს აფეთქებინეს და ამის შემდეგ, ელგუჯა ჯინჭარაძე „რევოლუციური ოზრანის“ მხარეს გადმოვიდა! ეს ამბავი კი, არამართო მე, არამედ მთელმა აჭარამ იცის და რამდენიმე ადამიანმა ისიც ვიცი, აჭარის ძალოვანი სტრუქტურებიდან ვის სთავაზობდა ჯინჭარაძე „რევოლუციონერებთან“ არათუ თანამშრომლობას, არამედ ჩოლოქს იქეთ გადასვლას და „სააკას“ შემოვლით დაწინაურებას!

რაც შეეხება გადასახადებს, საქართველოს მოსახლეობა, მგონი, ყველაზე ძვირად ყიდულობს ელექტროენერგიას. საერთოდ, გადასახადები შეუსაბამოა შემოსავალთან. ამას აქვს ორმაგი დანიშნულება, ერთი რომ ხელისუფლებას ფული სჭირდება და ცდილობს მაქსიმალურად ამოიღოს მოსახლეობისგან, რადგან ეკონომიკა არ გაგვაჩნია და მეორე - რაც შეიძლება გააკოტრონ ხალხი. მათი იდეოლოგიით, ღარიბი ადამიანის მართვა გაცილებით იოლია. ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოვახერხებთ, რომ ნელ-ნელა დავიწყოთ გადასახადების დარეგულირება. დღევანდელი ფასები, რომელიც არ არის საბაზრო, არის ბრალდებული იმ მონოპოლიების, რომელიც სააკაშვილის ირგვლივ არის შემოკრებილი. როგორ არა რცხვენიათ, ასეთი გაჭირვებული მოსახლეობის სარჯზე დამატებითი ფული გააკეთონ! როგორ შეიძლება აქ ინვესტიციაზე, ეკონომიკაზე ისაუბრო, როგორ შეიძლება ადამიანს, რომელსაც ფული აქვს, აქ ფეხი მოუცდეს.

ჩვენი მოსვლა ხელისუფლებაში უფრო მარტივია, ვიდრე ტერიტორიების დაბრუნება, მაგრამ ესეც აუცილებლად მოხერხდება. ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღესვე დავიწყოთ რუსეთთან მოლაპარაკებებს. ამავდროულად უნდა ავადგინოთ დანგრეული ზიდი ჩვენს ოს და აფხაზ მძებთან. ამ პრობლემის მოგვარების გასაღები ისევე ქვეყნის შიგნით დევს. ჩვენ უნდა მოვახერხოთ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული ქვეყნის მოწყობა, თანაც ძალიან მოკლე დროში. დღეს საზღვრები რომ გაიხსნას, დარჩენილი საქართველოს მოსახლეობაც გაიქცევა. როცა ქართველს არ დაეღობება საქართველოში, ოს და აფხაზს როგორ მოესურვება აქ დაბრუნება. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ რამდენიმე ფრონტზე: უნდა დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, დავიწყოთ მოლაპარაკებები ოს და აფხაზ მძებთან, მაგრამ მთავარია, შევქმნათ ისეთი კლიმატი ქვეყანაში, ადამიანს ეცხოვრებოდეს. ამის შემდგომ ევროპაც და ამერიკაც უფრო დაგვიჭერს მხარს, როცა დანახავენ, რომ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებით ვაშენებთ ქვეყანას, რეალური დემოკრატიისაკენ ვიღვრებით და არა ასეთი ფასადური დემოკრატიისაკენ და აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს ტერიტორიებს. მე ვერ დავაპირებთ, რომ ეს მოხდება ძალიან სწრაფად, თუმცა არაფერს გამოვიცხავ, რადგან შეიძლება ისე განვიტოლდეს გეოპოლიტიკური მოვლენები, იმაზე ადრე დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ.

**„პაპასანია“**



# ნიგნიდან „ქართული გულაგი“ samar TI is damcvel ebi sgan gaZarcvul i da Semdeg daWeril i gal ebi

დღევანდელ ქალთა ციხეში, ამ მართლაც ქართულ ჯოჯოხეთში, საუბედუროდ, თითქმის ხუთი წელიწადი დაკავშირებულია იქ, ძირითადად ადამიანები გარემოებათა, სისტემათა და პირისპირების, პიროვნული ინტერესების, უმძიმესი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შედეგად, შეკრებილობის პრინციპის გამოყენების და ამ პერიოდში არასწორად გამოძიებული საქმეების ხელაღებით გამოტანილი განაჩენების გამო ძალიან დიდი წლებით არიან გამოშვებული, როდესაც ჩვეულებრივი სამოქალაქო დავები „დანაშაულებ“ გადაიქცა პატიმრების სიმრავლისა და ბიუჯეტის ხელშეწყობით შესავსებად. მოკლედ ვარდებით მოსულებისთვის პატიმრები ერთგვარ ბიზნესად იქცა.

მართალია, ამ თემაზე ბევრს ლაპარაკობენ და წერენ, მაგრამ ჯერ ამ თემის ირგვლივ არც კანონმდებლები და აღარც ოპოზიციონერი დეპუტატები და პოლიტიკოსები არ გაერთიანებულან, რომ რაიმე ქმედითი ნაბიჯები გადადგმულიყო. თუ ბატონ ჯონდი



ბალათურას მიერ პრეზიდენტის ოჯახის კორუფციის მხილების ირგვლივ არ გაერთიანდებოდნენ, იქნებ იმავე ბალათურას მიერ წილობით შეკრებილობის პრინციპის მოხსნის ინიციატივისთვის მაინც დაეჭირათ მხარი. ციხეში ასეთი მდგომარეობა ხომ არ იქნებოდა. ერთ გურჯაანელ ქალბატონს 25 წელს ხომ არ მიუსჯიდნენ, მისთვის რომ არ შეეკრიბათ მეზობლიდან „პოსლუზე“ წამოღებული ოცი ლიტრი ღვინო, არაფი და სხვა და სხვა კვების პროდუქტი და ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება დაუსრულებლად.

რა „დანაშაულისთვის“ ბრალდებულებს არ შეხვდებით აქ. თუმცა „ხავსმოკიდებულ“ კრიმინალებს იშვიათად წააწყდებით, ისინი ყველა დროში ციხეში იყვნენ და არცერთი მათგანი არ ამბობდა, რომ დანაშაული არ ჩამოედინათ. ძუ მგელივით ქალებიც მინახავს, რომლებიც ხულიგნობის

მუხლით იხდიდნენ სასჯელს. ერთმა თურმე თავისი პროკურორი სასამართლოზე მაგრად ცემა, ამ ქალს მთელი ზონა მარჯვენას უქებდა, ისე იყვნენ პატიმრები დღევანდელი პროკურორებისგან გამწარებული ყველას გასაკეთებელი გააკეთაო, იძახდნენ.

ტყუილუბრად დაჭერილი ქალების გასაშვებად დუმს მატლივით გაბერილი პროკურატურა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის ნიადაგზე უმუშევრად დარჩენილები სესხების გამო იხდიან სასჯელს. თუ დაზარალებულების ინტერესებს ითვალისწინებენ წლების შემდეგ შეძლებენ ეს ადამიანები ანაზღაურებას? ამ დროს დიდ კორუფციაში ვინც იყვნენ და მილიონები რომ იშოვეს ხალხის ხარჯზე, ისინი კი ერთი დღეც არ გაიმეტეს ციხისთვის და მაშინვე გაუშვეს. დღევანდელ ქალთა ციხეში უღარიბესი ფენა იხდის სასჯელს და ბევრი ქალი თვითონ პოლიციისგან არის დაყაჩაღებული.

ბელა დავითიანი სამტრედიის პოლიციამ დააყაჩაღა, მას საგვარეულო ოქროს ნივთები მოჰპარეს. მან ნიღბიანებში სწორედ პოლიციელები ამოიღნო, თუმცა თავად მითვისების ბრალდებით ციხეში უკრეს თავი. იგი თურმე ორჯერ გაიტაცეს ფულის გამოძალვის მიზნით. ფულიც წაიღეს და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობაც ამ ამავს მისი მძაღვიწი, იგი გულის ინფარქტით გარდაიცვალა. ციხიდან ბელამ არაერთი წერილი მისწერა სამართალდამცვეებს და პრეზიდენტს, მისი წერილი მართლაც აიყვანეს კონტროლზე, ციხეში არაერთხელ მოაკითხეს სამხარეო პროკურატურიდან, საქმეს გაეხსნითო შეჰპირდნენ, — ამასობაში სასჯელიც მოიხადა თითქმის და თვეებიდა რომ ჰქონდა დარჩენილი, მაშინ პრეზიდენტის შეწყველებით გათავისუფლდა...

აგერ, ყოფილი მოსამართლის მსხვერპლი გულნარა ვაჩიბერაძე გულნარას ბიზნესი ჰქონდა და სესხი ქუთაისში, წერეთლის 8-ში მდებარე ლომბარდიდან გამოიტანა. ლომბარდის მეპატრონე უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე პაატა ქობულაძე აღმოჩნდა, როგორც გულნარამ მიამბო ბატონმა ქობულაძემ მისი 200 ათასამდე ღირებულების ოქროსა



და ძვირფასი თვლების ნივთები მითვისა და იმის მაგივრად, რომ დანაშაულზე თავად ეგო პასუხი, გულნარა, როგორც ურჩი გადაშლელი თაღლითობის ბრალდებით ყოფილმა მოსამართლემ დააპატიმრებინა. თუმცა, სანამ ციხეში გაუშვებდა 12 ათასი დოლარი გამოსძალა, ხოლო დაპატიმრების შემდეგ ვაჩიბერაძის ოჯახი შეცდომაში შეიყვანა და 15 ათასი ლარი აქედ გადოსძალა. ოქროსა და ფულის დანარბეულმა კაცმა ესეც არ იკმარა და ბოლოს საცხოვრებელი ბინაც დაუყადა და პირველივე აუქციონზე თვითონ შეიძინა. ვაჩიბერაძის სახლში ლომბარდიც გახსნა და ადვოკატურაც. ოთხწლიანი მძიმე პატიმრობის შემდეგ გულნარა ვაჩიბერაძე პრეზიდენტის შეწყველების შემდეგ გათავისუფლდა. ახლა ქალი თავისუფლებას გაურბის თურმე, რადგან ქუჩაში დარჩა. ეს საქმეც სტრასბურგში იხილება.

სტრასბურგში იხილება აგრეთვე ერთი შეუპოვარი და მტკიცე ხასიათის ქალბატონის ეთერ კვიციანიშვილის საქმე. „ვარდებით“ მოსულმა კვიციანიშვილის ბიზნესისთვის გამოყოფილ ფართს ქალაქის ცენტრში თვალი დაადგეს და შეითინილი ბრალდებით დიდი წლებით ციხეში გაამწყესეს. დაპატიმრების პირველი დღიდან კვიციანიშვილს კალმისთვის ხელი არ გაუშვია, ვერც ერთი აქტიური ჟურნალისტი ვერ შეძლებდა სხვადასხვა გაზეთის ფურცლებზე გისოსებიდან იმ რაოდენობის წერილების დაბეჭდვას, რამდენიც მან შეძლო, თან პროკურატურაც მოსვენებას არ აძლევდა რომ მათ

გარიგებაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ კახურად, ერთხელ რომ ჯიუტად თქვა უარი „სამართლის დამცველებთან“ ბოლომდე მისი სიტყვის ერთგული დარჩა. თუმცა ამდენ ნერვიულობაში და პროკურორებთან „კაჩაობაში“, მართალია, ქონება შეინარჩუნა, მაგრამ ჯანმრთელობა დაკარგა. იგი სასჯელის გადავადებით უფრო სწორად სიცოცხლის გადავადებით გაათავისუფლეს. კიდევ კარგი სამართალდამცველებმა კვიციანიშვილის შემთხვევაში მაინც გამოიჩინეს პატარა ადამიანობა და გაუშვეს, რადგან იქ სწეულ და სასიკვდილოდ განწირულ პატიმრებსაც კი აიძულებენ უკანასკნელად საკანში ამოსუნთქონ...



ამას წინათ გავიგე, ეთერ კვიციანიშვილის ერთდერთი ვაჟი დაუჭვრიათ. საკუთარი ხალხის მიმართ ასეთი სისასტიკით, ალბათ არც ერთი ქვეყნის მართლმსაჯულება არ გამოირჩევა, როგორც მწამებლობითაც დღევანდელი ხელისუფლება და მართლმსაჯულებით გამოირჩევა.

მართალია, პატიმრობისას თითქმის დაკარგე გაცემის უნარი, მაგრამ ერთმა ფაქტმა მაინც შეძრა, როცა აფხაზეთიდან ლტოლვილ ქალბატონს ჯულიეტა ხალვაშს გარდაცვალების შემდეგ ვადამდელი პირობითი სასჯელისგან გათავისუფლების კომისიის თავმ

ჯლომარემ, ბატონმა გიორგი გორაძემ გარდაცვლილ პატიმარს ასეთი პასუხი გამოუგზავნა — „ოქვენ საზოგადოებისთვის საშიში ხართო“. ქალბატონი ჯულიეტა ერთი წესიერი და მორჩილი პატიმარი იყო, რომელსაც ციხის ზედამხედველის შენიშვნაც კი არ ჰქონდა მიღებული.

ამ მეტად ცინიკურ და არაადამიანურ პასუხს, მასხოვს, მაშინ თავად მე უპასუხე: — „ბატონო გიორგი, დედა გყავთ-მეთქი? ალბათ, ეს ფაქტიც კმარა იმის შესაფასებლად თუ რა მდგომარეობაა დღევანდელ ციხეებში.

იმის განსჯა გაზეთის მკითხველისთვის მიმინდვია, ვინ უფრო საშიშია საზოგადოებისთვის პატიმარი ქალები თუ ის ადამიანები, რომლებიც კანონს უკანონობით იცავენ.

გორაძის ახლადშექმნილი კანტორა თითქმის ყველა პირველად ნასამართლედ ქალს, მკვდარს თუ ცოცხალს, ერთი და იმავე ტექსტით შედგენილ პასუხს უგზავნის — „საზოგადოებისთვის საშიში ხართ და დანაშაულისკენ მიდრეკილი“, ხოლო ცხრაჯერ ნასამართლევებს, რომლებსაც ციხე „სახლია“, ხშირ შემთხვევაში, სასჯელისგან ათავისუფლებს, რადგან იცის, რომ ისინი მობრუნდებიან, ამიტომ ვთქვი, მათთვის პატიმრები ბიზნესია-მეთქი.

მე კი წერილის ბოლოს, ბატონ გორაძეს და ჩემი და ეთერ კვიციანიშვილის პროკურორს (ჩვენ ერთი ბრალმდებელი გვყავდა) და არა მარტო მათ ვურჩევდი დიდი მწერლის ლევ ტოლტოის მოთხრობა „ივან ილიჩის სიკვდილი“ წაიკითხონ, სადაც ტულის საოლქო პროკურორის ნამდვილი ამბავია ასახული, როდესაც პროკურორი ცხოვრების მწვერვალზე იყო, სწორედ მაშინ კიბიდან გადმოვარდა ტყვილებისგან რომ იტანჯებოდა და მკურნალი ექიმი გულრილად მოექცა, მაშინ დაფიქრდა, რომ თვითონაც ასე გულგრილად ექცეოდა განსასჯელებს.

დიდი მწერლის ლევ ტოლტოის დარად, ბუნებრივია, ვერ შეეძლებ ჩემი და ეთერ კვიციანიშვილის პროკურორის „საქმიანობის“ მხატვრულად ასახვას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენი განსამართლებიდან სულ მოკლე ხანში, მართალია, ივან ილიჩისთვის კიბიდან არ გადმოვარდნილა, მაგრამ უსამართლობამ მის ერთ დროს ხელშეუხებელ კარსაც მიუკაკუნა... პოდა, მე ვწერ ამ ისტორიას გისოსებს მიღმა და სულ მალე დაინტერესებული მკითხველი ამ ცრემლიან ისტორიას, განგებამ თუ ინება, წიგნად იხილავს.

ნანა სულავა

იხილეთ „საერთო გაზეთი“  
ინტერნეტში  
[www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net)  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**

გვარსა და წარმომავლობას, რომელიც უფალმა გენეტიკურად მარგუნა, ვერავინ წამართმევს, ვერსად გავქეცი და ჩემი გვარიც — ამაშუკელი, დღეს „შხამიანი ისარივით“ ერჭობა მათ, ვინც საქართველოს კეთილდღეობას მანქნით ნაციონალურ თანამშრომლობა, კარგი სამსახურები და პრივილეგიები ამჯობინდა. ამაშუკელის გვარიც მიუღებლად იქცა მით უფრო ახლა, როდესაც ბიძინა ივანიშვილის მომხრეობა დაჭერის, სამსახურიდან დათხოვნისა და ტერორის ფორმად იქცა. ოჯახის თერთმეტ წევრთან ერთად პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება არც შეეძლო. დაჭერა და ნარკოტიკის ჩაღება ძალიან დიდი რეკლამა იქნებოდა ჩემთვის და ამას „დიდსულოვნად არ კადრულობენ“. ჩემი ოჯახის ყველა წევრიც თავისი სამსახურიდან ნაციონალურმა ამის გამო გაათავისუფლეს, მამაჩემის გამოკლებით, რომელიც ამათი მოსვლისთანავე დემონსტრაციულად თავად წამოვიდა. მეც „იმედოდან“ სწორედ ჩემი პოლიტიკური პოზიციის — ნაციონალური რეჟიმის კრიტიკისა და გვარის გამო გამათავისუფლა გიორგი ლომინაძემ. თავად დღესაც მშვენივრად ირგებს „გარყვნილი ტელევიზიის დირექტორის იმიჯს“. პოზიციას, ორიენტაციას, გვარს, ეროვნებასა და სარწმუნოებას კი, დამერწმუნეთ, ვერანაირი ამქვეყნიური სიკეთებისთვის ვერ და არ გამოვიცვლი. ამაშუკელიდან ვერც სააკოვი და ტამაისანი (ლუტა სხირტლადის ნამდვილი გვარი) გაეხდები და ვერც „მამასადამე ვეროპელი“, ვერც იელოველი, კათოლიკე, ბაპტიისტი ან პროტესტანტი. დავიბადე გენეტიკურ ქართველად და მართლმადიდებლად და ასეთად მოგვკვები. მართალია, „არამდამოდ წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ნაციონალური მოძრაობა“ ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერებსა და მომხრეებს, თურმე „თელიველთა სექტას“ გვეძახის, მაგრამ სექტანტი და ანტიქართული ვინაა — ეს „საქმეან ჩვენმა არაერთხელ გააოხრინა“.

ზემოთ ჩამოთვლილი ჩემი პოზიციიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, პირველყოფილისა კი გვარის გამო, ე.წ. „დესტრუქციულ-ქსენოფობიურ“ იმიჯსაც დიდი ხანია შევუვუე და არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მეამაყება კიდევ. მეტიც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დესტრუქციულთა იმ კატეგორიას მიეკუთვნები, რომელსაც ე.წ. „შეთქმულების თეორიების სჯვარა“. სამწუხაროდ იმიტომ, რომ ის შეთქმულება, რომელიც ჯერ კიდევ მაცხოვრის ჯვარცმით, მის წინააღმდეგ დაიწყო, დღესაც გრძელდება. მას დღესაც ფარისევლ მწიგნობართა ის მემკვიდრეები ახორცილებენ, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი სოროსიც, მაკკეინიც და იგივე პლატონ ელენინადა ცნობილი ბერეზოვსკიცაა. ბერეზოვსკიც (როგორც ჩვენთან სააკაშვილი) თავისი მომხრეებით, ებრძვის მართლმადიდებლობას, ოღონდ რუსეთში. სააკაშვილის მსგავსად, რუსი ხალხის ქონება მანაც მიიტაცა და ფარისევლ-მწიგნობართა იმ „სოფლიო მთავრობის ქონებისთვის“ შეერთებას ცდილობს, რომლის ნაწილიც თავადაა. ბადრი პატარკაციშვილთან მისი „ბიზნეს მეგობრობა“ კი მასინდობადაა, როდესაც ბადრიმ, (არ ვასახლავ ვისი თანდასწრებით, როგორც ქალდეველი ჰურების შთამომავალმა) პირდაპირ განუცხადა: „ბორია, საქართველოს საზღვრებს აქვთ ცხვირის არ ჩაგაყოფინებ, რადგან საქართველო ჩემი სამშობლოა!“ პატარკაციშვილის ბნელი მოცულ მკველელობაშიც ფარისევლ-მწიგნობარი სექტის სწორედ ის წევრები არიან გარეულნი, ვინც

კარგად იცოდა, რომ საქართველოში დაბადების გამო, ბადრი მართლმადიდებლურ ეკლესიასა და პატრიარქსაც გვერდში ედგა. ვერც საქართველოს გაიმეტებდა იმისთვის, რისთვისაც დაბადებით აქაური, მაგრამ არაქართული სულის და წარმომავლობის ნაციონალური იმეტიერენ მას.



ნებისგან კონტროლდება, ვინც მოცემული გამოცდის მომენტში ცენტრალურ კომპიუტერს უზის. სწორედ ასეთი მეთოდით ჩატარებული პირველი „ეროვნული (თუ არაეროვნული) გამოცდებისას“, კონკურსში ქულებით გასული 70 აბიტურიენტი უმაღლესს გარეთ დარჩა. საგანმანათლებლო სიტემა კი

ტიც, კიდევ ერთი ტესტირება ივნიშნია დაგეგმილი. ანუ, როდესაც ნაცები მათთვის ყველა არასაურველ კანდიდატებს გაყრიან მხოლოდ ნაციონალურ წარმომადგენლები დარჩებიან და სწორედ იქ, სადაც ყველაზე მეტი სადავო და საომარი კონკურსის ზედამხედველებიც, ჩვენთვის არჩევნებიდან კარგად ცნობილი საოლქოსა და ცესკოს ნაციონალი წარმომადგენლები იყვნენ. არანაციონალ ჩვენს ნაცობებს ამ კონკურსზე ზედამხედველად დასწრების უფლება არ მისცეს და უკვე საოლქოდან გამეზვებც ეშუქრებათ. ამჟამინდელ კონკურსშიც არანაციონალურიდან გავიდა ზოგი ისეთიც, ვისი ვინაობაც, უბრალოდ, ნაციონალურის „შავ სიაში“ ჯერ ვერ მოხვდა და შემთხვევით „გაუძლია“. ტესტირებაში დარეგისტრირებულიაგანც მხოლოდ 2-3%-ია გასული. ეს კი კატასტროფულად მცირე მაჩვენებელია. ვინ დაიჯერებს, რომ ასეთ ტესტირებაზე ადამიანი ან მოუზადებელი წავა, ან მხოლოდ ნაციონალურს გააჩნიათ კონკურსის გაგლის „ასეთი კარგი“ უნარი და ცოდნა? გათვლა იმაზე გაკეთდა, რომ ნორმალური გონებრივი შესაძლებლობების ადამიანისთვის მოსაზრდებელი დრო — ათი დღე, ლოკურად, არასაკმარისი აღმოჩნდებოდა ათ დღეში, 2 5121 შეკითხვიდან 1800 საარჩევნო კო-

ქმნიდა. ტესტირების ეს ახალი მეთოდი (ივანიშვილმდე არსებული მეთოდისგან განსხვავებით) არც გამოცდაზე შენი შეცდომების ნახვისა და გაპროტესტების უფლებას გამძლეებს, არც ჯერ შავად მუშაობის და არც ასეთ დაძაბულ გარემოში ეკრანის ლილაკზე შემთხვევით დაჭერილი ლაფსუსის გამოწვრილების. არასწორი პასუხის შემთხვევაში კი, ბუნებრივია, შეცდომასაც ვერ გაასწორებ. მაგრამ თუ ეს შემთხვევითობაა და პასუხი იცი, საბოლოო შედეგზე სხვა — ნაციონალურისთვის არასასურველი იქნება! პირველი ეჭვი მასინ გამიჩნდა, როდესაც პირველი სწორად გაცემული პასუხები კომპიუტერმა „შეცდომებში ჩამიყარა“. ეკრანზე გამოტანილი დროის (ერთი საათის) ათვლაც იწყებოდა არა „ადამიანურად“ — ქვემოთ ხევით, არამედ პირიქით (როგორც ნაციონალურს სწევრით ყველაფრის უკულმა კეთება), ბოლოდან ქვევით, რაც ისევე თავგზის ასახვევად კეთდება. წინასწარ გამოცხადებულის მიუხედავად, შეუძლებელი იყო წინ გამეზვებულ შეკითხვებზე უკან დაბრუნება. ასეთი შეკითხვა კომპიუტერიდან ქრებოდა. თვალში საცემი იყო მონიტორების გაუმართაობა. ეკრანზეც, ისევე, მხოლოდ სწორად გაცემული პასუხები გამოდიოდა და არა გაუცემელი. ქრებოდა პასუხების გასაცემი ნუმერაცია, რაც პასუხგაუცემელ შეკითხვებზე დაფიქრებისა და გაანალიზების შესაძლებლობას სპობდა. ტესტირების დასაწყისში მოცემული გაფრთხილება: ეკრანზე გამოსულ ნომრებზე თითო მინცადამინც შუაში დაგვეჭირა, აპარატების თავიდანვე „შემთხვევით გაუმართაობაზე“ მეტყველებდა. თითაში შესვლისთანავე პირადობებით დარეგისტრირებისა და ფოტოს გადაღების თაობაზე ჩემი თავდაპირველი ეჭვიც — „შავი სიონ“ მონაცემთა ბაზაში ჩემი გვარის წითელი ცირკულარით არსებობაც გამართლდა. ორი დღის შემდეგ ცესკოსა და საოლქოს შემადგენლობაში ჯერ კიდევ დარჩენილმა არანაციონალმა ნაცებმა-მეგობრებმა გაგვიმხილეს, რომ, თურმე, სერტიფიცირების მთელი პროცესი ცენტრალური კომპიუტერიდან გვერდითა ოთახიდან კონტროლდებოდა. შესაბამისად, არეულ-დარეულ შეკითხვებს, ეკრანთან გამეზვებულ ნომრებსა და გაუმართავ პროგრამას — ლოგიკური ახსნა გააჩნია — ივანიშვილის მომხრეს „ტესტირება ვერ უნდა გაველოთ“! ნაციონალურმა გაყარეს ყველა, ვისზეც პირადობების მიხედვით მათიდან არაკეთილგანწყობილი პოზიციის შესახებ წინასწარ იცოდნენ და ვინც ლიდ ივანიშვილის მომხრედ მოიაზრება. (შემთხვევით გამეზვალთა გარდა, რომელთაც ალბათ, კომისიებში უმრავლესობით მოსვლისას „ჩაყლაპავენ“). ახლა კი მშვიდად, ივანიშვილმა ჩატარებულ ხელახალ კონკურსს, რომელშიც გამარჯვებულებიც ძირითადად ნაციონალური აღმოჩნდებიან. მანამდე კონკურსგაგლივებს კი არც გაპროტესტების, არც „არასწორად გაცემული პასუხების“ ნახვისა და არც სერტიფიკატის აღების შესაძლებლობა აღარ ექნებათ. ისედაც ასე იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საინფორმაციო საშუალებებით ივანიშვილის მიერ რუსეთისთვის მიყვლილი „თელასის“ გამოყვადების, დენის ტარების მინიმუმდ დაწვევისა და ხალხისთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ გახდა ცნობილი, საარჩევნო ხმებისთვის „სამკვერო-სასიცოცხლო“ ბრძოლა უნებრივად, საოლქოებსა და ცესკოში გადაინაცვლებს. აქ კი ნაციონალურის მხოლოდ თავისი მომხრეებით დაკომპლექტებული კომისიები ეყოლებათ.

# domxal i saarCevno administracii moxel is sasertifikacii gamocdebze

ისევე სერტიფიკატის ტესტირებას დაუბრუნდეთ. ცნობილია, რომ კომპიუტერი იმ დადებითი თვისებების გარდა, რასაც ინტერნეტით მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დაკავშირებისა და ურთიერთობის შესაძლებლობა წარმოადგენს, მისი მომხმარებლის საუკეთესო კონტროლის საშუალებაცაა. იკითხება ყოველი ჩვენგანის პირადი ფოსტა და ისმინება „სკაიპით“ საუბრები. იბლოკება ის ვებ-გვერდები, რომელიც ფარისევლ-მწიგნობართა იდეოლოგიის საწინააღმდეგო მოსაზრებებს ავითარებს. საზოგადოებისა და ხალხის კონტროლის, ფარისევლთათვის „მიუღებლის“ თავიდან მოშორების ერთ-ერთ საშუალებად კი ბოლო დროს კომპიუტერთი ჩატარებული ტესტირებები გამოცდები იქცა. იმასთან ერთად, რომ ტესტირება საფუძვლიან ცოდნას გამოიცხავს და არამცოდნეს „გაძრომის“ შესაძლებლობას აძლევს, ასეთი მეთოდით თავიდან ათავსობთ მთოდვე და პროფესიონალი ადამიანი იქნა მოცილებული და უშუალოდ დატოვებული. ამ ფორმით ტესტირებაც უცოდინართა, შემთხვევით გამეზვალთა და კომპიუტერული პროგრამებით მანიპულაციის, სასურველი კადრების გაყვანის საშუალებასაც აძლევს ნაციონალურს და „მათ მასწავლებელ“ ფარისევლ-მწიგნობარ გლობალისტებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს დეკლარირებულ განათლებასა და ცოდნას. თუ მათი იდეოლოგიის გამტარებელი არა ხარ, ტესტირებას უბრალოდ „ვერ გაივლი“ და შენი ცოდნის ხარისხსაც ვერავის დაუმტკიცებ! **სამწუხაროდ, სწორედ ამას ეწოდება რეფორმები და დემოკრატია დღეს!** რამდენადაც კომპიუტერს (როგორც ტექნიკას) ადამიანი მართავს, კომპიუტერთი ჩატარებული საგამოცდო ტესტირებებიც, ცენტრალური კომპიუტერთი იმართება და იმ ადამი-

ამით კორუფციის საუცხოო გზად იქცა. ცენტრალური კომპიუტერიც, მასთან მჯდომს, ცალკეული კომპიუტერების პროგრამებში შესვლისა და მათი მართვის შესაძლებლობაც აძლევს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, საარჩევნო კომისებში არჩევნებში არაერთხელ მონაწილე, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის გამოცდებში მონაწილეობის გადაწყვეტილება მივიღე. ეს პრინციპულ საკითხად მეჩვენებოდა, რადგან წინასწარვე ეტყობა, რომ საომარი და სადავო საოლქოებსა და „ცესკო“-ში ნაციონალურებთან ბევრი გვექნება. სერტიფიკატის გარეშე კი, რაც არ უნდა მცოდნე იყო, საოლქო კომისიაში მუშაობის უფლებას კანონი არ გამძლეებს. ცესკოს შემადგენლობაში კი საერთოდ „ნაციონალური პარლა-

დექიდან, 600 კონსტიტუციიდან, 100 ვერბალური და 21 მათემატიკის ტესტის დასწავლა ნორმალური ლოგიკით ვერ უნდა მოგესწრო. ეს პრობლემას მხოლოდ ნაცებისთვის, ისიც კომპიუტერული პროგრამებით მანიპულირებისას არ შექმნიდა. (ასეთივე მეთოდით „არ შეიქმნეს პრობლემა“ 2003 წელს, როდესაც ამგვარი მეთოდით სიებიდან ასიათასობით ამომრჩეველი ამოყარეს.) ყველა კომპიუტერული გამოცდაც რობოტიზებული ზომებისა და სააკაშვილისთვის სასურველ „ახალ ადამიანებზე“ გათვლილი: გამოიცხვლია დაბნევა, ემოცია, ცუდად განხილვა და იგივე შემთხვევითობა. თუმცა გლობალისტებისგან დაწუნებულ „საბჭოურ განათლებამდებულებს“ მასალის ათვისება მაინც არ გაგვეჭირვებია. დამეების თენებისა

იხილეთ „საერთო გაზეთი“  
ინტერნეტში  
[www.saertogazeti.net](http://www.saertogazeti.net)  
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**

მენტის“, ნაცების გაცვანილი პარტიებისა და პრეზიდენტის წარდგინების გარეშე ვერ მოხვდები. ერთი გზა კონკურსი რჩებოდა. მეც მხოლოდ ამიტომ და პრინციპის გამო ივანიშვილის უალტერნატივო გამარჯვებისთვის საბრძოლველად სერტიფიკატის აღება მნიშვნელოვნად მივიჩნიე. ცესკოს ვებ-გვერდზე დარეგისტრირებისას ბოლო ვადა 19 მაისს მოგვცა. ტელეფონითაც გვიპასუხეს: „4 მაისს რეგისტრაცია დასრულდა“. აღმოჩნდა, რომ ტესტირება 24-მაისსაც ტარდება და მე-

და კომპიუტერთან „თვალების დათხროს“ მიუხედავად, მასალა ათვისებული იქნა. „ნაციონალურად შესაბამისი“ იყო საკონკურსო გარემოც — წყლის დასაღვევად და ტუალეტში დამოუკიდებლად გასვლის უფლების არქონაც. ახალგაზრდა დატრეინინგებული ნაციონალი ზედამხედველების გარემოცვაში ტესტირებაც და სამუშაო კომპიუტერში პირადი ნომრებით დარეგისტრირება. ჩვეულებრივად განსხვავებული კომპიუტერთი მუშაობაც უკვე არადადებით ემოციურ განწყობას

ბაია ავაშუპალი

# Cven vi wyebT! 27 mai si

**27 მაისს „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ წინასაარჩევნო მანიფესტაციაზე, შეიძლება ითქვას, ქართველი ხალხის საკმაოდ დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი. ალბათ, უკეთესობისა და ქართული ოცნების ახდენის მიზნით. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება, ამ მასშტაბით ქუჩაში გამოსული ხალხი, კარგა ხანია არავის ახსოვს. შესაძლოა, მკითხველმა შარშანდელი 26 მაისი შემახსენოს (სხვათა შორის მეც კარგად მახსოვს შარშანდელი 26 მაისი ალბათ დამეთანხმებით, 2011 წლის 26 მაისს ამ რაოდენობის ხალხი ქუჩაში, რომ გამოსულიყო, შესაძლოა, დღეს სხვა რეალობა გვექონოდა. თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ შარშანდელთან შედარებით, ხალხმა შიში დასძლია და უკეთესი მომავლის იმედით ქუჩაში უშიშრად გამოვიდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, 27 მაისის მანიფესტაციაზე დადებიც კი შევნიშნეთ თითო და 2-3 წლის ბავშვებით ხელში. აქციაზე 83 წლის მოხუციც კი ვნახე, რომელსაც ყვარჯენდაყრდნობის თბილისის გარეუბნიდან თბილისის ცენტრამდე ძლივს მოეღწია, თუმცა, ამას არ ჯავრობდა. მგონია, 27 მაისის მანიფესტაცია პირველი მასშტაბური აქცია იყო, რომელსაც ხელისუფლების მხრიდან აგრესია და პროვოკაცია არ შეხვედრია, თუმცა დარწმუნებული ვარ, „ნაციონალისტ“ წარმომადგენლებს რამდენიმე ათასკაციანმა აქციამ ბევრი საზრუნავი გაუჩინა.**

**სოზარ სუბარია** – „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი: 27 მაისის დაგეგმილ მანიფესტაციაზე, ცხადია, ბევრ მხარდამჭერს ველოდებით, თუმცა მოსული ხალხის რაოდენობამ ვეღვათა მოლოდინს გადააჭარბა. 2007-2008 წლებში სახალხო დამცველის ამბლუაში, საქართველოში თითქმის ყველა მიტინგის დამკვირვებელი ვიყავი, თუმცა, ასეთი მასშტაბის მანიფესტაცია ბოლო პერიოდში არ გამართულა. დღეს, თუმცა, ოდნავ მაინც თავმოყვარე ხელისუფლება, საკუთარი გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებდა, მაგრამ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმისგან ჩვენ ამას არ ველოთ და შესაბამისად, ჩვენ ყველამ გადაწყვეტილება ოქტომბერში უნდა მივიღოთ.

– რას ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ გზავნილებზე. რამდენად სწორად გააკეთა აქცენტები ქვეყანაში შექმნილ პრობლემურ საკითხებზე?

– რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის საპროგრამო სიტყვას, უმთავრესი, რასაც გამოვეყოფი არის ის, რომ ქართული სახელმწიფო უნდა იყოს ყველა თითოეული მოქალაქის საკუთრება და არა მხოლოდ ერთი მუჟა ხროვის საკუთრება, როგორც ეს სააკაშვილის გუნდს ჰგონია. მათ სურთ საქართველო საკუთარ ქონებრივ დეკლარაციაში ჩაიწერონ, თუმცა ეს არ გამოუვათ.

**რამაზ სამხარამლიძე** – პოლიტოლოგი: ივანიშვილის გამოსვლის ყველა თეზისი თითქმის ნაცნობი იყო, თუმცა, სახსრებსაც შეიცავდა თავისი დახუსტების თვალსაზრისით.

ეს იყო სიტყვა, რომელიც დაახლოებით 200 000-იან აუდიტორიას პოლიტიკოსმა უნდა უთხრას. ჩემი აზრით, ეს არის ხალხის, რაოდენობის ის ვერსია, რომელიც მე მაქვს 27 მაისთან დაკავშირებით და რომელსაც ალბათ, სახელისუფლებო არხების წარმომადგენლები შემისწორებენ.

**დიდი საფრთხე** არსებობდა იმისა, როგორც ზოგადად საქართველოში ხდება ხოლმე, რომ ერთი დაგეგმილი პროცესი მეორეში გადაზრდილიყო. სასამთავროს, სწორედ ის ფაქტი, რომ მოვლენა, როგორც ჩაფიქრებული იყო, ვგულისხმობ, საარჩევო კამპანიის დაწყებას, ზუღსტად ისე მოხდა და განხორციელდა ისე, როგორც „ქართული ოცნება“ გეგმავდა. ამას თავისთავად ხელი შეუწყო ივანიშვილის სიტყვით გამოსვლამაც.

**ჯონდი ბალაძე** – „ქართული დასის“ ლიდერი: 27 მაისს მივლამ მსოფლიომ ნახა, რომ სააკაშვილის კორუმპირებულ რეჟიმს დასაყრდენი აღარ აქვს არც პოლიტიკურ სპექტრში და არც საზოგადოებაში და იგი დარჩენილი თავისი ბანდის ამარა. 27 მაისი ქართველი ხალხის ერთობის დემონსტრირება იყო.

– რამდენად მართებული იყო ივანიშვილის მხრიდან, როცა აქციაზე მისული ამ მასშტაბის ხალხი სახლებში დაბრუნდა. ზომ არ უნდა მიეღო ივანიშვილს უფრო მკვეთრი გადაწყვეტილებები?

– ყველას თავისი გეგმები აქვს და ჩემგან რჩევების მიცემა, უადგილოდ მიმაჩნია.

– ბატონო ჯონდი, როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის განცხადებამ, რომ იგი უარს ამბობს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, ზომ არ შეამცირა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობა?

– იცით, ისეთ შეკითხვებს სვამთ, პასუხი რომ გაცეთ, სხვისი გადაწყვეტილების შეფასება უნდა გამოვიღო, რაც მაინც და მაინც კორექტული არ არის. ბატონი ბიძინა გამოცდილი კაცია და თვითონ გადაწყვეტს, რა უნდა გააკეთოს ჩემი რჩევების გარეშე.

**ზურაბ ბიძინა** – ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი: – ბატონო ზურაბ, რას ფიქრობთ, „ქართული ოცნების“ მანიფესტაციაზე და ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ გზავნილებზე?

– ყველაფერი ძალიან ეფექტური იყო და ყველაფერმა პრაქტიკულად, უშეცდომოდ ჩაიარა.

– **თუ ელოდით მხარდამჭერთა ასეთ რაოდენობას?**

– ველოდი ბიძინას სატელევიზიო გამოსვლების შემდეგ, რადგან კვლევამ რეიტინგის 9 % -იანი მატება აჩვენა.

– როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ მან შეიძლება საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს, ზომ არ გამოიწვევს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების შემცირებას?

– არა, რადგან ბლოკის სახელი „ივანიშვილი-ქართული ოცნება“ ამას გამოიციხავს.

**ზვიად ძიძიუშვილი** – კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი: 27 მაისს საქართველოს მოსახლეობამ, დედაქალაქის მაცხოვრებელმა ბიძინა ივანიშვილისადმი ნდობა კიდევ ერთელ დაადასტურეს. ვფიქრობ, ეს იყო ძალიან მასშტაბური მხარდაჭერა და იგივე პროცესები დაიწყება რეგიონებშიც.

იგივე აქცია იქნება ქუთაისში 7 ივნისს, სადა 6 საათზე და ჩვენ შეძლებისდაგვარად არჩვენებამდე ყველა სოფელსა და რეგიონში გაემართეთ აქტიურ შეხვედრებს. როცა ამბობდნენ, ქვეყანაში შიში იყო გამეფებული, ეს ასე არა რადგან მთავარი ფაქტორი შიში კი არ იყო, არამედ ის უნდობლობა, რომელიც საზოგადოებას ოპოზიციის მიმართ ჰქონდა. დღეს უკვე გამოჩნდა ძალა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა და ეს პოლიტიკური ძალა არის კოალიცია „ქართული ოცნება“.

**მანანა კობახიძე** – „ქართული ოცნება“ დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე: 27 მაისი დიდი გამარჯვების დასაწყისი, ქვეყნის გაერთიანების დასაწყისი იყო. ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით 200 000 თბილისელი ადამიანი იყო აქციაზე მოსული, რომელთაც „ქართული ოცნების“ მისამართით მხარდამჭერთა დიდი გამოხატვა დაიწყო. გუშინ დღემ ნათლად დაგვანახა, რომ თბილისი ოქტომბრის არჩევნებისთვის რეალურად მზად არის და ხმას აძლევს ქვეყნის გამოლიანებას, დემოკრატია, სამართლიან სასამართლოსა და იმ სიცოცხლიანი პრობლემების რომელსაც „ქართული ოცნება“ შესთავაზებს საზოგადოებას: ეს იქნება უფასო ჯანდაცვა და დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე, ეს არის ხელმისაწვდომი განათლება, საქართველოს ნატოში ინტეგრაციასა და რა თქმა უნდა, ურთიერთობის დარეგულირება ქვეყანასთან, რომელთანაც დღეს ჩვენ პრობლემური ურთიერთობა გვაქვს, ვგულისხმობ, რუსეთს და ა. შ. შესაბამისად გზავნილები, რომელიც ბატონმა ბიძინამ გაუღერა ერთი საათის განმავლობაში, იყო ის გზავნილები, რომელიც საზოგადოებამ კარგად მიიღო და ხალხის მოლოდინი არის ძალიან დიდი.

**მირანდა ნაბახტაძე**

**f** ახლა რა გამოსვლა იყო ეს? მე თქვენ გვეკითხებით... არც ნატოსთან კიდევ უფრო მახლობლის ახალ დონეზე უთქვამს რამე... არც უშბის განათებაზე და ქუთაისის სიღნაღისაკაზაზე... ისიც დაავიწყდა ეთქვა, რომ ქართველი პატიმრები ყველაზე ბედნიერი პატიმრები არიან, ხოლო ქართული მრეწველობის ტემპებს ჩინეთი და გერმანია შეჰპატრიან... ერთი სიტყვა არ დასცდენია იმ ბედნიერებაზე, რასაც ჰქმნა იქ ქართველი იუსტიციის სახლის „ჯასთ დრაივ“-ში შესეირნებით და ნესკაფეს ლამაჯზე დადებული ახალი პასპორტის დანახვაზე რომ უნდა განიცდიდეს... ტრამპი არ უხსენებია ხალხო, ეს თანამედროვე ამერიკის დავით აღმაშენებელი! არ წამოსვლია სიხარულის ის კურცხლი, რაც უნდა მოგორავდეს ჰქმნა იქ ქართველის ყვერმალზე, როცა მისი ქვეყანა სრულიად მართო ბედავს და ვეროლის ჩემპიონატზე განაცხადი შეაქვს უფაშაში!.. არ უთქვამს სიტყვა „ლაზიკა“!! - დაავიწყდა ჩვენი ალტერნატიული ქალაქი!.. - ჩვენი ატლანტიდა და ჩვენი კასიოპა, ჩვენი არსებობის მიზანი და გამართლება... და საერთოდ, ისეთი გამოსვლის რა ვთქვი, როცა თვალები გიჟურად არ გიბრწყინავს, ხელებს არ ასავსავს, პირზე ღორღი არ მოგდის, არ იძახი „ბულ-ლსპიტი“-ს და ირგვლივ ფოტოშოპით კლონირებული ხალხის იმიჯები არ ფრიალებს!.. ასე ვერ გაფრინდებით!.. ეს არ იყო ის, რასაც ქართველი ხალხი მიეგია!

**f** ლადო ვარძელაშვილი რატომ არის სპორტის მინისტრი? ომის დროს სწრაფად რომ გამოიქცა გორიდან?

**f** ექვ! რა დრო იყო? ჩართავდი ტელევიზორს - გამოვარდებოდა ქვეყნის პრეზიდენტი, ფდინტლებს სახელთი მიიწმენდა, ისტერიულად დაიწყებდა სისულელების ჯღავილს, ღორბლების ყრას, ტრამპას, ტყვილებს „ამას ვიზამ, იმას ავაშენებ... მის ფონზე საკუთარი თავი მართლა ზეკაცი გვეგონა... ახლა კი... გამობრძანდება ეს ვაჟბატონი, დალაგებულად გესაუბრება, არავის არ ლანძღავს, არ ამუნათებს, არაფერს არ გაყვედრის... ელოდები რაიმე წამოცდეს, რადგანაც თუ თქვა, აუცილებლად გააკეთებს... უფურბ და ხელები, რომ ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ, და არა - ზეკაცი... ტეხავს, ტეხავს, რა! შიშა დააბრუნეთ, ფარჩაკებო!

**f** ვისაც ეხებიება, იზვიდოს, თუ სინდისი გააჩნიათ, ჩემთვის 26 მაისი ყოველთვის ნიკასთან დაკავშირებული დიდი ტკივილი იქნება.

**f** მე მგონია, რომ 27 მაისი ეს არ არის ბიძინას მხარდამჭერთა აქცია, მართლაც... მიუხედავად იმისა, რასაც აცხადებს ქართული ოცნება და რას გულისხმობს... მე გულწრფელად ვფიქრობ, რომ ეს არის უკანასკნელი შანსი, რომ დავძლიოთ ბოროტი.. ეს პარლამენტი არ იქნება იდეალური, მაგრამ, ღრმად მწამს, რომ შემდეგი და იმის შემდეგი პარლამენტი, მთავრობა, ხელისუფლება, პრეზიდენტი თუ ვინც იქნება, გენაბეთ, მეუფე უფრო ადამიანური, კაცთმოყვარე, ჰკვიანი და თავის ქვეყანაზე მზრუნველი იქნება.. მე ვფიქრობ, გულწრფელად, მართლაც, გეფიცებით, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, ეს არის ჩვენი ბოლო შანსი, გამოვდივების დასაწყებად... ასე რომ, ქუღზე კაცი და გადავარჩინოთ ეს ქვეყანა, ვისაც გვიღობს და გვიყვარს ის!...

**f** პიროვნების ბედნიერება შეუძლებელია, თუ იგი დაშინებულია, წართმეული აქვს არჩევანის უფლება, თუ მის ბედს განაგებს გულცივი და რეგენი, ვერ თვლის თავს ქვეყნის სრულყოფილიან მოქალაქედ, ვერ ახერხებს საკუთარი სულიერი და ინტელექტუალური უნარების რეალიზებას, თუ აყვედრან ლუკმას, თუ გამოუღმებით უთვალთვალდებენ, თუ ყოველი დღის გათენება მასში შიშს ჰბადებს, რითი დააპუროს შვილები...თუ...თუ...უთვალავი „თუ“. ფარჩაკებო, მზე გამოუშვით, რათა ყველას სულში ჩაანათოს!

**f** ქუთაისში პარლამენტის გახსნისთვის არ მიყურებია. მაინტერესებს, ის საბი ადამიანი, მათ შორის ბავშვი, რომელიც ამ შენობის ამენების დროს დაიღუპნენ, აფეთქებისას, გაიხსენეს წუთიერი ღუმელით მაინც? რიტორიკული კითხვა არაა, მართლაც მაინტერესებს.

**f** არ მინდა „ბიძინა-ბიძინას“ ყვირილი, არ მინდა, ისტერია, აპათია, გაღმერთკაცება, მინდა ღირსეული, კულტურული, ლადი და თავისუფალი, დაუმორჩილებელი და დაუჩმორებელი ქართველების ნახვა. მინდა, რომ მან, ვინც ხელისუფლების სათავეში მოვა, იგრძნოს, რომ ნდობა და ფანატობა სხვადასხვა ცნებებია ჩვენივის. მინდა, რომ პასუხისმგებლობა იგრძნონ პოლიტიკოსებმა და არა ტკბობა პოპულარობით. მინდა, რომ ნახონ, რომ ქართველებს ასე მარტივად, ასე უტიფრად თავზე ვერ „დაახურავ“ ვერც სამშობლოს, ვერც დიანსებას და ვერც სახეში მიაფურთხებ ადვილად!!! ეოტ, აი, ამას ველი ხვალისნდელი დღისკან და საერთოდ, ამ არჩევნებისგან..

გვესაუბრება ცეცხლის ყოფილი თავმჯდომარე, ჟურნალისტი ნანა ღვებარიაძე

ქალბატონო ნანა, არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას. ეს განცხადება კი გამოიწვია საკონსტიტუციო ცვლილებამ, რომელიც ხელისუფლებას, თითქოსდა ბიძინა ივანიშვილის ხათრით, შეაქვს კონსტიტუციაში. თქვენ რას ფიქრობთ ამ ცვლილებაზე და რა საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს ის საქართველოსთვის?

პოსტ-სოციალისტური ბანაკის რამდენიმე ქვეყანამ გააკეთა ასეთი რამ, უცხოეთში მცხოვრები თავისი თანამემამულე აირჩია პრეზიდენტად. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, რომ ამერიკელებს ძალიან აწყობთ ეს სქემა, როდესაც მათი მოქალაქე, მათ ფასეულობებზე გაზრდილი ბრუნდება სამშობლოში და ხდება ქვეყნის ლიდერი. მაგრამ ვერ ერთი, ბიძინა ივანიშვილი ამერიკის მოქალაქე არ არის. მეორეც, რაც არ უნდა კარგი ცვლილება იყოს, ერთი კაცის გულისთვის კონსტიტუციაში მისი შეტანა მორალისგან ძალიან შორს დგას. მე ის კი არ მიკვირს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მსგავსი განცხადება გააკეთა, არამედ, როგორც კი ეს ინიციატივა გახშირდა, მაშინვე რატომ არ განაცხადა უარი, ეს არის ჩემთვის უცნაური. თანაც

**ივანიშვილი ამაოვან, ორი წლის მერ იხილავს წაპყრობას პოლიტიკიდან, ანუ მისთვის სიკვდილს ნიშნავს საკითხი არ არის არჩევნებში მონაწილეობა. მაგრამ ის ამბობს, რომ მისთვის სიკვდილს ნიშნავს საკითხი ან რაიმის მოვლა. ამისთვის კი არსებობს ყველაზე მოკლე გზა. არ აქვს მინიმალური ივანიშვილი სიკვდილს ნიშნავს ჩაწერილი თუ არა, მაინც ყველა იცის, რომ „ქართული ოცნება“ მისი პოლიტიკური ძალაა.**

გარდა ამისა, ივანიშვილი ბიზნესიდან მოსული კაცია და უძრავ-ლეულით თუ ვერ მოვიდა პარლამენტში, სულაც არ უნდა დამარცხებულიყო როლში ყოფნა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მის ინტერესებში სულაც არაა, რომ სიაში იყოს ჩაწერილი. თუ მისი პოლიტიკური ძალა, მისი სიაში ყოფნის გარეშეც გამარჯვებულს, ახალი მოდელით საპარლამენტო უძრავლესობას უჭირავს ხელში ყველაფერი. ისინი

# biZina ivaniSvil isTvis sikvdiI - sicocxl is sakiTxi ar aris arCevenbSi monawil eoba, magram mi sTvis sikvdiI -sicocxl is sakiTxi a am reJimis moSoreba...



კონსტიტუციასაც შეცვლიან, მოქალაქეობის საკითხის პედალირებასაც მოახერხებენ და, საერთოდ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამიტომ, ეს ისეთი პირობითობებია, რომ გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება არ შეიძლება. ახლა გადავიდეთ ამ განცხადების „მისუსტეზე“. მოსახლეობის, ამომრჩევლის უდიდესი ნაწილისთვის რა გამოდის? — ე.ი. „რესპუბლიკელები“ უნდა აირჩიონ ივანიშვილის ხათრით? არა, ხალხს „რესპუბლიკელები“ არჩევა რომ სდომებოდა, ყველაზე ძველი პარტია ვართო, იბახიან და ერთხელ მაინც გამარჯვებდნენ რომელიმე არჩევნებში. ამიტომ, ყველა სიტყვას უნდა გათვალა და გაანალიზება. მხოლოდ „რესპუბლიკელები“ ხომ არ არიან კოალიციაში, ზოგს ალასანია არ უყვარს, ზოგს „ფორუმი“ და იმის თქმა ივანიშვილის მხრიდან, რომ მე არ ვიქნები, იწვევს ამდენი ამომრჩევლის დემორალიზაციას და დეზორგანიზაციას. ყველა, ვინც თვალს ხუჭავდა კოალიციაში ვიღაც სუბტიტლებზე და ივანიშვილის ხათრით ხმის მიმცემი იყო, ახლა ათჯერ დაფიქრდება, სანამ ხმას მისცემს. მას თავიდანვე უნდა ეთქვა, რომ მე ამ საკონსტიტუციო შესწორებას არ გამოვიყენებ და მომეცით ის, რაც მეკუთვნის — მოქალაქეობა. მე, საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მანდ „პიარით“ არაფერ არ არის დაკავებული. შეიძლება ვიღაც კი არის, მაგრამ შედეგში ეს ნამდვილად არ აისახება.

ბიძინა ივანიშვილის განცხადება მორალური თვალსაზრისით სწორია, მაგრამ მეორე საკითხია, ამ ხელისუფლებასთან მორალური ბრძოლა რამდენად არის მიზანშეწონილი?

ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა ხერხს იყენებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად და როგორც კი შენც იგივეს კეთებას დაიწყებ, მოსახლეობა თავისთავს დაუსვავს კითხვას, ასეთი ხომ გვყავს უკვე ხელისუფლებაში და მაშინ, რატომ უნდა შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, ეს, რა თქმა უნდა, სწორი ნაბიჯია. იმიტომ კი არა, რომ შენი მორალით ფიზიკურად დაამარცხებ ვინმეს, არამედ იმიტომ, რომ ამორალობას ერთადერთი რამ უპირისპირდება, — მორალი. თუმცა გეთანხმები, პოლიტიკაში გამარჯვება მორალურ ნაბიჯებზე არ არის დამოკიდებული. ამ მორალურ ნაბიჯებს კიდევ სხვა ნაბიჯები უნდა ახლდეს, რაც უზრუნველყოფს გამარჯვების პრინციპებს.

კონკრეტულად რომელი ნაბიჯები?

უპირველესად, ეს არის ძალიან მჭიდრო მუშაობა ამომრჩევლებთან. მეორეც მხრივ, დღეს ხელისუფლება ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს. მაგალითად, როდესაც ეროვნული მოძრაობა იწყებოდა, ზვიად გამსახურდია ასეთ კომფორტში კი არ ამყოფებდა მაშინდელ ხელისუფლებას. გამუდმებით პრობლემებს უქმნიდა და ეს ძალიან გამაღიზიანებელი იყო მათთვის. მაგრამ ამ წვეთი წველი პრინციპით იქამდე მიიყვანა სიტუაცია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობდა, მოდი, წინასწარ მოველაპარაკოთ, თორემ მერე აქციები და გამოსვლები იქნებაო. ამიტომ ამ

დროს სხვადასხვა ნაბიჯების ერთობლიობაა საჭირო. სადღაც შენც უნდა გადახვიდე შეტევაზე. ხომ არ შეიძლება სულ შენ გესხმოდნენ თავს და შენ აჩვენებდე, რომ ხარ კარგი, მაგრამ მაინც თავდაცვის პოზიციაში. თუ თვეების განმავლობაში პატარ-პატარა წაგებები გექნება, ოქტომბერში რა გამოანათებს ამისთანა, რომ უცებ დიდი გამარჯვება მოიგდო ხელში? ასე, რომ ხანდახან ძალიან უშინშენოლო საკითხშიც კი, შენ რომ შენსას გაიტან და ხელისუფლებას არ გაატანინებ, ეს არის გამარჯვება. მაგრამ ამ გამარჯვებასაც უნდა ხალხამდე მიტანა. ხომ უნდა გაიგონ ადამიანებმა, რომ შენ ეს გამარჯვება მოიპოვე.

თქვენ ეროვნული მოძრაობის დასაწყისი ასხენეთ, იმ პერიოდში ზვიად გამსახურდიას და 2003

წლის შიგნით არის, იმათ ვერ არ აქვთ იმის შეგრძნება, რომ, აი, ინგრევა ყველაფერი. სიფრთხილის გრძნობა, რა თქმა უნდა, აქვთ და ფიქრობენ, აბა, რა და როგორ იქნება. მაგრამ ის, რომ რეჟიმი უკვე იშლება და ჩაბირვის პირას მყოფი ხომალდიდან ვირთხები გარბიან, ეს სიტუაცია ნამდვილად არ არის. არც შეიქმნება, სანამ შენ შენს ძალას არ დაანახებ.

რასან ჩვენ ზვიად გამსახურდია ვახსენებ, მაშინ მე ტელეკამერით დაფიქსირებული ყველა იმდროინდელ მოვლენას თუ მის მიტინგებს და როგორ ხდებოდა, იცო? — უცებ იტყოდა ზვიად გამსახურდია, რომ აი, ახლა წავედით სტადიონზე, მერე სტადიონზე გამოაცხადებდა, ახლა წავედით, პირობითად, იპოლონოზე. თან ისე, რომ არანაირი მოტივაციით არ ასახულებდა. ის ამით



წელში მიხედა სააკაშვილსაც ხელისუფლების შიგნითან ჰყავდათ მხარდამჭერები. მსგავსი ფაქტორი არ ეხმარება ბიძინა ივანიშვილს, ეს რამდენად ამცირებს მის შანსებს?

ეს ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. იმისთვის, რომ შენ პირობითად მტრის ბანაკში მხარდამჭერა მოიპოვო, ის ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ ეს რეჟიმი იშლება. დღეს ამას სააკაშვილის ბანაკში ვერ გრძნობენ. ვინც ახლა რე-

სინჯავდა, ხალხს რა რაოდენობა წაჰყვებოდა. როცა ასე ბევრჯერ განმეორდა, ეროვნული მოძრაობა, ზვიად გამსახურდიას სახით, დარწმუნდა, რომ მათ შეუძლიათ ხალხის გაყოფა. ახლაც იგივეა, შენ თუ პრაქტიკულად არ მოსინჯე, არ შეამოწმე შენი თავი, აქტიური ამომრჩევლის რა რესურსი გყავს, ძალიან რთულია თეორიული გაოველების გაკეთება.

ლელა არაბული

## პირველად საქართველოში!

# 27 mai ss koal icia ` qarTul i ocnebi s` aqci aze 200 000-ze met i adami ani gamovi da!!!



თავხელით სხვა პრობლემებთან ერთად (მაგალითად სინდისის პრობლემა) როგორც ჩანს, მხედველობის პრობლემაც სერიოზულად აწუხებს და, აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, თუ ათი ერთად ეჩვენება, მაგრამ რა ჭირდათ იმ უცხოელ ჟურნალისტთა ერთ ნაწილს, რომელიც თავხელით აცხადებდნენ, რომ აქციის მონაწილეობა 40

000-ს არ აღემატებოდა, ეს იმ დროს, როცა 40 000-ს არ აღემატებოდა, ეს იმ დროს, როცა 40 000 ადამიანი მარტო „თავისუფლების მოედანზე“ იდგა. ერთი სპეციფიკური თავისებურება ჰქონდა ამ აქციას, რაც ბევრს გამოიწვია მხედველობიდან. საქმე ის არის, რომ აქცია რამდენიმე დღე „ავტონომიურ“ დაჯგუფებად დაიყო, რადგან აქციის მონაწილეთა უმრავლესობამ, ხალხის სიმრავლის გამო, „თავისუფლების მოედანზე“ ვერ შეაღწია. ეს დაჯგუფებები სპეციალურად

ამ დონისიბებისთვის დადგმული მონიტორინგის გარეშე იყვნენ შეკრებილი და იქიდან აღვენებდნენ თვალს აქციის მსვლელობას.

მონიტორინგის იდეა პარლამენტთან, რუსთაველის პროსპექტის სხვადასხვა მონაკვეთზე, პუშკინის, ლესელიძის, ლეონიძის, დადიანის, ტაბიძის ქუჩებზე და თითოეული ამ მონიტორინგის გარეშე ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი.

როგორც ჩანს, ხელისუფლება და მის მიერ დაქრთამული უცხოური თუ ადგილობრივი მედიასაშუალებები ცალ-ცალკე ითვლიან ამ ერთი აქციის შემადგენელ რამდენიმე ხალხმრავალ მიტინგს.

თქვე ყალბადანდებო, ცალ-ცალკე რომ დაითვლით, მერე ერთად შეკრიბეთ ეს მიტინგები და ჯამში 30 000-ს კი არა 200 000-ს მიიღებთ, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ მომავალ არჩევნებში სააკაშვილის და მისი რეჟიმის დამარცხება გარდაუვალია.

დავით ქაჭორია

რამ დაეცივით თვლა სახელი-სუფლო თუ არასახელისუფლო პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს?

27 მაისს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ყველა რეკორდი მოხსნა და აქციაზე მხარდამჭერთა უპრეცედენტო რაოდენობა გამოიყვანა. ამდენი ხალხი ქართულ სინამდვილეში ვერ არცერთ მიტინგზე, არცერთ აქციაზე არ ყოფილა! — ასეთია ეროსულოვანი დასკვნა 27 მაისის აქციის შესახებ.

საქართველოში რომ ვერ მოძებნეს ანალოგი, ექსპერტები არაბულ ქვეყნებს მიადგნენ, თუმცა ის გრანდიოზული სურათი, რაც თბილისში 27 მაისს ვიხილეთ, ვერც არაბული ქვეყნების მღელვარე გაზაფხულზე ვნახეთ.

სასაცილო ის იყო, სადამოს მომიტინგეთა რაოდენობას ყველა, რუსულად რომ ვთქვათ, „პო მერე სეოეი ისპორჩენოსტი“ რომ ითვლიდა.

მაგალითად, მიშა თავხელით თვლის, რომ აქცია მონაწილეთა

# dRes moZraoba erovnul ebi ~ fuZndeba!

დღეს, 30 მაისს, ოფიციალურად ფუნდებ-  
ბა ახალი საზოგადოებრივი და უპირველესად  
ეროვნული მოძრაობა „ეროვნულები“. წინას-  
წარი ინფორმაციით, მოძრაობა არ იქნება და-  
ფუნდებული რომელიმე ორგანიზაციის ბაზა-  
ზე. „ეროვნულები“ სახით მოხდება ყველა  
იმ ეროვნული ძალის კონსოლიდირება, რომე-  
ლიც ისწრაფვის იმისკენ, რომ ადღეს ის  
ეროვნული სული, რომელიც დღეს, როგორც  
რადაც სამარცხვინო, ხელოვნურადაა ჩაწო-  
ბილი.

სატოვანი გამოთქმა: „ხანჯალი ისე ათა-  
მამდა, თვითონ ხტებოდა ქარქაშიდანი“, ასე-  
თი საბრძოლო მუხტი წამოიყვანა ქართულ  
ენაზე, ქართულ ცნობიერებაზე, ქართულ სიწ-  
მინდებზე და ზოგადად ყველაფერ ქართულ-  
ზე გამუდმებულმა ზეწოლამ და დაუსრულე-  
ბელმა თავდასხმებმა.

უახლეს წარსულს რომ გადავხედოთ,  
კარგს ვერაფერს დავინახავთ, ილიას ესრო-  
ლეს და ესროლეს საქართველოს. ილიას შემ-  
დე ილიასთან ერთად ჩაკლული ქართული  
სული, გასული საუკუნის 90-იან წლებში,  
ისტორიისთვის წამოიყვანა, გამონათებული  
ეროვნული სულის აღორძინება კვლავ სისხ-  
ლით და მახვილით ჩააწოდა ხუნტამ, – ისტო-  
რია განმეორდა, ისევ ქართველებმა მოკლეს  
საქართველო...

ისტორია ხშირად დასცინის კაცობრიო-  
ბას, „ქეთა დადადის“ სამშობლოში ეშმაკუ-  
რად, ზვიადის ადამიანის მიმაძეგვლობითა თუ  
ერზე მზრუნველი კაცის მანტიით, გვართი  
ქართველი, ტომით უცხო და უცხოთაგან კი-  
დევე უფრო გაუცხოებული მტერი, – საქარ-  
თველოს პრეზიდენტად წოდებული, – დაესხა  
ყველა ქართველს, როგორც ერს. მანამდე ასე  
თუ ისე შენიღბული, საბოლოოდ გაუბოროტ-  
და იმ ხალხს, რომელმაც ერისკაცია, ნატანჯი  
განსვენებულად კი, ზვიად გამსახურდია, ქარ-  
თული, ეროვნული დროში დაიტირა...

27 მაისს თავისუფლების მოედანზე სა-  
ქართველოს ეროვნული, ე.წ. „ზვიადის დრო-  
შები“ რომ გამოჩნდა, ხალხმა ტაში დაუკრა,  
ოვაციებმა გამოხატეს სათქმელი...

ბუნებრივია, გენეტიკამ იძალა და ქართ-  
ველს ქართველობა მოსწყურდა, ქვეცნობიე-  
რად კარ მიიღო ხუთჯვარი-  
ანი დროში სახელმწიფო  
დროშად, რომელიც ერთი  
კონკრეტული პარტიის  
იყო, მმართველ-მტანჯვე-  
ლი ადამიანთა მცირე ჯგუფ-  
იხისა, შემდგომ კი დემო-  
მა იცის, სადაური წარმო-  
მავლობისა და რა მისტი-  
კური დატვირთვის მატა-  
რებელი. დღემდე ბრძო-  
ლით მოსულ ქართულ  
გენს მისი სულის გამოძახილი, მისი სისხ-  
ლის მორწყული შინდისფერი ალაში ესალ-  
ბუნება, მისი ფრიალის ქვეშ გრძნობს თავს  
ქართველად და მემორად...

გარდასული საუკუნეებიდან დიდი ხანია  
გვკარნახობენ საქართველოს აღმშენებელი წი-  
ნაპრები, რომ თუ დღევანდელ და სასწრაფოდ არ  
იძალა ეროვნულმა ცნობიერებამ, ეროვნულმა  
იდეოლოგიამ არ განდევნა ცრუ სწავლებები  
და უნარ-ჩვევები, საქართველოს მომავალი კი  
არა, ეპიტაფიაა კი არ უწერია ისტორიაში.

„საერთო გახილვის“ სტუმრებს მცირე კო-  
მენტარი ვთხოვეთ მოძრაობის დაფუძნების  
წარმოშობა მიზეზებსა და მიზნებსზე.

**სანდრო ბრძანაძე:** – „ეროვნული იდეა  
იქნება ძირითადი მიზანი  
იმ დიდი საზოგადოებრივი  
მოძრაობის შექმნისა, რო-  
მელიც, ამ ეტაპზე ასეა  
ჩაფიქრებული, რომ ერ-  
მეცა მოძრაობა „ეროვნუ-  
ლები“, შემდგომში კი  
უკვე გამოცხადდება კონ-  
კრეტული გეგმები, რა  
სტრატეგიითა და ტაქტი-  
კით იმოქმედებს ეს საზო-  
გადოებრივი მოძრაობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნულობა, რომე-  
ლიც დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება დამ-  
ყარებული, ერთადერთი გამოსავალია იმ ჩიხი-  
დან, რომელშიც ვიმყოფებით.

**მმარა შატირიძე:** – „მე ვფიქ-  
რობ, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერ-  
თიანება, ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფი, თუ ის  
ნამდვილად საქართველოს თავისუფლებას  
ფიქრობს, ამ ბრძოლაში უნდა ჩაებას.



საქართველოში ოცი წე-  
ლია ეროვნული სულისკვე-  
თება, ეროვნული პრინციპე-  
ბი და ეროვნული იდეა გა-  
მოკეტილია უხილავ სეიფ-  
ში. თითქოს, ეროვნულობა,  
სამშობლო, ყველაფერი,  
რაც ქართულია, მისი ხსე-  
ნება სამარცხვინო გახდა.

ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა ამ  
წლებში, რომ თითქოს ეროვნული იდეების მა-  
ტარებელი ხალხი ფანატიზმშია გადასული,  
ისინი „ზვიადისტები“ არიან. არა, ჩემო კარ-  
გო, ისინი „ზვიადისტები“ კი არ არიან, ისი-  
ნი ეროვნულები არიან და იმ იდეის მატარე-  
ლები, ილიას იმ გზის გამგრძელებლები, რო-  
მელ იდეასაც შეეწირა თავად ზვიადი...

მე თვით იმდროს მოვედი „ეროვნულებ-  
თან“, რომ ვფიქრობ, ჩემი გამოხატებით, ჩემი  
მენტალიტეტით, ჩემი მოქალაქეობითა და ჩე-  
მი ქართველობით სწორედ იქ ვგავარ, სადაც  
ნებისმიერი ქართული ოჯახი.

**მინილ კვარაცხელიძე:** – „გასუ-  
ლი საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა  
ეროვნული მუხტი, ერო-  
ნული ძალა, რომელმაც  
ქართველებს ჩაგვისაზა იმე-  
დი, რომ სამოკლავო-წოდანი  
უღლისგან განთავისუფლ-  
დებოდით. ამ იმედმა ქარ-  
თველი ხალხი გაგვართიანა.  
შემდგომში როგორ განვი-  
თარდა მოვლენები, ამაზე  
ბევრს აღარ ვისაუბრებ,  
მოკლედ ვიტყვი, რომ მოხდა ის, რაც მანამ-  
დე, საუკუნის დასაწყისში – მოკლეს ილია.  
იგივე დამართეს საქართველოს, მოცილეს მე-  
რამ კოსტავა და შემდეგ ზვიადი, რითაც და-  
ასამარეს ეროვნული მოძრაობა და აქციის ერ-  
თგვარ რუდინტად. უხეშ შედარებას ვაკეთ-  
ებ: ის არსებობს, მაგრამ არსებობს, როგორც  
ბრმა ნაწლავი, რომე-  
ლიც ფუნქციას არ ას-  
რულებს.



დადგა დრო, ხმა  
ამოვიღოთ ქართველებმა  
და ვებრძოლოთ იმას,  
რაც დღეს ხდება ჩვენს  
სამშობლოში!  
უპირველესად, აუც-  
ილებელია მოხდეს ხალ-  
ხის გაერთიანება, ყველა  
ქართული ძალის. თუკი  
დღეს ხმა ამოვლება ვინმეს და თქმის საქარ-  
თველოსთვის და სურს დამკვიდროს საკუთარ  
ადგილს, ერთ-ერთი მთავარი და ძლიერი  
რგოლი უნდა იყოს ეროვნული მოძრაობა.

მოვეხსენებთ, რამდენი ხნის განმავლობა-  
ში იყო ინდოეთი ინგლისის კოლონია და მო-  
პანდას კარამანდ განდიმ ასე მიმართა ინდო-  
ელებს: – „ინგლისელები კი არ არიან (კულე-  
ბი, ალბათ, ჩვენ არ ვართ კარგები.“ აქედან  
გამომდინარე, ალბათ, იმაზე უნდა ვიფიქროთ,  
თვით ჩვენ რა გავაკეთეთ და მომავალში რას  
ვაპირებთ. თუ გვინდა ვიყოთ თავისუფლები,  
ყოველდღე წვეთ-წვეთ უნდა განვდევნოთ ჩვენ-  
გან მონა. 90-იან წლებში, როცა ეროვნული  
მოძრაობა დაიწყო, ვიფიქრეთ თავისუფლები,  
მაგრამ მერე, პირიქით, განვითარდა მოვლენე-  
ბი და წვეთ-წვეთ შემოგვაპარეს და მიგვაჩვი-  
ეს მონობას – მე დღეს მონის მდგომარეობა-  
ში ვგრძნობ თავს.

მოგასხენებთ იმასაც, რომ მე მხოლოდ მი-  
მას წასვლის მომხრე არ ვარ, მმართველობის  
სისტემა უნდა შეიცვალოს მთლიანად. ქართ-  
ველი კაცის აზროვნებაში უნდა მოხდეს გა-  
დატრიალება. წავიდეს მიშა და ისეთივე წარ-  
მატებით იხანონ სხვა სახელი, ეს არ მიხდა.  
უნდა წავიდეს დღევანდელი სახელისუფლები  
გუნდი, რომელიც ყოველ წამიერად ანგრევს  
საქართველოს და უნდა მოვიდეს ქვეყნის და  
ერის მოყვარული ეროვნული ძალა. ნუ ვიქნე-  
ბით ცხვარი და მგელი ვერ შეგვკამს...

აიაა ჭლიძე

**ნებისმიერი ქვეყნის ბიუჯეტი ადგილობ-  
რივი მოსახლეობის მოსაკრებელი იცხება.  
ის ისევე ეკუთვნის თითოეულ მოქალაქეს,  
როგორც ნებისმიერ ჩინოვნიკს თუ პრეზი-  
დენტს. საქართველოში ბიუჯეტი მხოლოდ  
შეესებადღა მოსახლეობის. შემდეგ კი ის  
მთლიანად მთავრობისა და ხელისუფლების  
განკარგულებაშია. ნაციონალების გარდა  
მასზე ხელი არავის მიუწვდება.**

## პრაიმიზმი რისთვის

პრეზიდენტის მითითებით სოფლის მე-  
ურნეობა უნდა გამხდარიყო ქვეყნის პრიო-  
რეტული დარგი. ამისათვის 150 მლნ.  
ლარი უნდა გამოყოფილიყო, მაგრამ ფული  
ვერ მოიძიეს. სამაგიეროდ, სოფლის მეურ-  
ნეობის სამინისტროს ძველი თუ ახალი  
ხელმძღვანელობა ყაბადღებული „ქაბრების  
შემოჭერის“ ნაცვლად ბიუჯეტიდან გამოყო-

მინისტროებსა და უწყებებში ამ გზით გა-  
ცემული 24 მლნ. 100 ათასი ლარი აღმო-  
აჩნდა. კიდევ უფრო მეტი – 24 900 ათა-  
სი ლარი გაცემულია მივლინებებისთვის.  
თუმცა შემოწმებულმა ვერსად მიავნეს  
ლოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნებო-  
და მონაცემები იმის თაობაზე, თუ რა ეკო-  
ნომიკური სარგებელი მოიტანა (ან შემდ-  
გომში მოიტანს) აღნიშნულმა მივლინებე-  
ბმა.

ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებს  
სხვა საქონელსა და მომსახურებაზე დახარ-  
ჯული აქვთ 42 მლნ. 800 ათასი ლარი.  
ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ოფი-  
სებზე 54 მლნ. 600 ათასი ლარია დახარ-  
ჯული. ფული ძირითადად ინტერიერის გა-  
ნახლებასა და რემონტებზე იხარჯებოდა.  
კონტროლის პალატის დასკვნით, შეს-  
ყიდვების დიდი ნაწილი ერთ პირთან მოლა-

# gafI angul i miI onebi da si raql emis rol Si myofi parl amenti

ფილ თანხებს არამიზ-  
ნობრივად ხარჯავს და  
სრულიად გაუგებარი მი-  
ზეზებით თავისი აპარა-  
ტის თანამშრომლებს  
პრემიებით აჯილდოებს.



სამინისტროს სახელ-  
მწიფო პროგრამის „ღვი-  
ნის ლაბორატორიული  
კვლევის“ ფარგლებში  
გამოყოფილი 100 ათასი  
ლარიდან ათვისებული  
აქვს მხოლოდ 2 800  
ლარი. უცნობია დარჩენი-  
ლი თანხის ასავალ-დასა-  
ვალი. ამავე პროგრამიდან გამოყოფილი  
„სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსი-  
ფიკაცია“ და „სოფლის მეურნეობის დარგე-  
ბის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“  
აუთენსიციური თანხებიდან 27 500 ლარი  
სხვა მიმართულებებზე კი არ გადანაწილდა,  
არამედ სამინისტროს აპარატის თანამშრო-  
მელთა პრემიების სახით გაიქცა.

ასევე არამიზნობრივადაა გახარჯული  
(პრემიების სახით გაიქცა) საქართველოს  
ენერგეტიკის სამინისტროში ბიუჯეტიდან  
მალაღმობიან რეგიონებში ელექტროენერგი-  
ით მომარაგების გაუმჯობესებისთვის გამო-  
ყოფილი თანხები.

მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანე-  
ლისათვის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი  
ჰყავს სამი სამსახურებრივი ძვირადღირებული  
მანქანა. – 2011 წელს გამოშვებული  
„ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ და 2010  
წელს გამოშვებული ჯიბი – „შოკლა სკაუ-  
ტი“. კიდევ ერთი ძვირადღირებული „ტოი-  
ოტა კოროლა“ ემსახურება მის ოჯახს.  
ძვირადღირებული მანქანები ემსახურებათ  
სააგენტოს უფრო დაბალიერარქიულ საფე-  
ხურებზე მდგომარე (მოადგილეები, სამსახუ-  
რის უფროსები, ფავორიტი განყოფილების  
უფროსები). ყველა მანქანა ორი და შემდ-  
გომ წლებშია გამოშვებული. არასამთავრო-  
ბოების დაანგარიშებით მათი საბაზრო ღი-  
რებულება მილიონ 500 ათას ლარს აღ-  
წევს.

არასამთავრობოები სააგენტოს 90 ათა-  
სი ლარის უაზროდ გაფლანგვაშიც ადამა-  
შაულებენ. თანხები გაიხარჯა პრემიებსა და  
მივლინებებში. არ უკვირთ, თუ რა საჭი-  
რო იყო ოქსფორდსა და სხვა პრესტიჟულ  
უნივერსიტეტებში მრავალრიცხოვანი ჯგუ-  
ფების მივლინება გამოცდილების გაზიარე-  
ბის მიზნით, როდესაც სააგენტოს თანამშ-  
რომლებს ძირითადად ტრანსპორტზე სა-  
ხელმწიფო ნიშნების გაცემა ევალებათ. მით  
უმეტეს, რომ მივლინებულთაგან 60 პრო-  
ცენტმა ინგლისური ენა საერთოდ არ იცის.

მამინ, როდესაც მასობრივად ხდება  
საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან თანამშრო-  
მელთა დათხოვნა (ვითომდა სახსრების  
დაზოგვის მიზნით), კატასტროფულად მა-  
ტულობს შტატგარეშეთა რაოდენობა და  
მათზე გაცემული თანხები. კონტროლის  
პალატამ შემოწმების შედეგად ქვეყნის სა-

პარაკების გზით ხორციელდება, რაც გამო-  
რიცხავს ბიუჯეტის მართვის გამჭვირვალო-  
ბას. ექსპერტი კი ამას სამთავრობო ჩინოვ-  
ნიკების მხრიდან ფულის გათიურების საუ-  
კეთესო საშუალებად მიიჩნევს.

კონტროლის პალატის აუდიტით დად-  
გინდა, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის  
ფონდებიდან უგზო-უკვლოდაა გამქრალი 3  
მლნ. ლარი.

კონტროლის პალატისა და ცალ-ცალკე  
გაკეთებული დასკვნებით, ფინანსთა სამი-  
ნისტროს მიერ სახელმწიფოს სამინაო ვა-  
ლების ჩამოწერა ხდება კანონის სრული  
დარღვევით. სამინისტროს არა აქვს დებუ-  
ლება ვალის რეესტრის წარმოებისა და სა-  
ხელმწიფო გარანტიების წარმოების შესა-  
ხებ. სწორედ ამის გამო, ექსპერტები  
თვლიან, რომ გასულ წელს სახელმწიფო  
ვალიდან ჩამოწერილი 157 263 500 ლა-  
რიდან დიდი ნაწილი ჩინოვნიკების ჯიბეებ-  
ში დაიდევს.

მონიტორინგის ჩამტარებლები აცხადე-  
ბენ, რომ სამინისტროებმა არ იციან მათ  
დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები თუ სა-  
იდან ან რა რაოდენობის თანხებს იღებენ  
და როგორ ხარჯავენ მათ. ისინი ფინანსურ  
ანგარიშების კონსოლიდირებას ახდენენ  
მექანიკურად ყოველგვარი გადამოწმების  
გარეშე. კიდევ უფრო რთული ვითარებაა  
გრანტებში. ქვემდებარე ორგანიზაციები სა-  
მინისტროების გვერდის ავლით იღებენ მათ.  
ამის გამო, მხარჯავი ორგანიზაციების ფაქ-  
ტიურ და საკაპო ხარჯებს შორის (ჯან-  
დაცვა, ენერგეტიკა, განათლება, ბუნების  
დაცვა), დიდი განსხვავებებია.

არასრული, ნახევრადგასაიდუმლოებუ-  
ლია ინფორმაციები საჯარო სანქციებით  
ამოღებული თანხების შესახებ, გასაიდუმ-  
ლოებულია მათი ხარჯვითი ნაწილიც.

ამ და კიდევ მრავალი სხვა დარღვევე-  
ბის შესახებ ეცნობა პარლამენტს. მმართვე-  
ლმა უმრავლესობამ ეს „ცნობად მიიღო“. დიდი  
აუიტიუატი მასზე არც ე.წ. „საპარლა-  
მენტო ოპოზიციას“ აუტეხია, არადა, ყველა  
ჩამონათვალი ბიუჯეტის დარღვევაა. ბიუჯე-  
ტი კი არის კანონი, რომლის დამრღვევი  
ნებისმიერი პირიუნება სისხლის სამართ-  
ლის პასუხისმგებლობა უნდა მიეცეს, – ასე  
მიაჩნიათ ექსპერტებს.

ზაზა ბილინიძე

# „gel enj ikis soxumi“

ძვირფასო მკითხველო! ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მთელი ჩემი შფოთიანი, თავგადასავლებითი სახეს და მოულოდნელობით აღსავსე სიცოცხლის ამ ეტაპზე კიდევ გამიკვირდებოდა რამე, მაგრამ შევეცი — რაღაც გამიკვირდა და თანაც ძალიან!

ამ რამდენიმე დღის წინ, ოთხშაბათ დღით, უცნობმა ადამიანმა დამირეკა და როცა სახლის ტელეფონზე (ნომრების ამოსაცნობი აპარატი მაქვს) +7 ციფრი დავინახე, ვიფიქრე, მოსკოვიდან ვილაც ნაცნობი მირეკავს-თქო და სინარულით ავიღე ყურმილი.

— გამარჯობა ქალბატონო ირინა, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, აფხაზეთიდან...

— გამარჯობა გენაცვალე, რომელი ხარ?

— მე ის ვარ, ვინც გელენჯიკში (ნოვოროსისკიდან 140 კმ-ში ი.გ.) სოხუმის სახელობის გამზირი შევისციდე და იქაურობა, როგორც შემძლო, ისე დავამსგავსე გაგრას და სოხუმს!

— რას მეუბნებით, მართლა? — ვერ დავფარე ალტაცება — რომელი ხართ, არ მეტყვი?

— მინდია ვარ, გულუა... იქნებ მითხრათ, თქვენი გაზეთი ბენ ლაღენს რატომ მადარებს, რა გავაკეთე მე ჩემი სამშობლოსთვის ასეთი ცული, რომ მლანდღა?

— კი მაგრამ, მე რატომ მირეკავთ, ჩემს რომელ სტატიაში ამოკითხეთ თქვენი ბენ ლაღენთან მსგავსება?

— თქვენ იმიტომ გირეკავთ, რომ პატრიოტის და მოღალატის

ვიცნობ? ძინდიას მამას, ამირანსაც კარგად ვიცნობდი და მათ სახლშიც არაერთხელ მიქეფია. მოკვდა საწყალი ამირანი, ღმერთმა აცხონოს... კი, კი, მინდამ გადმოასვენა საწყალი გენო, აცხონოს ღმერთმა, ბევრი კარგი მსმენია მაგ ბიჭზე! თურმე, რუსეთში წასულ ჩვენ ლტოლვილებს ძალიან ეხმარება და გაუმარჯოს ღმერთმა, თუ კიდევ დაგირეკავს, მომიკითხე აუცილებლად, კარგი?

მკითხველო! — ალბათ, ჩემი წერილებიდან ხვდებით, რომ მე აფხაზეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს და ხვდებით იმასაც, რომ მიუხედავად იმისა, ჩემი დამოკიდებულება არც აფხაზი ჩინოვნიკებისადმი და არც უბრალო აფხაზებისადმი, მთელი ამ წლების განმავლობაში არ შეცვლილა, რადგან მე აფხაზეთში განურჩევლად მიყვარდა აფხაზიც და ქართველიც! მუამყებოდა, რომ, ქვითის წყალობით, იმ მაწიერ სამოთხეში მოვხვდი სამუშაოდ და ყველაფერს, მათ შორის გაზონებზე აყვავებულ მიმოზებს, ოლეანდრებს, კამელიებს, მაგნოლიებს და ბალახსაც კი, ომის დროს ისე ვუფრთხილდებოდი, როგორც ჩემი ეზოს ვეჯვლებს! (სხვათა შორის, ამის გამო ბევრი დამცინოდა). ბიზნესმენ მინდია გულუას ზარის

რომ ნამდვილ სოხუმში ჩასვლას, კიდევ დიდხანს მოვანდობებოდა ქართველები, მაგრამ, თუნდაც ილუზორულად, ხომ მაინც მაგარია, „გელენჯიკის სოხუმში“ პლაჟზე რომ წამოწვები, თოლია რომ გადაგიფრენს თავზე და უნებურად გალაქტიონის „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ — რომ ამოგიტივტივდება გონებაში? არადა, როგორც მითხრეს, ეს პლაჟის ის მონაკვეთი, რომელიც მინდიას უყვია, თურმე სოხუმური პალმებითაა გარშემორტყმული და შენობა-ნაგებობებიც ზუსტად ისეთი ყოფილა აგებული, როგორც ნამდვილ სოხუმშია! მე ამ კინო-რეჟისორებს რა ვუთხარი, თორემ ამ ისტორიიდან ისეთი ფილმი გამოვიღოდა, კინო-თეატრები დიდი ხნის მანძილზე გადაჭვდილი იქნებოდა!

მოკლედ, მინდია გულუას შესახებ იმაზე მეტი ინფორმაცია მოვიპოვე, ვიდრე მეგონა და როგორც შევთანხმდით, გადავურეკე კიდევ.

— ბატონო მინდია, ხომ ხედავთ რა მალე გავიგე, ვინც ყოფილხართ? თითქმის ყველაფერი ენახე ინტერნეტში, რაც თქვენ ქართველებისთვის გაქვთ გაკეთებული რუსეთში. ახლა თუ შეიძლება, ის ისტორია მომიყვირეთ, გენო ადამიას გადმოსვენებას და მისი ცხედრის პოვნას რაც შეეხება. არ დაგიმალავთ და გეტყვი ყოველგვარი მლიქვნელობის გარეშე, რომელიც მე ნამდვილად არ მეხერხება, რომ თქვენი თანაქალაქელების ნაამბობმა ისტორიებმა თქვენს შესახებ, ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ჩემი საპასუხო ზარი, თუ გნებავთ იცოდეთ, ამ „რეკომენდაციების“ გათვალისწინებით განვახორციელებ... ვისმენთ.

— თქვენ ეს ისტორიები გაზეთში დასაწერად გჭირდებათ თუ ისე, უბრალოდ ვისაუბროთ?

— ისეც და გაზეთში დასაბეჭდავად...

— მერე, დაგიბეჭდავთ თქვენი რედაქტორი? გუშინ ბენ ლანდენი — დამიწერეთ და შემდეგ ნომერში, რას დამარქმევთ?

— მაგაზე არ იდარდოთ, ეს საუბარი ზუსტად ისე გადავა გაზეთის ფურცელზე, როგორც არის, ყოველგვარი ეპითეტების გარეშე... ამის პირობას მე ვაძლეო.

— მდია... მაშინ დავიწყოთ, აფხაზეთის ომის დროს პატარა ბიჭი ვიყავი, ომი დაიწყო, ჩემი ქალაქის დასაცავად მეც ავიღე იარაღი ხელში და გენო ადამიასთან ერთად, როგორც შემქმნელი, ისე ვიბრძოდი. მის დაცვაში ვიყავი. მერე, იცით თქვენ როგორც მოხდა ყველაფერი, ვერ გავრა დავკარგეთ, რამდენიმე თვეში კი ჩემი საყვარელი სოხუმიც... გენო ადამია მარტო აფხაზებს არ დაუხვრეტიათ, რომ იცოდეთ. სოხუმის დაღვრის შემდეგ სოხუმში ვცხოვრობდი 4 წელი, მაგრამ ვერ არის ას-



„მე საქართველოს ჯარის გენერალის შესანდობარს კი არ ვსვამ, არამედ ყველა ვაჟკაცის გენერლის ხსონას მივაგებ პატივსო! ამ ჭიქის დაცლის შემდეგ მოხსნა დიდი ოქროს „ცეპი“ და მე გადმომცა! წამოვიფანეთ ჩვენი მიცვალებული „სოხაში“ და იქიდან თვითმფრინავით თბილისში გადმოვიფრინდით. ის „ცეპი“ მე, გენო ადამიას ოჯახს გადავეცი! დანაჩენი კი უკვე თქვენც იცით... აი, ასე იყო ყველაფერი, ქალბატონო ირინა! მაშინ 24 წლის ბიჭი ვიყავი მხოლოდ...

— გენო ადამიას ცხედარი, მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს იყო მიწაში, როგორც მასხოსს, თითქმის ახლადგარდაცვლილისას ჰგავდა... ეჰ, რა კარგი ადამიანი იყო, საწყალი?

— მასე იმიტომ იყო, რომ ზღვის ნაპირზე, სილაში იყო დამარხული...

— მინდია, ისეთი საინტერესო ამბები მითხარი, ძალიან მინდა ხელმეორედ გავიცნო. ისიც მინდა „გელენჯიკის სოხუმში“ დამბატიყო და ისიც მინდა, ის ადგილები მანახო, სადაც „პატარა საქართველოები“ გაქვს გაკეთებული. აბა, რას იტყვი?

— დიდი სიამოვნებით, რა პრობლემა? როდის ჩამოხვალთ?

— როცა მივიცილი, მე თვითონ გაგავებინებთ, ოღონდ არ ვიცი, ზუსტად როდის იქნება ეგ...

— ჩამოდი, თქვენ აუცილებლად განცვიფრდებით ისეთი სიურპრიზები დაგხვდებათ აქ, მე არც კი გამოგყვებით ნოვგოროდში, კრასნოდარში და რუსეთის სხვა ბევრ ქალაქში, იქ ჩვენი ლტოლვილები თვითონ მოგიყვებიან ყველაფერს და დასკვნებიც შემდეგ გააკეთებ, როგორი ბენ ლანდენი ვარ მე საქართველოსთვის! არ დაგიმალავთ, ძალიან მეწყინა ასეთი შედარება. ბენ ლანდენი აფთქებდა, კლავდა, მე კი — ვაშენებ და იმ ხალხს ვესმარებ, ვინც ახალ სიცოცხლეს შობს!

ძვირფასო მკითხველო! აი, ამ ისტორიებმა გამაკვირვეს ძალიან და დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ თქვენც ჩემსავით თვალზე ცრემლი მოგადგათ „გელენჯიკის სოხუმში“ და გიბრძინებთ, სოხუმელი გენო ადამიას პირადი დაცვის 24 წლის ბიჭის ამ მონათხრობზე და მის ცხედართან ვაჟკაცი აფხაზის მიერ წარმოთქმული სიტყვები, როცა წაიკითხეთ! უდავოა ისიც, რომ ბიზნესმენი მინდია გულუა რომანტიკოსი მილიონერია, ამავე დროს პასუხისმგებლობის დიდი გრძობითაა დაჯილდოებული და ზღვა ინფორმაციას ფლობს როგორც აფხაზეთის, ისე სხვა მიმართულე ბითაც და მე მას აუცილებლად უნდა შევხვედ! ირინა გოგოსავილი



გარჩევა არასოდეს გეშლებოდათ. თქვენ არც ის გაგიჭირდებოდათ, მოიძიოთ ინფორმაცია, ვინ იყო რუსეთში სოხუმის სახელობის გამზირი და არც ის გაგიჭირდებოდათ გაიგოთ, ვინ გამოისყიდა სოხუმისთვის თავგანწირული გენერლის გენო ადამიას ცხედარი აფხაზებისგან! აი, ამ ინფორმაციას რომ მოიპოვებთ, მერე თქვენ დამირეკეთ და კიდევ ბევრ რამეს მოგიყვებით, ნახვამდის...

პირველად სოხუმელ ჟურნალისტს, ჩემს მეგობარ თენგიზ პაჭკორიას დავურეკე და წვრილად მოუყვიე ჩემს ტელეფონზე განხორციელებული ზარის შინაარსის შესახებ. პაჭკორიამ მითხრა: „ირა, ჩემი სახლი ხომ გახსოვს სოხუმში, სადგურთან? აი, იქ ცხოვრობდა ეგ კაციც და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდაა, ძალიან ბევრი ქართული საქმე აქვს უკვე გაკეთებული. ყველა ვარიანტში იცნობ, იმიტომ, რომ გენო ადამიას დაცვაში იყო ომის დროს და შემდეგ, როცა გენო მოკლეს აფხაზებმა, მაგან გადმოასვენა თბილისშიო.“

თენგიზ პაჭკორიასთან საუბრის შემდეგ პოეტ გენო კალანდისას დავურეკე: „ოოო, რას ჰქვია

შემდეგ მის მიერ შავი ზღვის კურორტ გელენჯიკში, სოხუმის სახელობის გამზირის შესყიდვამ უფრო მომანატრა აფხაზეთი, რომელიც „საკაკას“ თქმით, თურმე, საქართველოსი არასოდეს ყოფილა...“

წარმომიდგენია „გელენჯიკის სოხუმი“ რა ლამაზი სანახაო იქნება, მაგრამ ის მაინც ვერ იქნება ისეთი სოხუმი, როგორც მე, თენგიზ პაჭკორიას, მინდია გულუას, გენო და რენე კალანდიებს და სხვა უამრავ სოხუმელს თუ იქ ჩასულეებს გვახსოვს... მე, ქიზიყელ ქალს ამიწყდა გული და ცხადად წარმომიდგენია, ბიზნესმენი მინდია გულუა რა შეგვრძნებებით ყიდულობდა მშობლიური ქალაქის სახელობის ქუჩას რუსეთში და დარწმუნებული ვარ, რა ფასადაც არ უნდა შეეთავაზებინათ მისთვის ამ ქუჩის თითოეული მეტრი, ათჯერ უფრო მეტს გადაიხდიდა, ოღონდაც მისი საკუთრება გამხდარიყო!

მე უდიდეს პატივს ვცემ ასეთ ადამიანებს და მიხარია, რომ ასეთი პატრიოტი კაცი, თურმე მეც მიცნობს! ჩემი აზრით, ქართველი კაცის მიერ რუსეთში, შავი ზღვის სანაპიროზე ნაყიდი პატარა სოხუმი, ერთგვარად იმის ნიშანიცაა,



მიწის რეფორმამ რეგიონში ექსცესების გარეშე ჩაიარა. გლეხმა თითქოს სული მოიტყა. მაგრამ, როგორც ამბობენ, „ემშაკს არ სძინავს“. ხელისუფლების მხრიდან დარტყმა გლეხმა მაშინ მიიღო, როცა არ ელოდა: რეფორმის დასრულებიდან სამიოდე წლის შემდეგ აჭარის ზღვისპირეთის მაცხოვრებლებს განუცხადეს, რომ მათ მფლობელობაში არსებული მიწების რეფორმა არაკანონიერად ჩატარდა და იმავე კომისიამ, ოღონდ უკვე სხვა შემადგენლობით, გონივრულ მაცხოვრებლებს ჩამოართვეს მიწები. არც ერთმა ინსტანციამ, სადაც კი ჩიოდნენ კვლავ უმიწოდ დარჩენილები, მათი საჩივრები, ფაქტობრივად, ყურადღების გარეშე დატოვა...

დღეს უკვე ნათელი ხდება თუ რას ემსახურებოდა ხელისუფლების ასეთი ქმედება. ხელვაჩაურის რაიონის საკრებულოს წევრის ანთონი ბერიძის განცხადებით:

იტანეს იგი 1 ლარად გასაყიდ კატეგორიაში... სხვათა შორის, ოფიციალურ დოკუმენტებში წერია, რომ ეს არის შეიხის მიწა. თუმცა ამას ყველანაირად მაღავენ, მაგრამ ეს დოკუმენტი არსებობს.

— ბატონო ავთო, თუ შეიძლება გვითხარით, საიდან წამოვიდა სახელმწიფო ქონების ერთ ლარად გასხვისების იდეა?

— საქართველოს ხელისუფლებაში მხოლოდ ორ ადამიანს აქვს უფლება მიწა გაასხვისოს სიმბოლურ ფასად, ანუ ერთ ლარად. ესენია: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე. ამას, რა თქმა უნდა ფიგურალოდ ვამბობ, თუმცა, ამას აკეთებს საქართველოს მთავრობა და აჭარის მთავრობა ეკონომიკის სამინისტროს სახით. ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს პროექტს, რომელსაც შემდეგ ხელს აწერს ლევან ვარშალომიძე. ეს არის მიწის შეფარული გაყიდვა. არავის არ სჯერა იმი-

— სხვათა შორის თავისუფლების მოედნიერ ერთ ლარად გაყიდული... საერთოდ, თავისუფლების მოედნიერად გაყიდვა მკრეხელობაა. რადგან ბათუმის საკრებულო არ არის ხალხის მიერ არჩეული და გაყიდვითაა მოსული, მათ ვალდებულებაც არა აქვთ ამომრჩევლის წინაშე. ერთი შეხედვით, აქ თითქოს ყველაფერი კანონიერ ჩარჩოშია მოქცეული. პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ბათუმის საკრებულომ მიუხედავად დეპუტატთა ნაწილის წინააღმდეგობისა, სტატუსი მოუხსნა თავისუფლების მოედანს, მერე აიღეს და ამ ადგილს დაარქვეს გმირთა სკვერი. მათვის სამწუხარო ის არის, რომ არც მოედნის და არც სკვერის გასხვისება არ შეიძლება. კანონი ამას პირდაპირ კრძალავს. დღეს ამ მიწას ჰქვია არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. სხვა სახელი ამას არა აქვს. ამაზე მეტი ამორალური რა უნდა იყოს, მოედანს წაართვა სტატუსი, გააუქმო სკვერი, სადაც დასფლავებუნი

# iyi deba... baTumi!

— მოტივი, რითაც სარგებლობდა ხელისუფლება მიწების ხელახლა დაბრუნებისას, იყო ის, რომ თითქოსდა ეს მიწები ესაზღვრებოდა ისტორიულ ძეგლს, რომელსაც კანონი იცავდა. რა თქმა უნდა, ეს მიზეზი თითქმის გამოწვევითაა.

მიზეზი ხელისუფლების ასეთი ქმედებისა, — ძეგლზე ზრუნვა არაა. უნდა მოგახსენოთ, რომ ასლან აბაშიძის პერიოდში, როდესაც რუსული ჯარი გავიდა აჭარიდან, გონივრული საკმაოდ დიდი მინდორი გამოთავისუფლდა. აჭარის მამინდელმა მმართველმა არ მოახდინა ამ მიწების გასხვისება და დატოვა სახელმწიფო რეზერვში, რათა აქ განვითარებულიყო საპლაჟო ინფრასტრუქტურა... ეს შეიძლება მას პლიუსად ჩაეთვალოს. ახლანდელმა ხელისუფლებამ კი სწორედ იმიტომ, რომ ეს მიწები ზღვას ემთხვევა, არის ძალიან ნაყოფიერი და ამასთან ძალიან ძვირადღირებულია, ჩამოართვა მოსახლეობას. ეს ხალხი დარჩა ლუკმა-პურის გარეშე, რადგან ეს ადამიანები ცხოვრობდნენ სუთსართულიან და ცხრასართულიან კორპუსებში, სხვათა შორის სრულიად გაუმართავ და ინფრასტრუქტურულად მოუწყობელში. მათ არა აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები, არა აქვთ სამუშაო, რადგან გონივრული მუშაობა უკვე კარგა ხანია რაც გაუქმებულია. ისინი თავს ირჩენდნენ სწორედ ამ მიწაზე მოწეული მოსავლით. ზოგიერთ მათგანს ამ მიწებზე უკვე დაწყებული ჰქონდა სახლის მშენებლობა, უკვე შეთანხმებული პროექტით. მიწა მათ უკვე ჩამოართვეს და შესაბამისად შენობებიც. მე ვფიქრობ, რომ დღეს ამ სიტუაციიდან გამოსავალი არ არის. 2007 წლიდან მოყოლებული, ხელვაჩაურის საკრებულოს ყველა სხდომაზე ვაყენებ მიწების მიცემისა და შემდგომ მათი წართვის საკითხს... გონივრული შექმნილი სიტუაცია არის ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც განმარტავს იმიტომ, რომ ერთ სოფელში 270 ოჯახს ერთდროულად წაართვეს მიწები. ასეთი ოჯახები ხელვაჩაურის რაიონში ათასობით თუ არა, ასეულობითა... დღეს უკვე გასაკვება, თუ რატომ მოხდა მიწების ჩამორთმევა, იმიტომ რომ რამდენიმე სოფელი ბათუმს მიუერთდა. წარმოუდგენელია, რომ ამხელა მიწებს ფლობდნენ კერძო პირები ქალაქის ტერიტორიაზე... იქ ზომ ამ ადამიანების დაუკითხავად ვერაფერს გააკეთებდნენ! და იმიტომ, გადა-

სი, რომ ყველაზე ნაყოფიერი და თან ძვირადღირებული მიწა ერთ ლარად გაყიდეს. და თუ ამას აკეთებს მთავრობა, მაშინ ის უგუნური ყოფილა. ხალხში ხმები დადის, რომ ერთი ლარი მხოლოდ ქალაქში იწერება, ხოლო თანხა ექვსნულიანი ნიშნულით მაგანთა ჯიბეებში მიდის. ამ საკითხზე ტარდება ჟურნალისტური გამოძიებები, მაგრამ ამ დაინტერესებულნი უნდა იყოს თავად ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანოები, პროკურატურა... ამ თემაზე ჩვენ გვაქვს გაკეთებული მიმართულები საქართ-

არაინ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირები, შემდეგ ეს მიწის ნაკვეთი გაყიდო ერთ ლარად. ახლა იქ აშენებენ 45-სართულიან სასტუმროს. მემორიალი, ფაქტობრივად ყველა მხრიდან ჩაიხურება...

შეიძლება მიწების გასხვისებას ერთ ლარად ადამიანმა ყურადღება არ მიაქციოს, მაგრამ ძალიან ძნელია ყურადღების გარეშე დატოვო ის ფაქტი, რომ ერთ ლარად ისტორიულ ძეგლებსაც ყიდვან. ასე დაემართა პეტრას ციხესაც. რომელსაც ჯერ მუზეუმ-ნაკრძალის სტატუსი მოუხსნეს, ხოლო ახლა, ახლადშექმნილ კომპანიას 49 წლით გადასცეს სამართავად.

**პეტრას ციხის მუზეუმ-ნაკრძალის ყოფილი დირექტორის, ბათუმის საკრებულოს წევრის, ირაპლი ჩავლიძის განცხადებით:** საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით პეტრას ციხეს მოუხსნეს სტატუსი, მოგვიანებით კი ახლადშექმნილ „ჯორჯიან ინვესტ კომპანიას“ ერთ ლარად გადასცეს მმართველობაში. რომელიც ნახევარი მლნ. დოლარის ჩადებას აპირებდა ამ ტერიტორიაზე, მაგრამ ძეგლისათვის ეს თანხა ძალიან ცოტაა. პეტრას ციხის ტერიტორიაზე VI საუკუნის



ველოსა და აჭარის პროკურატურაში, მაგრამ, რადგანაც ისინი ამ ხელისუფლების შემადგენელი ნაწილებია, მოთხოვნებს რეაგირება არ მოჰყოლია.

— რამდენად ჩემთვის ცნობილია, გასხვისების პროცესი არა მარტო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ეხება, არამედ პლაჟის ზონასაც. რამდენიმე წლის წინ ქართველ ბიზნესმენებს დართეს ნება, რომ პლაჟებზე დაეგიათ მსუბუქი კონსტრუქციის კაფე-ბარები. მათი რემონტიც იაფი ჯდება. 2009 წელს კი ეს ხალხი აყარეს ამ ადგილებიდან. ისინი ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა ჩაანაცვლეს, რომლებმაც კაპიტალური ნაგებობები ააგეს ბულვარის ცენტრალური შესასვლელის წინ...

— ეს არის ხელისუფლება, რომელსაც სრულიად არ ენადლევა, თუ რა იქნება ათი წლის შემდეგ ბათუმში.

— თავისუფლების მოედანზე მიმდინარე მშენებლობაზე რას გეუბრები? ამა წლის 4 მარტს იქ დიდი წირვა გაიმართა... ამის მიუხედავად, დღეს მემორიალიდან მცირე დაშორებით ტერიტორია შემოღობეს და მიმდინარეობს ბურღვითი სამუშაოები...

სამხავიანი ბაზილიკისა და შუა საუკუნეების ერთნაირი ბაზილიკის ნაშთები შეიმინახულია, რაც კანონმდებლობით საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენს. ალბათ, ამის გამო არის, რომ იქ დღეისათვის არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს. ძეგლი კი თანდათან ინგრევა. ტერიტორიის დაუცველობამ განაპირობა ის, რომ იქ დაგროვდა ნაგავი. იძულებული ვაგხდით, რომ თხოვნით მიგვემართა აჭარის კულტურის მინისტრისათვის რომ ტერიტორიაზე დაეცა მინც დაეყენებინა. აჭარის ხელისუფლებასა და კომპანიას შორის ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა... მომავალში რა მოხდება, ეს ჯერ გაურკვეველია.

ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოცემულ პრობლემაზე კომენტარის მიღება, მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, წარუმატებლად დამთავრდა. თუმცა სავარაუდოდ, ქონების ასე „ბესპრაგოდ“ განიავებაზე ერთი პასუხი ექნებოდა. ეს ყველაფერი სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ხდება.

**ზაზა პატარავა**  
სპეციალურად „საერთო გაზეთისთვის“, ბათუმი

## namaxvanhesi aSeneba quTais safrTxes Seuqm is

საქართველოს მთავრობამ ჰესების მშენებლობას აქტიურად მოკიდა ხელი-პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას აღნიშნა, რომ 2015 წლისათვის ქვეყანას 15 ახალი ჰიდროელექტროსადგური უნდა ჰქონდეს. თუ იმას გაითვალისწინებთ, როგორ დაჩქარებული ტემპებით გაშენებთ ყველაფერს, რომლის დროსაც ხარისხი ხშირად მეორე ადგილზე რჩება, ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა შედეგებს უნდა ველოდით ამ ახირებისაგან. ასაშენებელი გიგანტური ჰესების სიაში შედის ნამახვანჰესი, რომლის აშენება 2011წლიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პროექტში ჩასმულმა თურქულმა და კორეულმა ფირმებმა მშენებლობის დაწყებაზე უარი თქვეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არასრულყოფილი პროექტი გახდა. იმერელი გარემოსდაცველის, თემურ კეპულაძის განმარტებით, ეს პროექტი ძველი კომუნისტების დროინდელი პროექტის გადამოღობვით გაირიანტი არის და მასში თითქმის არაფერია შეცვლილი. ნამახვანი 3 კასკადის აშენებას ითვალისწინებს: ტვიშის ჰიდროელექტრო სადგური-100 მეგავატის სიმძლავრის, თვითონ ნამახვანის 250 მეგავატის და ჟონეთი, 100 მეგავატის სიმძლავრის. ეს პროექტი ორ რეგიონს მოიცავს — იმერეთს და რაჭა-ლეჩხუმს-ქვემო სვანეთს.



ამ პროექტზე ფიქრი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, 60-80 იან წლებში კვლავ ალპარაკლენ ნამახვანჰესის აშენებაზე, პროექტიც მოამზადეს, მაგრამ კომუნისტებმა ვერ გაბედეს ამ მეტად სარისკო ჩანაფიქრის განხორციელება. თემურ კეპულაძის განცხადებით, კაშხლის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში, ქუთაისს მოაწვდება 2900 კუბური მეტრი წყალი წამში, დაიტბორება ქუთაისი და იმერეთის დაბლობი. სპეციალისტების განმარტებით, კაშხლის რღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს მიწისძვრა, წყალდიდობა, ხშირი წვიმები. პროექტში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, ასეთ შემთხვევაში როგორ მოხდება მოსახლეობის დაცვა. მას შემდეგ, რაც უცხოურმა ფირმებმა მშენებლობის დაწყებაზე უარი თქვეს, ენერგეტიკის სამინისტრომ ახალი ტენდერი გამოაცხადა

— გასაკვირი არ იქნება, რომ ახალი ინვესტორი მალევე გამოჩნდეს, რადგანაც პირობები საკმაოდ მიმზიდველია. 2008 წელს ხელისუფლების მიერ შემუშავებული „გრინფილდ“ პროექტი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობას სიმბოლური ინვესტიციით ითვალისწინებს, რაც ასე ჟღერს: აშენე, მართე, მიიღე მფლობელობაში. იმედია, ინვესტორები სანამ ჰესის აშენებას შეუდგებიან, გარემოსდაცველების შეგონებას გაითვალისწინებენ. თემურ კეპულაძის თქმით, ამ ჰესის აშენება ძალიან სარისკოა, თუ ყველაფერი ზუსტად არ იქნა გათვლილი და გათვალისწინებული, ასევე თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ის გარემოზე, შესაძლებელია კატასტროფული შედეგები მივიღოთ. ასეც რომ არ მოხდეს, ამ ჰესის აშენების შემთხვევაში წყლის ქვეშ ექცევა რამდენიმე სოფელი, სავარაუდოდ, საძირები, სალოცავები და წმინდა ადგილები. მართალია, ამ სოფლების მოსახლეობას ძალიან უჭირს, არც სამუშაო აქვთ და ჰესის აშენებისა და გადასახლების მოლოდინში მათ სახლ-კარს დღითი დღე სიძველე უღებს ბოლოს, მაგრამ მინც თავიანთ მიწაზე არიან და თავს მყარად გრძობენ, ამის სანაცვლოდ მიღებული კომპენსაციით კი არაფერი იცის, რა ელოდებიან.

**ირინა მაპარიძე**  
სპეციალურად „საერთო გაზეთისთვის“, ქუთაისი

# სამკურნალო საშუალებათა მიღების წესები

**წამლებს განსხვავებული ფორმა, მიღების წესები და ორგანიზმში შეყვანის გზები იმდენად არ აქვს, რომ ფარმაცოლოგებმა ასე მოიწადინეს, იმდენად, რომ მათთვის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ, მაქსიმალური ძალისა და სამკურნალო ეფექტის გამოვლენის საშუალება მიეცათ.**

## ორგანიზმში შეყვანის გზები

**პერორალური** – პრეპარატთა მიღების ყველაზე ნაცნობი და საკმაოდ გავრცელებული წესია. ასე წამალი ჯერ კუჭში, შემდეგ წვრილ ნაწლავებში ხვდება, იქიდან შეიწოვება სისხლში, შემდეგ ხვდება ღვიძლში და ჩვეულებრივ, აქტიურად იშლება მარტივ მარაგებად.

როცა პრეპარატს ჭამის დროს იღებთ, ის კუჭში იშლება საკვებთან ერთად და რამდენადმე კარგავს თავის თვისებებს, ამიტომ აბების მიღება ჯობს ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ან ჭამიდან ორი საათის შემდეგ.

არსებობს ისეთი წამლის ჯგუფები, რომლებიც იმდენად სწრაფად ხვდება ღვიძლში და იშლება, რომ სამკურნალო ეფექტის გამოვლენას ვერც კი ასწრებს. სწორედ ასეთების მისაღებად არსებობს **რექტალური** მეთოდი – ორგანიზმში წამლის სწორი ნაწლავის გზით შეყვანა. სწორი ნაწლავიდან სისხლის შესაძლებელი ღვიძლის გვერდის ავლით გაედინება, ამიტომ რექტალურად შეყვანილი წამლის

ეფექტიც გაცილებით იზრდება. სწრაფი ეფექტი ახასიათებს ორგანიზმში ოცნით წამლის წყალხსნარის შეყვანას, ეს მეთოდი შეუცვლელი უგონოდ მყოფ და ისეთ პაციენტებში, რომელთა კუჭიც აღარ ფუნქციონირებს.

როცა სურთ თავიდან აიცილონ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში წამლის მოხვედრა, მათ ენის ქვეშ ათავსებენ, ინექციებით კანქვეშ, კუნთში ან არტერიულად შეჰყავთ. შესაძლებ



ელია წამლების მიღება სასუნთქი გზების (ინჰალაციები) და კანის (მაღამოები, კრემები, პასტები) მეშვეობითაც.

აქტიურად მუშავდება წამალთა ორგანიზმში გადაადგილების – ტრანსპორტირების ტექნოლოგიები, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონკოლოგიაში, სადაც აუთვი-

სებიან წარმონაქმნებთან საბრძოლველად გადამწყვეტი მნიშვნელობა წამლის სასურველ ადგილამდე, სასურველი კონცენტრაციით დროულ მიტანას ენიჭება.

## პრეპარატთა მიღების წესები

**აბები**  
აბებს სხვებისგან ის განსხვავებს, რომ ფხენილის ან გრანულეების დაწნეხვით მიიღება.

**კრიმები, ბულები**  
**როგორ გამოიყურება** – მალამოები, შედარებით თხელი კონსისტენციის.  
**როგორ მივიღოთ** – უნდა წავისვათ კანსა და ლორწოვან გარსებზე, მინიმალურად თხელ ფენად, სქლად წასმისას წამალი უაზროდ იკარგება.  
**საშრობი**  
**როგორ გამოიყურება** – მყარი ფორმის წამლები, ბურთის ან ჩხირისმაგვარი სახით.  
**როგორ მივიღოთ** – საჭიროა სხეულის შიგნით, საშრობი ან სწორი ნაწლავში მოთავსება. მყარი ფორმისა და სხეულის ტემპერატურაზე თავად ღებება.  
**სუსპენზია**  
**როგორ გამოიყურება** – მყარი სამკურნალო ნაწილაკების შემცველი თხევადი წამლებია.  
**როგორ მივიღოთ** – სუსპენზიის შემცველი სამკურნალო ამპულები გამიზნულია კანზე წასასმელად ან თბაში შესაზელად, ორგანიზმის შიგნით – ინექციების გზით ხვდება.  
**ბრიკეტები**  
**როგორ გამოიყურება** – სამკურნალო გამიზნული დაწნეხილი მცენარეულობა.  
**როგორ მივიღოთ** – სასტიკად აკრძალულია მათი ჩაყვანა. ბრიკეტები გამიზნულია მხოლოდ და მხოლოდ ნაყენებისა და ნახარშების მოსამზადებლად.

**როგორ მივიღოთ** – დანიშნულების მიხედვით უნდა დალიოთ ან ენის ქვეშ დაილიოთ, ნებისმიერი აბი უნდა დალიოთ მჯდომარე, შესაძლებელია მათი დანაწევრებაც, რა თქმა უნდა, თუ აბები მუშაობს არაა ან ვაგინალური გამოყენებისთვის არ არის გათვალისწინებული.

**ჯანსაღი ცხოვრების წესი – ჯანმრთელობის განმარტოვებელი ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, ის რამდენიმე ელემენტს მოიცავს: შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმი, სწორი კვება, მოძრაობითი აქტივობა, პირადი ჰიგიენა, სხეულის გაკაფება, მავნე ჩვევებზე უარის თქმა, ახლობლების სიყვარული, ცხოვრების პოზიტიური აღქმა.**

## ჯანმრთელობა რომ იყოთ

ცხოვრებისეული გამოცდილება ყოველთვის იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები ჯანმრთელობაზე მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ ზრუნვას, როცა მასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები უჩნდებათ.

გთავაზობთ ექიმების, დიეტოლოგებისა და ფსიქოლოგების საერთაშორისო ჯგუფის 10 ძირითად რეკომენდაციას, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესის საფუძველს ქმნის და საშუალებას იძლევა, დაავადება ჩანასახში მოსპოთ და არა მარტომ, როცა სერიოზული ზიანის მომტანი გახდება.

**რჩევა 1.** შეავსეთ კროსვორდები, დაეუფლეთ უცხო ენებს, გამოთვლები გონებაში ატარეთ და უარი თქვით ყოველ წუთს კალკულატორის გამოყენებაზე. ეს ტვინის შესანიშნავი ვარჯიშია, რომელიც ანელებს გონებრივ შესაძლებლობათა ასაკობრივ დეგრადაციას, აქტიურებს სისხლის მიმოქცევის სისტემის მუშაობას და ზრდის ნივთიერებათა ცვლის ტემპებს;

**რჩევა 2.** სამსახური ჯანსაღი ცხოვრების წესის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ელემენტია.

ეცადეთ, თქვენთვის ყველაზე მეტად შესაფერისი სამსახური იპოვოთ, რომელიც მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად სინარულსაც მოგიტანთ. ასეთი სამსახური აჩერებს ბიოლოგიური დაბერების პროცესს და ახალგაზრდობასაც დიდი ხნით ახანგრძლივებს;

**რჩევა 3.** უარი თქვით ნაყროვანებაზე – ჩვეული 2500 კალორიის ნაცვლად დღეში 1500 იკმარეთ. ამით უჯვრედების აქტიურობასა და სწრაფ თვითგანახლებას შეუწყობთ ხელს. მეორე უკიდურესობასაც ერთდეთ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არასრულფასოვანი კვება ასევე მავნებელია.

**რჩევა 4.** მენიუ ასაკის შესაფერის უნდა იყოს. საქონლის ღვიძლი და კაკალი 30 წლის ქალბატონებს პირველი ნაოჭების

**რჩევა 5.** ეცადეთ, ყოველთვის გაგანდეთ საკუთარი აზრი, ცხოვრების ბოლომდე გაცნობიერება ადამიანს დათრგუნვასა და დეპრესიაში ხშირად ჩავარდნიდან იცავს;



# ჯანსაღი ცხოვრების თვისების წესები აქვს

გაჩენას აარიდებს. რძის ნაწარმი, დიდი რაოდენობით სელენის შემცველობის გამო, 40 წელს გადაცილებულ მამაკაცებს მოუხდებათ, გარდა ამისა, ორივე სქესის წარმომადგენლებს სტრესის მაგნი შედეგთა სწრაფ ლიკვიდაციაში დაეხმარება. 50 წლის შემდეგ აუცილებელია მაგნიუმითა და კალციუმით მდიდარი საკვები, ასევე თევზი, რომელიც გულ-სისხლძარღვთა საიმედო დამცველია;

**რჩევა 6.** ახალგაზრდობის შენარჩუნებაში სიყვარული და სინაზე დაგეხმარებათ, იპოვეთ ცხოვრების მეგობარი. იმპურ სისტემას ისე არაფერი აძლიერებს, როგორც ბედნიერების პირობები – ენდოფინი, იგი შეყვარებული ადამიანის სისხლში ყოველთვის ბევრია;

**რჩევა 7.** ძილი გრილი (17-18 გრადუსი) ოთახში ამჯობინეთ, ესეც ახალგაზრდობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ; გარემოს

ტემპერატურა ხომ პირდაპირ განსაზღვრავს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისა და ასაკობრივი ცვლილებების განვითარების ტემპებს;

**რჩევა 8.** მეტი იმოძრავეთ. უკვე დასაბუთებულია, რომ დღეში 8-10-წუთიანი ვარჯიში საგრძობად ახანგრძლივებს სიცოცხლეს;

**რჩევა 9.** პერიოდულად მოლუნდით და მცირე ხნით ის აკეთეთ, რის უფლებასაც, თავს, ჩვეულებრივ, არ აძლევთ;

**რჩევა 10.** ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში, სხვადასხვა სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეებით ყველაზე მეტად ისინი ავალობენ,

**კაფსულები**  
**როგორ გამოიყურება** – მკვრივი ფელესები გარსის წამალი, რომლის შიგნითაც აქტიური ნივთიერებაა.

**როგორ მივიღოთ** – საჭიროა ისინი ფეხზე დამდგარმა ჩაყლაპოთ, რადგან მწოლიარე მდგომარეობისას ჩაყლაპული კაფსულა შესაძლოა საყლაპავს მიეკრას და ანთება გამოიწვიოს. აკრძალულია გარსის მოცილება და მთლიანობის დარღვევა, მათი მოქმედი ნივთიერება სისხლში თანდათანობით უნდა მოხვედეს, კაფსულების გახსნის კვალდაკვალ; ამასთან, შიგთავსი გარსის გარეშე სრულადაც რომ ჩაყლაპოთ, კუჭამდე დაიშლება გზაში.

## გრანულები

**როგორ გამოიყურება** – შუშუნა, დამკავი გარსით დაფარული ან დაუფარავი მყარი მარცვლებია.

**როგორ მივიღოთ** – ოღონდ ნუ ჩაყლაპავთ! ისინი ორალური სითხეების მოსამზადებლად გაიზნულია.

## გამთვალისწინეთ!

სამკურნალო საშუალებები სიროფის ფორმით – ზედმეტი შაქარი, საღებავი და არომატინზატორებია; ამიტომ, თუ არსებობს ანალოგიური პრეპარატი აბებში, გირჩევთ, უპირატესობა მას მიანიჭოთ.

რომლებიც საკუთარ ტკივილს, მწუხარებას, ფიქრებსა და დარღებს არავის უშხელენ.

## კარგი განწყობა ჯანმრთელობის ბარანტიანა

ჯანსაღი ცხოვრების ერთგვარი ინდიკატორი კარგი განწყობაა, რომელიც ადამიანის ემოციურ, მენტალურ, ინტელექტუალურ, ფიზიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებს მოიცავს.

**ემოციური და მენტალური განწყობა** ადამიანს ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავების საშუალებას აძლევს, ადამიანი ოპტიმისტია, კონსტრუქციული და საკუთარი ემოციებისადმი პოზიტიურად განწყობილი ხდება.

**ინტელექტუალური განწყობა** ახალი ინფორმაციის მიღებისა და მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც ზრდის ცხოვრების ხარისხსა და ახალ გარემოებებში ადვილად მოქმედების უნარს.

**ფიზიკური განწყობა** ადამიანის ყოველდღიური სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისად მოქმედების უნარია, რომელიც კარგი ფიზიკური მომზადებისა და სასარგებლო მოძრაობითი თვისებების დამსახურებაა.


**სოციალური განწყობა** სხვა ადამიანებთან წარმატებული ურთიერთობების განვითარებისა და ჩამოყალიბების უნარს განსაზღვრავს.

**სულიერი განწყობა** მისი მემკვიდრით ყალიბდება ფაქტობრივად სისტემები. ადამიანი სახავს მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მიზნებს და მათკენ მიისწრაფის.

**გვერდი მოამზადე ჯვინად ღონდაკი**

# მსოფლიო პრესის მიხედვით

## opoziciis popul arobas saakaSvil i social uri reformebi T upasuxeba



ოპოზიციური პარტიის „ქართული ოცნების“ ლიდერს, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს, რაც პრეზიდენტ სააკაშვილის მემარჯვენე-ლიბერალურ მკაცრ და ხისტ რეჟიმს აიძულებს, შემხვედრი ნაბიჯები გადადგას.

ხელისუფლების დაპირებით, სექტემბრიდან პენსია 100 დოლარი იქნება, პენსიონერები და ექვს წლამდე ასაკის ბავშვები დაზღვევით, სტუდენტები კი შედარებით მაგზავრობით ისარგებლებენ. თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილი დაზღვევას ჰპირდება ყველას, პენსიის 130 დოლარამდე გაზრდას, ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში...

ექსპერტების შეფასებით, მთავარი ციფრები როდია – საზოგადოება დაღალა ხელისუფლებამ, რომელიც უკვე ათი წელია არ იცვლება. ამასთან, NDI-ის კვლევებით, ქართველების უმრავლესობა უკმაყოფილოა რუსულ-ქართული ურთიერთობით და ამაში ხელისუფლებას ადანაშაულებს.

შეგახსენებთ, რომ კვირას თბილისში გაიმართა ოპოზიციის მრავალათასიანი მიტინგი, რომლის ინიციატორიც ბიძინა ივანიშვილი იყო. მან დაპირება მისცა ხალხს, რომ გაიმარჯვებს შემოდგომაზე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში და სოციალურ თანასწორობას დაამყარებს.

მისი თქმით, ხელისუფლება მოსახლეობის მიმე სოციალურ მდგომარეობას „გარდამავალი პერიოდის“ გაჭიანურებას უკავშირებს, სინამდვილეში კი ქვეყანა

კატასტროფამდე მიყვანილი. ივანიშვილის განცხადებით, თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფასო სამედიცინო დაზღვევა, ნორმალური პენსია, განათლების მიღების შესაძლებლობა და სამართლიანი მართლმსაჯულება.

მიმთინვეთა განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰპოვა მისმა მიმართვამ სხვა ბიზნესმენების მიმართ: „ვერანარი პირადი მატერიალური კეთილდღეობა ვერ მოგანიჭებს ბედნიერებას, როდესაც შენი ხალხი უბედურია“, – ივანიშვილის ამ ნათქვამს მოედანზე შეკრებილთა ოცნება მოჰყვა.

სოციალური უთანასწორობა, სიღარიბე, უმუშევრობა – ძირითადად ეს პრობლემები აწუხებს საზოგადოებას. ივანიშვილი სწორედ ამ პრობლემებზე ლაპარაკობს და ამიტომაც გაუჩნდა ხალხს მისი მდობა.

ექსპერტები ხელისუფლებას მთავარ შეცდომად უთვლიან ჩვეულებრივი ხალხისგან „განდგომას“, მკაცრ და ხისტ რეჟიმებს, რომელთა მისაღებად საზოგადოება მზად არ იყო.

rosbalt.ru

ივანიშვილის მომხრეებმა თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ქუჩები პირთამდე აავსეს. ამდენ ხალხს ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებიც კი არ მოელოდნენ. თბილისში ბევრჯერ გამართულ სახალხო მანიფესტაციებში, მაგრამ ასეთი აქტივობა უპეცედენტოა.

„აქ იმით მოვედი, რომ მხარი დაეუჭირო მომავალ მთავრობას. ახლანდელმა, შეი-

ფილა რადიკალური განცხადებები – რომ ბოლო მოეღოს ახლანდელ რეჟიმს; მონაწილეები მშვიდად და სწრაფად დაიშალნენ.

პოლიტოლოგთა შეფასებით, არაერთხელ ყოფილა საქართველოში, როცა მომიტინგეებს საპროტესტო აქციისგან მოჭარბებული მოლოდინი უჩნდებოდათ ლიდერთა განცხადებების გამო; შედეგად, თვითონ გულდაწყვეტილნი, ხოლო ლიდერ-

## ivaniSvil ma Tbil isSi mraval aTasiani mitingi Caatara



ბი დისკრედიტებული რჩებოდნენ. ამჯერად, ყველაფერი სხვაგვარად იყო და როგორც ივანიშვილმა მიტინგზე განაცხადა, ოქტომბრიდან მოყოლებული, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

აქციაში ძირითადად თბილისელები იმყოფებოდნენ, რაიონებიდან ხალხი საგანგებოდ არ ჩამოუყვანიათ, რადგან უახსინა ნამდვილი პატრიოტი“.

„ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია მშვიდი ოპტიმიზმით დაიწყო. ეს მანიფესტაცია, ოპოზიციის წინა შეკრებებისგან განსხვავდებოდა როგორც ხანგრძლივობით, ასევე ლოზუნგებით. აქციაზე არ ყო-

სელები მონაწილეობდნენ, რაიონებიდან ხალხი საგანგებოდ არ ჩამოუყვანიათ, რადგან უახსინა ნამდვილი პატრიოტი“.

„ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია მშვიდი ოპტიმიზმით დაიწყო. ეს მანიფესტაცია, ოპოზიციის წინა შეკრებებისგან განსხვავდებოდა როგორც ხანგრძლივობით, ასევე ლოზუნგებით. აქციაზე არ ყო-

სელები მონაწილეობდნენ, რაიონებიდან ხალხი საგანგებოდ არ ჩამოუყვანიათ, რადგან უახსინა ნამდვილი პატრიოტი“.

„ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია მშვიდი ოპტიმიზმით დაიწყო. ეს მანიფესტაცია, ოპოზიციის წინა შეკრებებისგან განსხვავდებოდა როგორც ხანგრძლივობით, ასევე ლოზუნგებით. აქციაზე არ ყო-

დანიშნულ დროს, დღის 3 საათზე თავისუფლების მოედანზე, რუსთაველისა და პუშკინის, აგრეთვე სხვა ქუჩებზე ხალხის ტევა არ იყო. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ამ აქციას უნდა დაენახებინა ხელისუფლებისთვის, რამდენი უკმაყოფილო ჰყავს თუნდაც მხოლოდ თბილისში (რეგიონებიდან ხალხი არ ჩამოუყვანიათ) და სიმბოლურად დაეწყოთ საარჩევნო კამპანია, რომელშიც ოპოზიცია გამარჯვებას აპირებს.

მარტში ჩატარებული კვლევების თანახმად, ხელისუფლებას რაიონებში უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე თბილისში. შაბათს, ქუთაისში ყოფნისას, მიხეილ სააკაშვილმა ამტომაც განაცხადა საგანგებოდ, რომ თბილისი მთლიანად საქართველო არ არის. მისივე თქმით, ზოგიერთებს (გვარ-სახელი

## xel isufI ebam dai naxa, ramdeni mowi naaRmdge hyavs



არ უთქვამს), ჩრდილოელი მეზობლის დავლებით, საქართველოს გადაყვანა სურთ დემოკრატიული გზიდან. რუსეთმა სამხედრო სწავლებები ჩრდილოეთ კავკასიაში სა-

განგებოდ გადაიტანა ოქტომბრისთვის და ეს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

kommersant.ru

## mil iarders prezidentis winaaRmdge xal xi gamohyavs

კვირას საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში ათეულათასობით ადამიანი იმის საჩვენებლად გამოვიდა, რომ მის მიხედვით სააკაშვილის წინააღმდეგია. ეს იყო ყველაზე დიდი ანტისამთავრობო დემონსტრაცია. ამ საპროტესტო მანიფესტაციით სურდათ შეემოწმებინათ, როგორი საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობს ოპოზიცია ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ.

ეს იყო აგრეთვე საპროტესტო მიტინგის ორგანიზატორის, ბიზნესმენისა და გამორჩეული მეცენატის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დაბეჭდვა. მან პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ განცხადება ოქტომბერში გააკეთა და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებასაც შეჰპირდა ხალხს. ივანიშვილი პრემიერ-მინისტრობას აპირებს.

ამავე თანამდებობას უშიშნებს საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი სააკაშვილიც, რომლის მეორე საპრეზიდენტო ვადაც იანვარში იწურება. 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმებით, მან ფაქტობრივად

უზრუნველყო პრემიერ-მინისტრის დამატებითი უფლებამოსილება და ოპოზიციის მტკიცებით, პრეზიდენტს ამით სურს, პოლიტიკური ძალაუფლება კვლავ მის ხელში აღმოჩნდეს.

მიმთინვეთა რაოდენობა, ორგანიზატორთა შეფასებით, ასი ათასზე მეტი იყო, ხელი-

სუფლება, ბუნებრივია, ბევრად ნაკლებ ციფრს ასახელებს... დემონსტრანტები ქალაქის სხვადასხვა უბნიდან კოლონებად მიემართებოდნენ თავისუფლების მოედნისკენ, სადაც გაიმართა კიდევ მთავარი ღონისძიება. მანიფესტაციის მონაწილეები თავიანთ ოცნებებს წერდნენ სპეციალურ ფურცლებზე და ყრიდნენ ყუთებში, რომლებსაც ივანიშვილის პარტიის სახელწოდება – „ქართული ოცნება“ ეწერა.

The Independent

სუფლება, ბუნებრივია, ბევრად ნაკლებ ციფრს ასახელებს... დემონსტრანტები ქალაქის სხვადასხვა უბნიდან კოლონებად მიემართებოდნენ თავისუფლების მოედნისკენ, სადაც გაიმართა კიდევ მთავარი ღონისძიება. მანიფესტაციის მონაწილეები თავიანთ ოცნებებს წერდნენ სპეციალურ ფურცლებზე და ყრიდნენ ყუთებში, რომლებსაც ივანიშვილის პარტიის სახელწოდება – „ქართული ოცნება“ ეწერა.

The Independent

## qarTul i ocnebis~ koal iciis momxreebis 200-aTasiani mitingi Tbil isSi



კვირას თბილისის ცენტრში 200 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ მომხრეთა მასშტაბურ მანიფესტაციაში. თვით ორგანიზატორებიც კი არ მოელოდნენ ამდენ ხალხს, მით უმეტეს რომ, ამდენი მომიტინგე არასოდეს შეკრებულა თბილისის ცენტრში.

რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ამ მანიფესტაციაში? ამ საკითხთან დაკავშირებული მანიპულაციების თავიდან ასაცილებლად, მომიტინგეთა ოდენობის დასადგენად „დათვლის სპეციალური მეთოდიკა“ გამოიყენება. წინასწარი მონაცემებით, კვირას თბილისში შესაძლოა

300 ათასი ადამიანიც კი იდგა თავისუფლების მოედანსა და მის მიმდებარე ქუჩებზე.

„ჩვენ შევიმუშავეთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დეტალური პროგრამა ყველა მიმართულებით. ჩვენ არ დაგვირდებოდა ისეთი არაფერი, რისი შესრულებაც არ არის შესაძლებელი და რაც არ შეგვიძლია. ყოველი ჩვენი დაპირება რეალური და კარგად დათვლილია... ჩვენ ვერ მოვახდენთ სასწაულს, მაგრამ გავაკეთებთ შესაძლებლის მაქსიმუმს. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში წარმოვიდგენთ ჩვენს გეგმებს და თქვენთან ერთად, თქვენი თანამონაწილეობით მივცემთ სახეს საქართველოს განვითარების პროგრამას“, – განუცხადა ივანიშვილმა მოედანზე შეკრებილთ.

panorama.am

ჟეგალ დავლიანიძე

შეპარდნაძე  
და 9 აპრილი

შეპარდნაძეს სხულს ქართველი ხალხი!  
სხულს ჩვენი მამულიც, ენაც და სარწმუნოებაც!  
ყოველივე ამას ადასტურებს მთელი მისი მთავარობა და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა!

საამისოდ აუცილებლად უნდა განვიხილოთ 1989 წლის 9 აპრილის უბედურება, რომელიც თბილისში მოხდა.  
ფაქტობრივად მთავრობის სასახლესთან შეკრებილ მომიტინგეებს თავს დაესხა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, ჯარისკაცებმა გამოიყენეს მესანგრის წამახული ბარები, ხალხს დაერივნენ, აჩეხეს, დახოცეს, გამოიყენეს მომწამლავი გაზი, შემოიფარეს ტანკები... ჯაშუშები – ქართველ ხალხს დაუპირისპირდა საბჭოთა ჯარისკაცი! საბჭოთა არმია!

მანამდე და შემდეგაც, კავკასიაში ამგვარი დარბევა მოხდა აზერბაიჯანშიც!

კავკასიაში, უფრო სწორად, სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა კავშირის არმიამ დარბევა ყოველგვარი ნორმა და სამოქალაქო საქმეების მოწესრიგება დაიწყო!

პირველი კითხვა ასეთია: საბჭოთა კავშირის პრესტიჟისათვის, თვით ქვეყნისათვის, რაიმე სარგებლობა მოიტანა თუ არა ამგვარმა მოქმედებამ?

პასუხი ერთგვარია: არა! ცუდის მეტი ამ უბედურებას არაფერი მოუტანია!

ამას დაუმატეთ ის, რომ კავკასიაში ამ აქტებმა საშინელი ზიანი გააღვივა თვით რუსეთისადმი.

მამ ასე, საბჭოთა კავშირის და მით უმეტეს, რუს ხალხს, ცუდის მეტი არაფერი მოუტანა თბილისში მოწყობილმა სისხლიანმა დღეებმა!

ვიკითხოთ ისიც – თვით საქართველოს თუ წაადგა რაიმეში 9 აპრილის რბევა-აწიკება!

გვინდოდა ქართველებს 9 აპრილი?

კითხვას კვლავ ცალსახა პასუხი გააჩნია:

არა, ქართველებს არაფერში არ სჭირდებოდა არც ადამიანთა სიკვდილი, არც ტანკები, არც ცემა და არც შხამიანი გაზით გაგულება!

მამ, რატომ მოხდა 9 აპრილი? ვინ ისარგებლა ამ უბედურებით? თუ არც რუსეთს და არც საქართველოს ხელს არ აძლევდა ერთმანეთისადმი დაპირისპირება, რა მიზეზით, ვისი წადილით, რისი იმედით გაიცა ბრძანება?

ბუნებრივად იბადება პასუხი, რომ 9 აპრილის ტრაგედიით რუსეთ-საქართველოს შორის გაჩნდა უშველებელი უფსკრული უკმაყოფილებისა, და ეს საშინელება წაადგა მესამე მხარეს. ვილაც უხილავს, ვილაც მესამე პოლიტიკურ მოთამაშეს!

მანაც, ვინ მოიფშენიდა ხელეზი საიმოყენებლად?

ვისი ზრახვები განხორციელდა?

ვინც წააგო, ვიცი, მაგრამ, ჩვენმა სამწუხაროდ, ისიც ვიცი, ვინც მოიგო!

მამინ, 1989 წელსვე რომ დაგვესვა ამგვარი კითხვა, პასუხი უფრო გაჭირდებოდა და ბევრი არც არავინ დაგვიჯერებდა, მაგრამ ამ ოცი წლის მანძილზე გან-

# mware qakveTil ebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvel o

### ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666



ვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ 9 აპრილი გემრიელად შეირგო ევროპამაც და ამერიკამაც. კიდევ მეკითხებით, რატომო? იმიტომ, რომ დღეს ამ აწიოკებულ და დამშულ საქართველოში ევროამერიკა სეირნობს და თავის ჩანაფიქრს გვემაზომიერად ახორციელებს!

აბა, მიიხედ-მოიხედეთ და თვალზე ხელი მოისვით!  
9 აპრილი მოწყობილი იქნა რუსეთში მოღვაწე იმ ადამიანების მიერ, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას უპირებდნენ!

სწორედ იქ „ბრძანდებოდა“ მაშინ ელუარდ შეპარდნაძე და მისი ბნელ ზრახვათა დასაბუთებულად მომიწევს არგუმენტების მოყვანაც. უპირველესად, 9 აპრილის დარბევებს მესვეურების უკან მდგომ ძალას, სურდა ატეხილიყო მსოფლიო სკანდალი, რომ საბჭოთა კავშირმა საკუთარი მოსახლეობა გაიმეტა და დასაჯა სამხრეთ კავკასიაში!

ამას კიდევ მიაღწიეს, რადგან მოსკოვში მთელი რიგი შეკრებები და განხილვები მოჰყვა ამ ამბავს. ამასობაში პარალელურად ამავე-და ევროამერიკის ავტაცია-პროპაგანდის ვებბრუნებებს მანქანას!

საწადელს მიაღწიეს, მაგრამ როგორ, სწორედ ამის შესახებ უნდა ვისაუბროთ...

#### შეპარდნაძის ფარისებლობა

პირველ რიგში, მოვუსმინოთ ელუარდ შეპარდნაძეს, რომელიც (1989 წლის 9 აპრილის) მომიტინგეების საშინელი დარბევის შემდგომ, გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 14 აპრილს გამართულ პლენუმზე (ეს სიტყვა დაბეჭდილია გაზეთ „საბჭოთა“ №88, 1989 წ., 15 აპრილის ნომერში):

„გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეს-ეს არის მივიღეთ, ძნელი და მწარე... რატომ შემაქვს ასეთი დაფინებით 9 აპრილის ეს მოვლენები საერთო საკავშირო და თუ გნებავთ, მთელი მსოფლიო პროცესში? იმიტომ, რომ ყოველი საქციელი, მოქმედება და ამბავი, რომლებიც ზიანს აყენებენ გარდაქმნას, განახლებას, დემოკრატიზაციას, გულს სტკენს მთელ მსოფლიოს,

იწვევს სევდას, გულგატეხილობის ელემენტებს... გამოძიებამ უნდა განსაზღვროს 9 აპრილის ტრაგედიის გამომწვევი ამბების ხასიათი. დამწუხრებელი ვარ, ყოველი დამნაშავე დასახელებული იქნება (ეს სიტყვები შეპარდნაძემ 1989 წლის 14 აპრილს წარმოთქვა და განლავეთ სიცრუე, რადგან დღეს 2009 წლის 14 აპრილია და „ყოველი დამნაშავე“ კი არა, ერთიც არ არის დასახელებულ-დასჯილი! — ჯ.დ.)... დემოკრატია თვითდისციპლინის გარეშე ანარქიაა, თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე კი თვითმკვლელობას უდრის... ყოველ უფართოეს სახალხო მოძრაობას კი აქვს, ან უნდა ჰქონდეს შინაგანი და გარეშე შეზღუდვები. ეს-ეს არის ფესვი იდეამს დემოკრატიის ყლორტები, საეჭვოა, რომ ისინი აბიზინდეს თუ მეტისმეტად თავაშვებულნი, არაკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო დემონსტრაციები გათელავენ მათ. ჩვენ, ამხანაგებო სერიოზულად გვაწუხებს დიარბეულების შეცვლა, ამბიციების აღზევება, დემოკრატიისათვის ბრძოლის დროში რომ ხდება. ეს საშიში მოვლენაა. ჩვენი რწმენით, იმან, ვისაც დემოკრატია სურს, არ შეიძლება არ იბრძოდოს გარდაქმნისათვის. გარდაქმნის პროცესებში შექმნილ ნება-სურვილს სრულიად შეგნებულად იყენებენ, რომ ძირი გამოუთხარონ არსებულ სახელმწიფო-პოლიტიკურ სტრუქტურებს. ლაპარაკობენ 9 აპრილის ტრაგედიის წინ მომხდარი ამბების მშვიდობიან ხასიათზე და დუმილით უვლიან გვერდს არამშვიდობიან მოვლენებს ანგარიშის გასწორებისათვის, წინააღმდეგობა გაიხსილა. ვერ დამიღწევია თავი იმ გრძნობისაგან, თითქოს ეგრეთ წოდებული არაფორმალური ორგანიზაციის ლიდერებიდან ზოგს სრულიად შეგნებულად მიჰყავდა ადამიანები, რომლებიც მათ ენდნენ, სამსხვერპლოზე. მე არამც და არამც არ მომწონს ის ჯგუფები, რომლებიც თავიანთი ანგარებიანი, კარიერისტული მიზნებით, თავიანთ რიგებში ითრვენ უმცროსი კლასის მოსწავლეებს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებსაც კი — და მათ უსანქციო კანონსაწინააღმდეგო დემონსტრაციების პირველ რიგებში აყენებენ (შეპარდნაძეს აქ ავიწყლება, შეგნებულად ავიწყლება, თუ როგორ და ახერხებინა მან თვითმფრინავის

გამტაცებელი „ჩვენი შვილები და შვილიშვილები“ და როგორ მიაყოლა მათ ახალგაზრდა, სრულიად უდანაშაულო მღვდელი! — ჯ.დ.)... გარდაქმნა პარტიამ დაიწყო, მანვე იკისრა პასუხისმგებლობა მისი ბედისადმი რესპუბლიკაში. საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსის დარღვევა თუ არ გამოვასწორეთ, შეიძლება მოჰყვეს და უკვე მოჰყვა საშიში გადაზრები და დემოკრატიები. ამ დაპირისპირებით ვერც ერთმა მხარემ ვერ გამოიჩინა ვერც ტაქტი, ვერც თავშეკავება, ვერც სიმშვიდე, ვერ შეძლო მოვეგარებინა ერთმანეთთან დიალოგი. თუ თქვენ დააპირეთ დემოკრატია და გარდაქმნა ტანკებით და გეცვათ, ხალხისათვის მანაც გეთქვათ ეს, გაგფრთხილებინათ, საფუძვლიანად მოგეშადებინათ (არის თუ არა, ეს სიტყვები საზარელი ცინიზმი?! — ჯ.დ.). მოხდა ტრაგიკული ამბები... რა უნდა ჰქნას პარტიულმა ორგანიზაციამ — პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ყველა თქვენგანს. მე ლაპარაკი მაქვს მორალურ პასუხისმგებლობაზე, თუმცა შეიძლება დაისვას პასუხისმგებლობის სხვა ფორმის საკითხიც... რესპუბლიკის ხელმძღვანელებს მოქმედება მოუხდათ უადრესად ძნელ პირობებში. ეს უნდა გავივით და გავითვალისწინოთ. საჭიროა მომზადდეს ახალი ძირითადი კანონი, რომელიც შეესაბამება რესპუბლიკის კავშირის, ხალხთა კავშირის ნაღველს და არა მოჩვენებითს რეალობებს... მოდი, გავსოვდეს, რომ ინტერნაციონალიზმი ჩვენი ეროვნული საუფჯეა... ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ტრადიციები არ უნდა განაცვალოთ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს (შეპარდნაძეს შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, თითქოს 1989 წლის 9 აპრილის ეროვნული აზვრთება მიმართული იყო რუსი ხალხის წინააღმდეგ! რუსი ხალხი აქ არაფერ შუაშია! ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ებრძოდა არა რუს ხალხს, არამედ მსოფლიო ბნელეთს, მსოფლიო ბოროტებას, რომელიც უფრო შორსაა, ვიდრე რუსეთია! — ჯ.დ.)... განა ვინმე უარყოფს ეროვნული იდეების უპირატესობას? მაგრამ რაოდენ ძლიერ აუფასურებს და იმცირებს თავს, როცა მკვიდრდება სხვათა ეროვნული ღირსების ხარჯზე (შეპარდნაძის ამ გამოხატვაში კომენტარი არც სჭირდება, მაგრამ... მანაც საინტერესოა, - ვის ეროვნულ ხარჯზე მოხდა 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტა? ვინ არის ის „სხვა?“ შეპარდნაძეს თუ დაუჯერებთ, ყოველივე მომხდარა რუსების და საქართველოში

მატხოვრებელი სხვა ეროვნებათა ხარჯზე. ღმერთო, რაოდენ დიდ ბოროტმოქმედთან გვაქვს საქმე! — ჯ.დ.)... მინდა შევეხო აგრეთვე არმიას, იგი თბილისის ქუჩებში თავისი ნებით არ გამოსულა. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, როგორც ამხანაგებმა მითხრეს, ილაშქრებდა ამიერკავკასიის ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი.ნ. როდინოვი. იგი ამბობდა, რომ ეს ფუნქცია (ანუ ხალხის ჩახოცვა! — ჯ.დ.) დამახასიათებელი არ არის არმიისთვის... მოვალენი ვართ განვიხილოთ ის შემთხვევები, როცა უკვე ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ თავი დაეცვათ თავდასხმისაგან... თბილისის ქუჩებში ტანკებისა და ქვეითი ჯარის, საბრძოლო მანქანების ყოფნა მეტი ანომალია როდია, ვიდრე იმის ცდები, რომ მოშალონ მთლიონიანი ქალაქის ცხოვრება, დაარღვიონ მისი სამსახურების მუშაობა, მოშალონ მოქალაქეთა არსებობა (ქართულის მცოდნე ადამიანისთვის გაუგებარია, რას ნიშნავს „მოქალაქეთა არსებობის მოშლა“. ეს შეპარდნაძის უეცრობა — ჯ.დ.)... ინტელიგენციაც მზად არის იკისროს პასუხისმგებლობა რესპუბლიკის დედაქალაქში წესრიგის დაცვისათვის“ (ინტელიგენციის იმედი შეპარდნაძეს მუდამ ჰქონდა და სწორედ მას — შეიარაღებულ ინტელიგენციას მიესალმა, მაგლობა გადაუხადა აეროპორტში ჩამოსვლისთანავე, 1992 წლის 7 მარტს. შემდგომშიც — ინტელიგენცია მრავალჯერ გამოადგება ქართველი ხალხის წინააღმდეგ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად — ჯ.დ.).

მკითხველს ვთხოვ, ყურადღებით დააკვირდეს შეპარდნაძის ზემოთმოყვანილ საუბარს, გაკეთებულ აქცენტებს, ქვეტექსტებს, სადაც ნათლად მოჩანს — 1989 წლის 9 აპრილის დარბევისადმი ფარული მხარდაჭერა და გამართლება.

#### 8 აპრილს შეპარდნაძე უკვირდება თბილისში იმყოფებოდა

საქმე, სინამდვილეში ასე უნდა წარმართულიყო:

შეპარდნაძეს საქართველოს იმდროინდელ ცეკას მდივნის ჯუშუბერ პატიაშვილისადმი ფარული ბოლო და ანტიპათია ჰქონდა. 9 აპრილის მომიტინგეთა დარბევით, მას ორი კურდღლის მოკვლა სურდა — ერთი, რომ მომიტინგეებს დაშლიდა, ხელმძღვანელებს დაიჭვრდა, მეორე — ჯუშუბერ პატიაშვილსაც გააციმ-

ინტერნეტ „საერთო გაზეთი“  
ინტერნეტში  
[www.saertogazeti.ge](http://www.saertogazeti.ge)  
მემოგვიერთობით FACEBOOK-ზე  
**საერთო გაზეთი**

ბირება.  
 საშინელი გეგმა ცნობილია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთი თათბირის დროს, ერთ-ერთმა პარტიულმა ფუნქციონერმა ხმადასმულად განაცხადა, რომ დაბლა, მომიტინგეებთან საჭირო იყო დიალოგის გამართვა და საამისოდ ჯუშუბერ პატიაშვილი უნდა ჩასულიყო. ბნელი, მზაკვრული გეგმით, ხალხთან ჩასულ პატიაშვილისათვის ვინმე პროვოკატორს უნდა ესროლა ტყვია და მოეკლა. ამის შემდგომ, აზვირთებულ ხალხს სასტიკად კი აღარ დაარბევდნენ, არამედ ჩახოცავდნენ და ზედ მიაყოლებდნენ ყველა ლიდერს.

ხსენებული გეგმა ჩაშალა ერთმა უბრალო სატელეფონო ზარის წყრილმა – ჯუშუბერ პატიაშვილს უშიშროების სამსახურიდან ერთ-ერთმა კეთილის მსურველმა ურჩია – არავითარ შემთხვევაში არ ჩასულიყო მთავრობის სახლის წინ, აბოლოქრებულ მომიტინგეებთან. ჯუშუბერ პატიაშვილმა ამის შემდგომ, იმ ფუნქციონერს, რომელიც დაჟინებით ურჩევდა – ხალხს დაელაპარაკეო, სილა შემოჰკრა!

ამ გეგმის განსახორციელებლად გამზადებული არმიის ნაწილი უკან ველარ გაიხმეს და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო!

როგორც ზემოთ ვნახეთ, შევარდნაძე თავისი პირით ამბობს: გენერალი როდიონოვი წინააღმდეგი იყო არმიის გამოყენებისას! ეს ცნობილი ფაქტია იმიტომ, რომ შემდგომში, როცა ამ ხოცვა-ჟლეტის გამოსაძიებელი კომისია მუშაობდა, როდიონოვმა არაერთხელ განაცხადა სახალხოდ – არმიის ფუნქციონერებში არ შედიოდა მომიტინგეების დარბევალ!

ისმის კითხვა: ვინ უბრძანა გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვს არმიის გამოყენება?



ვის შეეძლო ამერიკელების ჯარების სარდლისათვის მიეცა ამგვარი ბრძანება თუ არა უმაღლეს მთავარსარდალს?

ვინ იყო მთავარსარდალი? – რა თქმა უნდა, გორბაჩოვი!

ვის დააბრალეს ყველაფერი?

რა თქმა უნდა, საქართველოს ცეკას პირველ მდივანს, ჯუშუბერ პატიაშვილს, რომელსაც კომპარტიამ ურჩია პირში წყალი ჩაეყენებინა და თანამდებობიდან გადადგარიყო!

მისმა გადადგომამ გააძლიერა ეჭვი, რომ ყველაფერში იგი იყო დამნაშავე!

თუმცა, ძნელად თუ დაიმალება სიმართლე. შევარდნაძე მუდამ ამტკიცებდა, რომ იგი თბილისში მხოლოდ 9 აპრილის შემდეგ ჩამოვიდა სიტუაციის განმუხტვის გამო, მაგრამ ამ ქვეყნად არსებობდა ცნობილი რუსი გენერალი ლებედი, რომელმაც დაწერა წიგნი „ზაღერაჟაჟი ობიდნო“, სადაც იგი მოგვითხრობს, რა ნაწილი მისმა თვალუბრებმა 1989 წლის 8 აპრილს თბილისის აეროპორტში, როცა საჰაერო-სადესანტო დივიზიასთან ერთად ჩამოფრინდა.

გენერალი ლებედი თავის წიგნში წერს: „სატრანსპორტო თვითმფრინავები ზედიზედ ეშვებოდნენ. ერთი მათგანი დაჯდა გრაფიკის გარეშე. კარგად დავინახე – თვითმფრინავიდან გადმოსული ორი სამთავრობო „ზილი“, რომლებსაც ჩემმა გასაცნობად, თან ახლდა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე...“

შემდგომ ლებედი აზუსტებს, რომ მას (ლებედს) დაეველა კრწანისის რეზიდენციის გაძლიერება-გამაგრება, ანუ შევარდნაძის დაცვა, რითიც ეს უკანასკნელი უკმაყოფილო გახლდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**პერსპექტივა ქართული კინოხელოვნებისთვის თუ აწ უკვე კარგად ცნობილი ყოფილიყო აფორული სტემა, რომელიც ამჟამად აღმშენებლის გამზირზე მდებარე ძველი კინოსტუდიის ტერიტორიას შეეხო. ამ თემაზე ვესაუბრებით კინორეჟისორს, სამეფო უბნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ მმ-რაზა თაყაიძეს.**

– ბატონო მერაბ, კინომოყვარულებს და არა მარტო მათ, აინტერესებთ, რა ხდება ძველი კინოსტუდიის ტერიტორიასთან დაკავშირებით, იყიდება მართლა თუ რაშია საქმე?


– უპირველესად, უნდა ითქვას ის, რომ ხდება აბსოლუტური განადგურება იმისა, რითაც ამჟამად საქართველო, ეს არის ქართული კინო და რატომაც ითვლება, რომ დღევანდელ დღეს სხვა მიმართულება აქვს აღებული ხელოვნებას. ყველა კარგად ვხედავთ რა დღეშია ესტრადა, ტელევიზია, შოუები. ეს პროცესი ახლა არ დაწყებულია. რამდენიმე წლის წინ მივხვდით, რომ არის გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და არსებობს ნება, რომ “ქართული ფილმი”, როგორც ასეთი, განადგურდეს. ეს ისტორია სათავეს იღებს 1995-96 წლებიდან. მაშინ სახელმწიფოს არ ჰქონდა ფული და ამავდროს ჰქონდა “ქართული ფილმის” სტატუსი უზარმაზარი ვალი. შეიქმნა სააქციო საზოგადოება, აქციონერებს შეხვდათ ერთი მესამედი, ორი მესამედი სახელმწიფომ დაიტოვა. “ქართული ფილმი” რომ ამუშავდებოდა, აქციონერებს უნდა მიეღოთ ამ აქციების საფასური; გარდა ამისა, იმ ორი

დადო ხელშეკრულება, რის მიხედვითაც მას ეკუთვნოდა გარკვეული თანხა, თვეში 1200 დოლარი და პენსიაზე გასვლის შემდეგაც რაღაც პროცენტი უნდა მომცეთო. ხელშეკრულებაში გარკვეულად ეწერა, რომ ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ ამუშავდებოდა სტუდია. როცა მივხვდით, რომ ეს იყო ჩვეულებრივი თაღლითი, განათავისუფლეთ, ამაჟი მოითხოვა ჩემი სამი თვის ნაშუშვეარი ფული დამიბრუნეთო. რატომაც მოიგო სასამართლო. სასამართლომ 4800 დოლარი დააკისრა კინოსტუდიის თანამშრომლებს. ამის შემდეგ ჩნდება პრეტენზია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციის მიმართ, რომ არ იყო გაფრთხილებული არც ერთი აქციონერი და 2700 კაცი რჩება აქციების გარეშე. ჩემად შეფასდა ჩვენი ქონება ათ მილიონ ლარად. მშერე ისევ აუქციონი ჩატარდა, ფასებმა ისევ და ისევ დაიკლო, მერე ვილაყამ გადაიხადა 300 ათასი და ასე გაიყვია ის წილი აქციონერებისა. ის, ვინც იყდა, სახელმწიფოს მხრიდანაა, ასე რომ, სახელმწიფო არის ასი პროცენტის მფლობელი. ახლა სასამართლოში ვაქვს შეტანილი საქმე. საქმე გაიჭიმა სექტემბრიდან მაისამდე. ახლა 30-ში ვაქვს სასამართლო, მე უნდა დავინშნო იმ აქციონერების დირექტორად, რომელთა აქციებიც გაყიდულია. კიდევ ხდება რა: მოინდომეს ძველი კინოსტუდიის ტერიტორია, რომელიც არის ძირი, საფუძველი ქართული ფილმისა.

ფონდის გადაწყვეტილებას. ქეთი დოლიძე გამოუშვეს ფონდის გამგებებიდან, იმიტომ, რომ ხელი არ მოაწერა ფონდის დადგენილებას, ნანა ჯორჯაძეს ერთი დღეც არ დაუცადეს, რომ ჩამოსულიყო გერმანიიდან. მე ვუთხარი მათ პირდაპირ: “თქვენ, ხალხნო, იცით, რომ პლუპავთ ქართულ კინოხელოვნებას? თქვენი სახელები და გვარები ფიქსირდება, ინახება არქივებში და შთამომავლობა ამოწვეს ამას”

– რა მდგომარეობაა, საერთოდ, ამჟამად, დიდიმის კინოსტუდიის?

– ესენი კინოსტუდიის შენობიდან, როგორც ნაგავს, ჯაროს, ისე ყრიდნენ იმ



**moindomes Zvel i kinostudiis teritoria, romel ic aris Ziri, safuZvel i qarTul i kinoxel ovnebisa, gesmi T ra vaWrobaa? amaze didi naZiral oba ra unda moi figro?!!**

მესამედიდან, რომელიც სახელმწიფოს ჰქონდა, უნდა ჩაეღო ინვესტიცია, გარკვეული თანხა იმისთვის, რომ ეცოცხლა ქართულ კინოს. შეიძლება, იმ რაოდენობით ფილმებს ვერ გადაიღებდნენ როგორც ადრე, წელიწადში 24 ფილმი რომ გამოდიოდა, მაგრამ 5 ან 6 მაინც უნდა გაკეთებულიყო. ამის სანაცვლოდ სახელმწიფომ მიინდომა ამ აქციების მოშლა, ბრძოლა იმისთვის, რომ ეს ერთი მესამედიც ჩაეღო ხელში. “ქართულ ფილმს” გააჩნდა უზარმაზარი ქონება, რაც გაბნეული იყო მიუღ საქართველოში. მოგვხსენებთ, ადრე შორეულ სოფლებშიც იყო კინოთეატრები. ქვეყნის მასშტაბით არსებული კინოთეატრებიდან ზოგი ჩუქების სახით გაფორმდა, ზოგი სახელმწიფომ თვითონ წაიღო. 2003 წლის შემდეგ უფრო გამძაფრდა ეს პროცესი და არც ერთ აქციონერს თავისი აქციების დივიდენდი არ მიუღია. კაცმა არ იცის, სად იდებოდა ფული, რა ხდებოდა. იმიტომ შედგა გარკვეული ადამიანების ჯგუფი, რომელმაც გადაწყვიტა გადაერჩინა ქართული ფილმი. სააქციო საზოგადოებას აქვს თავისი სამეთვალყურეო საბჭო, ჰყავს დირექტორი. ჩათვალეს საჭიროდ მოეყვანათ ახალი სახეები. მოხდა რა: ავირჩიეთ ახალი დირექტორი და გავეშუთ რეესტრში, რასაც რეაქცია არ მოჰყოლია. მერე მოვახერხეთ და ერთ-ერთი ჩვენი დირექტორობის კანდიდატი დაეარეგისტრირეთ. ცოტა ხნის შემდეგ ვილაყვების მიერ ითქვა, რომ ეს ყალბი დანიშნა და პროკურატურაში გადაგზავნეს საქმე გამოსაძიებლად. ორი წელია იძიებენ, ეს დირექტორი ყალბია თუ არა, თან დანაშაული არ იკვეთება. მე მივხვდი, რომ მიზნობრივად ჭიმავენ საქმეს. მერე სრულიად შემთხვევით დაინშნა პიროვნება, გვარად ჯოხაძე, თუ არ ვცდები. პირობა იყო ასეთი: იგი დადგებოდა დირექტორად იმ პირობით, რომ უნდა შემოეტანა ინვესტიციები, რის ხარჯზეც უნდა გაკეთებულიყო ფილმები. ამ კაცმა

მოგვეცით ეს ტერიტორია და დაგიბრუნებთ იმას, რაც არის დიდიმში. ვესმით, რა ვაჭრობაა? ამაზე დიდი ნაძირალობა რა უნდა მოიფიქრო, ვის ატყუებ, შენს ხალხს?

ქართული ფილმი აქ დაიწყო, აღმშენებელზე, დიდიმში სტუდია მერე აშენდა, რას ჰქვია გაიყიდოს და გაიყვალოს? ჯერ ის ჩაიგდეს ხელში, ახლა გვეუბნებიან ეს მჭირდება და იქ გადადი. შევიკრიბეთ რეჟისორები და განაცხადეთ, რომ ამისი გაკეთება კატეგორიულად არ შეიძლება. სამაგებოდ, ასევე შეიკრიბა რაღაც გარკვეული გამგებოდა, რომელსაც ჩვენი დაარსებული ფონდი განაგებს და ამ ფონდის ზოგიერთმა წევრმა ხელი მოაწერა იმას, რომ

ნივთებს, სამონტაჟო მაგიდებს, რომელზეც შექმნილია ქართული ფილმები. შე კაი დედამიშვილო, არ ვარგა, ძველია, მაგრამ ამ ათიდან ორი მაინც აიღე, შეინახე, როგორც სამუხეუმო ექსპონატი. ბოლოს და ბოლოს ვინმემ რომ გადაიღოს ფილმი ძველ დროზე და დასჭირდეს კადრის გადაღება, რომელშიც ჩვენი ან ძველი თაობის რეჟისორი ფილმს იღებდა, სადა უნდა იპოვონ სათანადო დანადგარები? ჰო-ლივუდში ინახება ძველი ტრამვაი, მანქანები, იმიტომ რომ მათ იციან ამის ფასი, ჩვენიან ყველაფერი ნაღვეურდება.

– ანუ ქართული კინოხელოვნების აღორძინების ტრაფარეტით კეთდება რაღაც ბნელი საქმე...

– ქართული კინოს გადარჩენის და აღორძინების სურვილი რომ ყოფილიყო, ეს მოხერხდებოდა აქამდეც. უამრავ უაზრობასა და უგემონობაზე იხარჯება ფული და დღევანდელი მოქმედი რეჟისორები მათხოვრებით დარბიან. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ლენინი, ეს ურჩხული კომუნისტი, საშინელი არსება ამბობდა: “ხელოვნების დარგებს შორის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი კინოა”. ეს პრობანადაა, ისტორია, რომელიც რჩება, ფირზე ხომ წამი აღიბეჭდება. კიდევ კარგი, არიან ადამიანები, რომელთაც იციან ამ ყველაფრის ფასი, სტუდია “შემატანეს” დირექტორს შეეხვდი ამას წინათ და მეუბნება: ვილაცას უნდოდა ორ ლარად თითო კოლოფი ფირი, იმიტომ, რომ ძველი ფირები ვერცხლზე იყო გაკეთებული, ამას როგორ გაყვიდი, ეს ხომ ჩვენი ისტორია არისო.

– იმედია, პერსპექტივა აქვს იმას, რასაც თქვენ ახლა ცდილობთ...

– ჩვენ ახლა ერთი გუნდი ვართ, მე, ქეთი დოლიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ელენე შენგელია, ლანა ლილიბერიძე, თუ ყველამ მოინდომეთ და ელიოქმედეთ, გადავარჩენთ ქართულ კინოს არა ჩვენითვის, არამედ მომავალი თაობებისთვის.

თაყაიძე მამადიანი



თანხმანი არიან ეს ტერიტორია გადაეცეს სახელმწიფოს. აფორა და ასეთი? სხვათა შორის, ყველამ წააგო, ვინც ასე შეეხა ხელოვნებას, ტელევიზიებს, ახლაც წააგებენ. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ამ უსამართლობას, რადგან მერე მომავალი თაობა მოგვითხოვს პასუხს, იტყვიან, რომ ჩვენმა თაობამ ვერ მოუარა, ვერ გადაარჩინა ქართული კინოხელოვნება. წააგებს ის ვიღაც კულისებს მიღმა მყოფი პიროვნება თუ პიროვნებები, მაგათ ჰკონიათ რეჟისორები ჰაერში დაფრინავენ. ჩვენ, პირველ რიგში, ფსიქოლოგები ვართ და ნურავის ვვინებთ, რომ მოგვატყუებენ. ახლა მთელი კატეგორიულობით შევანერებთ

# მოგზაურობა სამხრეთლოში გეორგიანული და ვანი რეაქციის სივრცე

სანამ ვფიქრობდებოდე, შორაპანთან ახლოს, ძირულა ერთ მცირე შენაკადს – ბორიშელას იერებებს სამხრეთიდან. ამ მდინარეს ვახუშტი ბატონიშვილი ვარძიისწყლის სახელით იცნობს. ორსავე შემთხვევაში პატარა მდინარის სახელწოდება ხეობის ორი უმთავრესი სოფელიდან – ვარძიიდან და ბორიდან მომდინარეობს. ორსავე სოფელში საგულისხმო ძეგლებია შემონახული. სოფელი ბორი სახელწოდებით დიდად არ განსხვავდება ამავე ხარაგაულის რაიონში მდებარე ბორითიგან. ორივე მათგანი მტაცებელი ფრინველის – ბორისგან ანუ ბორისგან უნდა მომდინარეობდეს. იგი შეიძლება იმავე ლეგენდის გამოძახილი იყოს, რომელიც ძველი მახლობლად არსებულ ბორის ნასაყდრალს უკავშირდება. ლეგენდის თანახმად, ეკლესიის მშენებლებს კარდალაში ვერ გველი ჩაუჭერა, მერე კი ბორი ჩაფრინდა მის ამოსაყვანად და ადამიანები გადარჩინა. სავარაუდოა, რომ ხარაგაულის რაიონის ორივე სოფელში თავდაპირველად ეკლესიებს ჰქონდათ მეტსახელად ბორა, მერე კი იგი სოფლებზეც გავრცელდა. შესაძლოა, სხვა თქმულებაცა და ვერსიაც იყოს ამის თაობაზე, მაგრამ ჩვენ არ გვსმენია.

ბორის „წმინდა გიორგის“ კედლებში ერთი მეტრის ნიშნულამდე ქვათა წყობა აღრეშუასაუკუნეებისაა, ზედა რეგისტრებში კი მომდევნო ეპოქათა სუნთქვა იგრძნობა. ტაძარს სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან ორი კარი აქვს (გარედან არქიტრავული, შიგნიდან ოღნავი შეისრულთალოვანი). საკურთხევის სწორკუთხა კედელში გაჭრილი 3 ვიწრო და მაღალი სარკმლის ფორმა XIII-XIV საუკუნეებს გვახსენებს. ესაა და ეს – ტაძარში სხვა მხრიდან შუიკი არ აღწევს.

ბორიშელის ორი სათავის შესაყარში მდებარე მეორე სოფელი ვარძია, რომ უფრო სახელოვანი ყოფილა, არამარტო სახელწოდება ცხადყოფს, არამედ მისგან ნაწარმოები მდინარის ძველი სახელიც – ვარძიისწყალიც. სოფელი, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ტყეში ჩაკარგული მწვერვლის ნანგრევები დატყვევდა, დღესაც მხნელ გამოიყურება. სოფლის საკრებულოში 14 გვარის 500 კომლია აღრიცხული: ხიჯაკაძეები, სარალიძეები, ბუბულაშვილები, ჩიჩილიძეები, ყიფიანები, გამცემლიძეები, კოჩიაძეები, მდივნიშვილები, ავალიშვილები, გოგსაძეები, ხელაძეები, კაკოიშვილები, ქვემოთიანები და საბუნძიშვილები. მიუხედავად იმისა, რომ ძაბუნძიშვილები სულ 3 კომლია და თანაც შედარებით ახალი გვარია, მათი წარმომავლობა, ალბათ,



ვარძიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის ინტერიერი და ფასადი

ვევლაზე საინტერესოა, მაგრამ ვიდრე მასზე ვიამბობდეთ, აქაური ტაძრის თავდადასავალზე უნდა ვისაუბროთ. ერთი ლეგენდის თანახმად, რომელსაც უთუოდ მიმსგავსებელი ისტორიული ფაქტი უდევს საფუძვლად, ერთხელ თამარ მეფეს აქვე, ჩხერის ციხეში მოუწია თურმე ღამის გათენება. თამარს ღამით ვარძიის ღვთისმშობლის ხატი გამოცხადებია და უთქვამს: ამ ადგილებში ეკლესია უნდა აიგოს. ამის შემდეგ, როგორც ლეგენდის ჩანაწერშია ნათქვამი, თამარ-

ტაძარი, როგორც ჩანს, თემურ-ლენგის 1399 წლის ლაშქრობის დროს დაინგრა. 1777 წელს მისი პერანგი და სამრეკლო საკუთარი ხელით განუახლებია აქაური მონასტრის წინამძღვარსა და არქიმანდრიტს – ნიკოლოზ ყიფიანს. როგორც სამრეკლოს სამხრეთ კედელზე წერია, წინამძღვარს იმერეთსა და ქართლში ამაოდ უძებნია გამოცდილი კალატონი და ბოლოს თავად მოუკიდა ხელი ამ საქმისათვის.

ვინიერებია, მაგრამ მერე და მერე საქმე უკან წასულა. მომხდარა ისეც, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესიის პერანგის ქვები სოფლის ატლანტები გზების გასამყარებლად გამოუყენებია. ამას წერს 1885 წლის 17 იანვრის „დროება“. რამდენიმე შემორჩენილი ჩუქურთმის ქვა ახლა დასავლეთის გვიანდელი მინაშენშია. 1905 წლის რევოლუციის წინ მოღვაწე კვიპროსელ არქიმანდრიტს 15 წლის ჭაბუკი ჩამოუყვანია თან, მაგრამ მალე ქვეყანა არეულა და

აღდგენილი, რაც მის ფასადებს თვალნათლივ ატყვია. სანაცვლოდ, ინტერიერში გამოიყურება თითქმის ყველაფერი ისე, როგორც XII-XIII საუკუნეებში იყო. თითქმის-თქო იმიტომ ვამბობ, რომ XII-XIII საუკუნის მხატვრობის დეტალებზე უკეთ XVI საუკუნის ფრესკებია შემონახული.

... ვარძიის ზევით ბორიშელის ხეობის ყველაზე მაღალი დასახლება სოფელი ხიდარია. აქ XVII საუკუნეში დიდი ორნავიანი და შვერილაფსიანი ეკლესია მდგარა, მაგრამ ომარხანს დაუგრევიდა. XIX საუკუნეში სოფელი ბერძენი ოსტატი მოუყვანია და თავისი სახსრებით კვლავ ფეხზე დაუყენებიათ საფარი, რომელიც უკვე XX საუკუნეში, 1939 წელს სოფლის აქტივისტებს აუფეთქებიათ.

კურიოზად უნდა ჩათვალოს ის ამბავი, რომ ტაძრის დანგრევას, თურმე, პარტიის რაიონის პირველი მდივანი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ უბირ ადამიანებს იგი მოუტყუებიათ და მოსახლეობის ყალბი ხელმოწერები წარუდგენიათ. უფრო ადრე, 1917 წელს, ეკლესიასთან არსებული მორიდილი სამრევლო სკოლაც დაურბევიათ.

ტაძარი სულ ახლახან, 2010 წელს აღდგენილია სოფელს ხელახლა, მაგრამ იგი შედარებით მცირე მოცულობისაა.

ბორიშელის ხეობიდან ჩხერიშელის ერთ-ერთი შენაკადის ჯონჯოურას ხეობაში გადავიდეთ. აქ ყველაზე დიდი სოფელი ვანია. ვარძიისა არ იყოს, ვანი და ვაპანიც ვაყავსეთიდან გადმოტანილი ტოპონიმებია.

ხიდარის ეკლესიის მსგავსად, ვანის „წმინდა გიორგის“ 2-ნავიანი



ვანის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფასადი და ალექსანდრე მეფის წარწერიანი ფრესკა



მა „დაასვენა მუნ ხატი ღვთისმშობლისა და აღაშენა ეკლესია განამელობასა შორის თვისისა ათინითა შუროთმოდგერის ხელმძღვანელობით“. (ეს ლეგენდა 1863 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“) აი, ამიტომ დაერქვა ტაძარს ვარძიის ღვთისმშობლის ხატის საფადარი, ხოლო სოფელს – ვარძია. როგორც ჩანს, ათინიელი შუროთმოდგერის მოწვევამ თავისი როლი შეასრულა ამ ეკლესიის საბერძნეთთან დამოკიდებულებაში.

1783 წელს იმერეთის მეფე სოლომონ პირველს ვარძიის ეკლესია თავისი ადგილ-მამულითა და ყმებით კვიპროსის, კერძოდ კი კიკოს ბერძნული მონასტრისთვის შეუწირავს. იმ დღიდან ვარძიის საქმეებს: გამოსაღების აკრეფას და მიწების იჯარით გაცემას კვიპროსელი არქიმანდრიტი უძღვებოდა... ვარძიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარს მეორენაირად კიკოს მონასტერი დაერქვა. კვიპროსელ არქიმანდრიტთან ერთ-ერთს – იონიკოს ტაძარი განსაკუთრებით გაუმ-

არქიმანდრიტს ძლივს გაუსწრია სამშობლოში. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ მოძღვარს მოწაფის წაყვანა ვერ მოუხერხებია. ასე დარჩენილა ვარძიაში კვიპროსელი ჭაბუკი, გვარად ძაბუნდი, რომლის შთამომავლები ძაბუნძიშვილები გამხდარან. ეს ამბავი ჭარბამა ვარძიელმა, საკმაოდ განათლებულმა კაცმა, მამია ხიჯაკაძემ მიახლო ერთი წლის წინათ, 2011 წლის აგვისტოში.

ვარძიის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მრავალჯერ არის დანგრეული და

საყდარია, მაგრამ იგი გაცილებით აღრინდელი – IX-X საუკუნეების ძეგლია.

ტაძრის კედლებზე მისი აღმდგენლები – XVI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე აბაშიძეები არან გამოსახულნი: სამხრეთ კედელზე – ხელაყრბილი ივანე აბაშიძე, დასავლეთის კედელზე – როსტევენი აბაშიძე, მისი მეუღლე აზმაღ (ანუ ასმათ) და მათი ყმაწვილი.

ამ ფრესკის ზევით, საუფლო სცენებში მთელი ტანითა ჩართული იმერეთის მეფე ალექსანდრე მეორე. ტაძრის ქტიტორ-აღმდგენელი, გელათის მონასტრის წინამძღვარი მეღქისევე აბაშიძე საკურთხევის მხატვრობაში წმინდა მამების რიგშია მოთავსებული. ყველა ეს აბაშიძე უბისური შტოს წარმომადგენელია.

ვანის „წმინდა გიორგის“ ხარაგაულის რაიონის კულტურულ-ისტორიულ ძეგლებში წამყვანი ადგილი უკავია; როგორც ტაძრის ერთ-ერთი სარკმლის უცნაური ფორმა და სამჯვრიანი სიმბოლიკა მოწმობს, იგი თავდაპირველად სამების სახელობისა ყოფილა...

ვანის საყდარმა, როგორც სულიერების კერამ, მას შემდეგ აღიდგინა ფუნქცია, რაც აქ პირველად 1917 წლის შემდეგ, სულ ახლახან განახლდა წირვა-ლოცვა დეკანოზმა მირიან რამიშვილმა.

**ბ. ქოქიაშვილი**  
ავტორის ფოტოები

ბორის ეკლესია



ხიდარის ეკლესია



# თამარ ჯავახიშვილი - 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე თამარ ჯავახიშვილი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო თამარ!  
ჩვენო საყვარელო კოლეგა!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები მოწიწების გრძობით მოგესალმებიან ჩინებულ პოეტს, საიმუშოო ქალბატონს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75 წლისთავს.  
მართლაც სიმბოლურია ის გარემოება, რომ თქვენი მწერლური ნათლობა ჩვენს უძვირფასეს ალმა მატერში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა. 1957 წელს სწორედ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურულ აღმანახში გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები და, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თქვენი პიროვნების სულიერი ფორმირებაზე საოცარი ზეგავლენა მოახდინეს იმდროინდელი უნივერსიტეტში მოღვაწე დიდა კორიფეჟმა (ვაი, რომ იმ უნივერსიტეტისგან ახლა მხოლოდ კედლებია დარჩენილი).

შემოქმედებითი ხელხვედრებით არ გამოირჩევი. სულ ორადორი წიგნი გაქვთ გამოცემული – „ლექსები“ და „სანამ გვახსოვს“, მაგრამ ქართველ მკითხველს, მკაცრსა და უღმობესს, ამ კრებულებში შესული ნაწარმოებები თავს ამასოვრებს საოცარი ბუნებრიობითა და უშუალოდ, დახვეწილი გემოვნებითა და ნატიფი პოეტური კულტურით. რა დახვეწილი, რა კოლორიტული, ფიქრიანი შემოქმედი ბრძანდებით, რა თანაბრად ფლობთ როგორც ტრადიციულ, კლასიკურ ფორმებს, ასევე თავისუფალ ლექსსაც და ორივე შემთხვევაში, უპირველესად, ჭეშმარიტ ქართველ შემოქმედარებით, რომლის მასსოვრობის უდრანებში ის შემზარავი სურათები შემორჩენილა, დღესაც რომ გვაფორიაქებს და მოსვენებას გვიკარგავს. თვალწინ გიდგათ სისხლიანი ტიანების დოლაბებისთვის განწირული ერისკაცების სახეები, პატივად და მოვალეობად რომ მიიჩნევდნენ სამშობლოსთვის ჯვარცმას. სიტბო გე-

ნატრებათ, ადამიანური სიტბო სულიერად გაუღაბნოებულ სამშობლოში. თავად კი მთლიანად შეგიძლიათ დაიხარჯოთ მოყვანის სიყვარულში, თუმცა ადამიანი რაა, დაბუა ჩიტსაც კი შეგიძლიათ უწილადოთ გულის სიტბო, იმ ჩიტს, ქაშუეთის ტაძრის ჯვარზე დაფრენილი ფეხს რომ ვერ იკიდებს და პაწაწინტელა ალაშივით ფართქალებს, მშვიდობის, სიკეთის, სათნოების ალაშივით... თქვენი უმშვენიერესი ბედაურები მზის ვალაღებულ იალაღებზე არიან მიჩვეულნი თავისუფალ ნავარდს და თავადაც თავისუფლებასა და ქედუხელობის სურნელს აფრქვევენ...  
თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა პოლონურ, ინგლისურ, რუსულ ენებზე. გამოქვეყნდა უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.  
თქვენს კალამს ეკუთვნის ბორის პასტერნაკის რამდენიმე ლექსის მშვენიერი თარგმანი.



სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის კინოგაქირავეების სარეკლამო ბიუროში მთარგმნედად, კინოკორპორაცია „ქართულ ფილმის“ აღსადგენი და სადუბლიაჟო ფილმების შემოქმედებითი გაერთიანების რედაქტორად და მუდამ ქართული ხელოვნების, ქართული კულტურის წინსვლასა და განვითარებას ემსახურებოდით.

თქვენი ჩინებული პოეზია, თქვენი დედალი, ქართული მწერლობის წინსვლისათვის გაწეული, თქვენი დიდი წინამძღობის – დედაბები ანა კალანდამის სახელობის პრემიით აღინიშნა.

გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული მწერლობის ცოცხალ კლასიკოსს, ბატონ ჯაბუა ამირჯვლის დიდად გავამართლა, რომ სწორედ თქვენ ავიჩინათ ცხოვრების თანამგზავრად. მის ტრიუმფალურ მწერლურ წარმატებებში ზომ თქვენი, მისი უერთგულესი მეუღლისა და თანამებრძოლის, დიდი წვლილიცაა.

შინაგანი არისტოკრატიზმი და კეთილშობილება გამოგარჩევთ სხვათაგან.

ქალბატონო თამარ!  
კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ და უღალატო კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, დიდ ადამიანურ სიხარულს გისურვებთ ჩვენთვის აგრეთვე ძვირფას თქვენს ოჯახთან ერთად.

**სამართლმოს  
მეგობართა კავშირი**

## პასტანგ ახვლედიანი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მტკიცებულ და ნაწილობით განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე პასტანგ ახვლედიანი.

თელი თავისი შეგნებულ ცხოვრება ვახტანგ ახვლედიანს აჭარბა – საქართველოს უღამაზეს, უმშვენიერეს კუთხეში გაატარა. იგი ღირსეული შთამომავალი იყო იმ დიდი ქართველებისა, რომლებიც თვალისწინებით უფრო თხილდებოდნენ მშობლიური მიწის სანახებს და დამპყრობელთა სამსწლოვანი ბატონობის დროსაც კი კარგად იცნებდნენ დღესამშობლოსთან მიერთების იმედს. ვახტანგ ახვლედიანს სრულად ჰქონდა გასივრცელებული მწერლის ისტორიული მისა აჭარაში და თავგანწირვით იცავდა იმ ბასტიონებს, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობის სიმტკიცე და დუღაბი ჰქვია.



ბა 1967 წელს შედგა, როდესაც კრებულში „სათავეებთან“ დაიბეჭდა მისი პირველი ნოველა „მანანა“. მას შემდეგ მწერლის რომანები, ნოველები, მოთხრობები, მხატვრული თარგმანები, ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ვახტანგ ახვლედიანის პროზაული და პოეტური კრებულები, ისეთები, როგორცაა „ბომბი“, „ბერიკაცები“, „სივრცე“, „მოტაცება“, ორტომეული „იღუმალის მათი“, „დალი ქვარიანის შეცდომა“, „კალთისხევის საღუმლოება“, „ფერიცვალება“, „ნათია“, „სიყვარულის ავტორაფი“, ქართველი მკითხველის დამსახურებული აღიარებით სარგებლობს. მისი პიესები „მეგობრობის ძალა“, „სტუმრები ზღაპრების ქვეყნიდან“, „აჭარული ჩანახატები“ წარმატებით დაიდგა ქართული თეატრების სცენაზე.

ვახტანგ ახვლედიანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ლიტვურ, თურქმენულ, ბულგარულ, სლოვაკურ, ფინურ, რუსულ, სომხურ, ტაჯიკურ ენებზე. მან თავადაც ჩინებულად თარგმნა უცხოური მწერლობის არაერთი წარმომადგენლის ქმნილებანი.

ვახტანგ ახვლედიანის დედალი სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენითა და ბულგარეთთან მეგობრობის ოქროს მედლით. მინიჭებული ჰქონდა აბუსერიძის ტბელის, აკაკი წერეთლის სახელობის, ჟურნალ „პოსტ-ქართლისის“ პრემიებით. იყო აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ვახტანგ ახვლედიანი მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ. ჩინებულ მხატვარს სუთი პერსონალური გამოყენა ჰქონდა მოწყობილი. ბრწყინვალე ვოკალისტი გახლდათ და პროფესიულ დონეზე ასრულებდა კლასიკურ რომანსებს.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემასოვრებათ ვახტანგ ახვლედიანი – ძვირფასი კოლეგა, შემოქმედი, მამულიშვილი.

**სამართლმოს  
მეგობართა კავშირი,  
სამართლმოს  
მეგობართა კავშირის  
აჭარის ორგანიზაციის**

## მართალი ქაჯი

მიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბატონი გელა ნიკურაძე.

გელა ნიკურაძე – ეს იშვიათი პატიოსნებით გამოჩენილი მამულიშვილი მუდამ ქედმოხურვალად იდგა თავისი საფიცარი მამულის სადარაჯოზე. მისი ცხოვრება ერთი დიდი წიგნია, ნათელი სურათებითა და ბიოგრაფიით. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უსაზღვრო პატიოსნებითა და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა თავის მოვალეობას, თავდაუზოგავად იღვწოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ამასთან იგი უძღვებოდა დიდ და ღამაზ ოჯახს, რომელიც უსპეტაკი ფურცელია მისი „ცხოვრების წიგნისა“.

ლი მისეული სიტყვებით ამომთქვაო, – წერდა ბატონი გელა დიდი პოეტის, მუხრან მაჭავარიანისადმი მიძღვნილ წერილში და ახლაც თვალწინ გვიდგას მის მიერ გულწრფელი ემოციით წაკითხული ლექსები, განსაკუთრებით „მწი, სისხლი ჩემო!“.

„მიცვალბულთა ბატონიც“ უწოდეს ბატონ გელას, მუდმივად მიცვალბულთა პატიემებების გამო. მისი თაოსნობით გამართული ხსოვნის საღამოები ამის დასტური გახლდათ, რომ ეს ადამიანი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და იშვიათი ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა.



ბატონი გელა სისხლბორცველად გახლდათ დაკავშირებული მშობლიურ სოფელ ტყვირთან, რომელიც აბაშის რაიონში მდებარეობს.

„...თუ რამ ამაღლებული და ღირსსახსოვარია ჩემში, უპირველესად ჩემი უკეთილესი მშობლებისა და შემდგომ ჩემი ღამაზ სოფლის – ტყვირის დამსახურებაა. ყველაზე დიდი მეგობრები და ნათესავები ჩემი ტყვირელი მეგობრებია ჩემთვის. ტყვირთან წამითაც არ გამოწყვეტია კავშირი, როცა იქ არა ვარ, მაშინაც იქ ვარ, სინამარშიც ტყვირელი ვარ და მიცვალბულიც მის მიწას მივებარები.“ – წერდა ერთ-ერთ წერილში სულმნათი.

ცალკე თემა გელა ნიკურაძის დამოკიდებულება და ურთიერთობა ეროვნულ მოძრაობასთან. ზეიად გამსახურდაას უღალატო და პრინციპული მხარდამჭერი არაერთგზის გახლდათ უკანონოდ რეპრესირებული და დევნილი სისხლით მოსული ხელისუფლებისგან, თუმცა ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ არასდროს შეუწყვეტია.

„დიდი მუხრანის პოეზია შემაძლებინა სამშობლოს ერთ აუწერელი სიყვარუ-

ბეერი რამის მოგონება შეიძლება გელა ნიკურაძის ცხოვრებიდან, ამ სიკეთითა და და სიყვარულით დამაშვრალ ქართველზე, მეგობარზე, მეოჯახზე, მოღვაწეზე დაუსრულებლად შეიძლება ღამაზარაკი... გვენანება მისი ადრეული გადავანება ზეცათა საუფლოში და, ისღა დაგვრჩენია, მივეფეროთ, მივეუსამძიროთ განუთხოველი დას, უსაზღვროდ დამწუხრებულ ცოლ-შვილს, ახლობლებს და საკადრისი პატივით მივებაროთ მიწას მშობლიურ სოფელში, საყვარელი მამის გვერდით.

ნათელი დაგადგეს, კარგო კაცო, ღირსეული მამულიშვილო და ჩვენო დაუვიწყარო, მართალი მეგობარო!

**წუხილით და პატივისცემით  
ნემო ბურჭულაძე, გურამ აბსანაძე, როზარტ აპტარიანოვი, ვალტერ შურაღია, შურამან ზაპარია, ჯემალ შონია, ვალერი გაბელია, გოჩა ბიჭიაშვილი, ვია მუსხია, დავით შაშუაძე, ზაზა ქვიანავა, ზაურ ჩაჰანავა, ლუარა გამყრალიძე, ირინე ტალიაშვილი, პახა ქვიანავა, დავით ზაჰარაია, თორნა ზაჰარაია, ვაჟა ბაჰაბია, ჯემალ ნიკურაძე, გულიკო ხარჩილავა**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია დრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი და საზოგადო მოღვაწე **პასტანგ ახვლედიანი** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის **გელა ნიკურაძის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



# 'saerTo gazeTi~ iuridiul i konsul tacia



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კეკელიძე.**

**ტელ.: 2 79 63 91;**  
**0 790 60 64 69;**  
**5 93 78 64 69**

**\*\*\***

– შეტანილი მაქვს განცხადება შეიქმნას ანგარიშის შენახვაზე. მიიღეს, რომ თავსებადობის საკითხი უნდა გაირკვეს. გთხოვთ, მიპასუხოთ, ვინ ადგენს თავსებადობას და რა იგულისხმება მასში?

– თავსებადობას ადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს სოციალური მუშაკი, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას სასამართლოში წარსადგენად.

თავსებადობის დადგენისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- ასაკობრივი სხვაობა, რომელიც მშვილბუღისა და გასაშვილებელ ბავშვს შორის უნდა იყოს, არანაკლებ 16 წელი;
- ბავშვის თანხმობა, თუ მან მაინც 10 წლის ასაკს;
- საჭიროების შემთხვევაში, მშვილბუღისა და გასაშვილებელი ბავშვის ეთნიკური და რელიგიური წარმომადგენლობა;
- სხვა კრიტერიუმები, რომელსაც

შემცირების, ხანგრძლივი შრომისუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო.

**\*\*\***

– 6 წლის წინ გარდაიცვალა ჩემი ძმა. მისმა ვაჟმა სამკვიდრო მიიღო. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჩემს ძმას დაუტოვებია ანდერძი შინაურული ფორმით, რომელიც ქონებას უტოვებდა როგორც ვაჟს, ისე გათხოვილ ქალიშვილს თანაბარ წილად. ვაჟს კი ეს ანდერძი გაუნადგურებია. შეიძლება თუ არა, გათხოვილმა ქალიშვილმა სასამართლო წესით მიიღოს თავისი წილი?

– ანდერძის განადგურება ვაჟის უფლებას მემკვიდრედ ცნობის საფუძველია. უფლებას მემკვიდრედ ცნობა სასამართლოს პრეროგატივაა.

მაგრამ აქ ჩაერთვება ვადა კერძოდ, პირის უფლებას მემკვიდრედ ცნობის მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ 5 წლის განმავლობაში ამ პირის მიერ მემკვიდრეობის მიღების დღიდან. თუ ეს ვადა გასულია, თქვენი გათხოვილი დისშვილი ქონებას ვეღარ მიიღებს.

აქვე გეტყვით, რომ ამ უკანასკნელს შეეძლო, როგორც I რიგის მემკვიდრეს, მიეღო ქონების ნახევარი სამკვიდროს განხილვისთანავე. როგორც ჩანს, მან თავიდან უარი თქვა ქონების მიღებაზე და ძმამ ამიტომაც მიიღო სამკვიდრო მთლიანად.

**\*\*\***

– ვარ მარტოხელა დედა. მყავს შვილი, რომელიც შემქმნა არარეგისტრირებული ქორწინებიდან. მის დაბადების მოწმობაში მამის ვინაობა არ არის დაფიქსირებული. მსურს სარჩელის შეტანა სასამართლოში მამობის აღიარების შესახებ. ბავშვი ჩემს ვეგანს ატარებს. არის მე-9 კლასში და მას არ სურს ვეგანის გამოცვლა. შესაძლებელია თუ არა მამობის აღიარების შემთხვევაში ჩემმა შვილმა არ მიიღოს მამის გვარი?

– დიახ. ეს შესაძლებელია, თქვენ სარჩელით შეგიძლიათ მოითხოვოთ მხოლოდ მამობის აღიარება.

**\*\*\***

– შეტანილი მაქვს სარჩელი სასამართლოში განქორწინების შესახებ. ყოფილმა მეუღლემ განმიცხვავა პირად საუბარში, რომ ალიმენტის გარდა, ჩვენს შვილებს ერთ თეთრსაც არ მოაწოდებს. ეკუთვნის თუ არა ალიმენტის გარდა შვილებს რამე?

– ალიმენტი განკუთვნილია ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ხარჯებისათვის. ამასთან, მშობელს შეიძლება, ასევე, დაეკისროს დამატებითი ხარჯებში მონაწილეობაც, რომელიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებით, მაგალითად, ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და ა.შ.

**\*\*\***

– ჩამორთმეული მქონდა დედობის უფლება. ჩემი შვილი გაშვილდა. შემიძლია თუ არა მისი დაბრუნება?

– არა. მშობლის უფლება-მოვალეობის აღდგენა არ დაიშლება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა.

**\*\*\***


– ბავშვი, რომელიც არ დაბადებულა, არის თუ არა მემკვიდრე?

– არის. ამ შემთხვევაში ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ჩასახული მემკვიდრე ცოცხალი დაბადოს მამკვიდრების გარდაცვალების შემთხვევაშიც. სამკვიდროს გაყოფა მოხდება ბავშვის დაბადების მერე.

ყო სხვა რამეც, რაც მე ძალიან მაშფოთებდა. თბილისში მოულოდნელ გამოფრენამდე ცოცხალი ადრე სპორტდარბაზში ვარჯიშისას მე მარცხენა ხელის უსახელო თითი დაეზიანა. ის ძალიან გამისივდა და ხელი მუშტად აღარ იკრებოდა. ადგილი, საიდანაც მე თვითმფრინავში უნდა შემეღწია, ძალიან მაღლა იყო, წინასწარი გაანგარიშებით იქ საავარიო ფალის, უბრალოდ რომ ვთქვათ, თოკის მეშვეობით უნდა ავცილებულიყავი. მთელი ეს დრო ველავდი, ასეთი ხელით ამ სიმაღლეს როგორ დავძლევე. მე გამალებით ვეძებდი გამოსავალს იგი მოიძებნა არცთუ დიდი ტექნიკური მოწყობილობის სახით, რომლის მეშვეობით განსაკუთრებული ფიზიკური ძალისხმევით გარეშე შეიძლებოდა ამოცანის გადაწყვეტა. ამან მე რამდენადმე დამამშვიდა.

როდესაც ბორტზე შეღწევის ბრძანება მოვიდა, ფსიქოლოგიურმა დაძაბულობამ უმაღლეს, კრიტიკულ წერტილს მიაღწია. ასეთ დროს შენგან დამოუკიდებლად შენს ახლობლებზე იწყებ ფიქრს. მე მოულოდნელად გავაცნობიერე, რომ მყავს პატარა ვაჟი და მისთვის ცხოვრება მამის გარეშე მძიმე იქნება. რომ ის ორი დამნაშავე ხელფეხმარებით ზის პირველი სალონის ბოლოში სახით კაბინისკენ, ესე იგი, იმ მხარეს

რამდენიმე წუთის შემდეგ შტაბმა ბრძანება გასცა: „შეტვეაზე!“ მე კარებს საკეტი მოვხსენი, ღრმად ჩავისუნთქე და მკვეთრი ბიბიტი ვცადე მისი გაღება, მაგრამ... გარეშად რაღაც მიშლიდა. მხრით რამდენჯერმე დარტყმა მომიწია.



# 'al fa~ Tbil isSi mi frinavs~

იყურებთან, საიდანაც უნდა გამოვიდოდა მე ჩემს მოიერიშე გუნდთან ერთად. ელემენტარული ლოგიკა მკარანახობდა, თუ ხელფეხმარებს ისერიან, რა, თქმა, უნდა, არა საკუთარ ფეხებთან, არამედ სალონის დასაწყისისაკენ, ესე იგი ჩვენსკენ ისერიან. თუ სასროლი იარაღისგან ჩვენ როგორღაც დაცულები ვიყავით, ხელფეხმარებს ამ დახურულ სივრცეში ვერ გავეცქვიოდით, ნამსხვრევი თუ არა, დარტყმითი ტალღა აუცილებლად მოგვწვდებოდა. შესაძლო დაღუპვის აზრი რეალურად მქონდა.

პოზიციების დაკავებისას, ჩვენ წინასწარ მოვლავარაკეთ ურთიერთშორის, რომ თუ ჩვენგან ვინმე დაიჭრებოდა, იერიშის მონაწილეები მას კი არ ეცემოდნენ დასახმარებლად, არამედ ოპერაციას გააგრძელებდნენ. დახმარება შემდგომ გაეწეოდა. მთავარი იყო შეტაკების წარმატებით დამთავრება, რაც დაჭრილის ხსნის გარანტიაც იქნებოდა.

... გავნაწილით ახლა: მე პირველი მივდივარ, ჩემს შემდეგ – ვიტალი დემიდიკინი, მესამე – ვალოდია სერეგინია.

შტაბის ბრძანებით გადაადგილება დაიწყო. ვიცოდი რა ამ ტიპის თვითმფრინავის კონსტრუქციული განსაკუთრებულობები, მე ვხვდებოდი, ჯავშანდაცვიან, ჩემი კომპლექსით, სხვისი დახმარების გარეშე, იქ, სადაც განსაზღვრული იყო თვითმფრინავში შეღწევა, ვერ შევიდოდი.

მომიწია წინ ჩემი „მინიატურული“ ამხანაგების გაშვება, რომელთაც შემდგომ მეც თან შემადგერინეს.

... პირველი, რასაც ჩემი ხელები შეეხნენ, იყო ბორტმექანიკოსის გაციებული სხეული. გვაში გვერდზე გადავწვიეთ, წინ წავედით, სანამ არ დავინახეთ ეკიპაჟის დაჭრილი მეორე წევრი (მოგვიანებით ის საავადმყოფოში გარდაიცვალა). რომ დავეინახა, მან ჩურჩული დაიწყო, რათა პილოტთა კაბინის კარი არ გაგვეღია, თორემ დაგვზოცავდნენ. ეს აზრი, რომ ვინმეს კარები არ გაეღო, როგორც ჩანს, მას მოსვენებას არ აძლევდა. მე დამცავი საშუალებების, იარაღის, ყველაფერის რაც ჩემს ეკიპირებაში შედიოდა, ჩაცმა დავეწვიე. ამ დროს შტაბიდან რაცინით რამდენჯერმე იკითხეს მზად ვარ თუ არა ჩვენი მოქმედებისთვის. მე, ჩემის მხრივ ვთხოვდი მოეთმინათ, რომ ჩვენ საფუძვლიანად მოვზადებულიყავით, მოგვერგო აღჭურვილობა. ჩემი თანამებრძოლები იმავდროულად თვითმფრინავის სალონზე დაკვირვებას ახდენდნენ, არკვევდნენ თუ იქ რა ხდებოდა. მათ დაინახეს, რომ ქალი, რომელსაც პატარა გოგონა წაართვეს, პერიოდულად კარებს ადებდა, გარეთ იხედებოდა და, რაღაცას ყვიროდა. ჩვენ გარკვევით მხოლოდ ბავშვის სახელი გვესმოდა.

მე მივედი კარებთან, გავაღე ჩამკეტი, რომ შემემოწმებინა, ხომ არ იყო იგი ბლოკირებული შიგნიდან. შევაღე, ისევ ფრთხილად დავკეტე. კავშირით მოვახსენე: „გუნდი იერიშისთვის მზად არის!“

როგორც შემდგომში გაირკვა კარები გაკვდა შტურმანის მიერ მოკლული ტერორისტის გვამმა, რომელიც იქვე ესვენა. როგორც იქნა მოვახერხე გვამის გაწევა და სალონში შეღწევა.

შეტვეას თან ახლდა სპეციალური შუქ-ხმოვანი ყუმბარების ავეთქება, რომელნიც გაუცნობიერებლებზე ძალზედ ეფექტურად მოქმედებდა. შესასვლელში ვიღაც ზორბას შევეჯახე, რომელმაც კინაღამ ძირს დამცა. მოფიქრების დრო არ იყო და ილეთით იატაკზე დავავწვიე. შემდეგ ვამაყობდი, ნებისყოფა რომ მეყო, რათა არ მესროლია. წაქეველმა დაიფიცა, რომ ის მგზავრია და მართლაც მასზე ჩვენ ვერავითარი იარაღი ვერ აღმოვაჩინეთ.

ჩემმა ბიჭებმა მას თვითმფრინავის დაუყოვნებლივ დატოვება უბრძანეს. იგი იმავე წამს ხოხვით მივიდა თვითმფრინავის კარებთან გაალო და ტომარასავით მხარდამჭერი გუნდის მებრძოლებს ჩაუვარდა ხელებში. მიუხედავად იმი-სა, რომ დაუშავებლად ჩამოხტა, მინც დიდ შარში მოხვდა. თვითმფრინავთან მყოფმა მილიციისა და საქართველოს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა „ჩამოვარდნილი“ ტერორისტად მიიღეს და ცემა დაიწყეს. საჭირო განდა სნაიპერთა გუნდთან ჩვენი თანამშრომლების ენერგიული ჩარევა, რომ ეს დაუშასურებელი ანგარიშსწორება შეწყვეტილიყო.

მაგრამ ეს ყველაფერი ზურგს უკან ხდებოდა. მე სალონში შევიჭერი...

პირველი რაც დავინახე, იყო ქალი რომელიც გზაზე მედობებოდა. სავარძლებს მიკრულმა დამიყვირა: „არ მომეკაროთ! თვითმფრინავთან ერთად ავფეთქდები!“ მე ვიფიქრე, რომ ჯობდა ბედი არ გამომეცადა, რადგან ასსლურტურად გაურკვეველი იყო, ჰქონდა თუ არა მას ასაფეთქებელი მოწყობილობა, თუ აქვს. ვის და როგორ შეუძლია მისი მოქმედებაში მიყვანა. ამიტომ გადავწყვიტე იგი თვითმფრინავიდან გამეძეებინა. ბრძანებისათვის საჭირო სიტყვების ძებნის დრო არ იყო. ჩემს უკან მომავალმა ბიჭებმა ის სწრაფად და პირდაპირ შეასრულეს – დამნაშავე ქალი მხარდამჭერი გუნდის ბიჭების ძლიერ ხელებში ჩაადგეს, რომელთაც ესმოდათ თუ რა ხდებოდა თვითმფრინავში, იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე.

მრავალსაათიანი ფსიქოლოგიური პრესინგით, გატანჯული, შუქ-ხმოვანი ყუმბარების ავეთქებითა და ჩვენი ყვირით, „დაწვიეთ!“, „ყველა დაწვეს!“, „ხელები თავს ზემოთ!“ შეშინებული მგზავრები სავარძლებს ქვეშ იკვივდნენ. ამიტომ, როდესაც გასასვლელით ამ ადგილისკენ წავედი, სადაც, ჩვენი აზრით, ტერორისტები უნდა ყოფილიყვნენ სალონი ცარიელი მომეჩვენა.

ავარიული განათების ბინდუნდში მარჯვენა კუთხეში თავისუბლიანი ჭარბაგი მამაკაცი შევაჩინე. ეს იგი მიჩინეის ტერორისტებმა ლაინერის მცველად და თავში ბოთლი ჩაარტყეს.



სოციალური მუშაკი საჭიროდ ჩათვლის. (მაგალითად, ოჯახის წევრების შესწავლა, ხომ არ არიან მშვილბუღები ლოთები, ნარკომანები, კრიმინალები და ა.შ.).

**\*\*\***

– არის თუ არა და I რიგის მემკვიდრე?

– არა. I რიგის მემკვიდრეები არიან მეუღლე, შვილები, მშობლები, და, არის II რიგის მემკვიდრე.

**\*\*\***

– ვმუშაობ საჯარო სამსახურში, ვარ ფეხმძიმედ, ჩემი შტატი შემცირდა და გამათავისუფლეს სამსახურიდან. რამდენად კანონიერია ეს?

– უკანონოა. საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალი არ შეიძლება გაათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების

# ყველაზე ადრისიანები

ჩვენ გვგონია, რომ ყველაზე ადრისიან შეყვარებული ადამიანები არიან, ხოლო ცხოველები ინსტინქტებით მოქმედებენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ არის.



### კატები

შეგიძნევათ გაზაფხულზე, მარტში, კატების უცნაური ხმა? კატების კონცერტი? ეს „მშვენიერ“ ქალბატონს – ფისუნის ეკუთვნის, ხოლო ხმები იმის გარდა, რომ კატების სიყვარულს აღნიშნავს, ამავე დროს გაზაფხულს მოასწავებს. ზამთრის მოღუბნული ცხოველებისგან თავდაღწეული კატების ტვინში სისხლის დიდი რაოდენობა აგროვებს სისხარულს პორმონ – სეროტინს. ააქტიურებს ენდორფინებს, რომლებიც 10-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ოპიუმი. ენდორფინების ზემოქმედებით სასქესო ორგანოები აღივსება.

პაბლო პიკასო ამბობდა, რომ მას სერიოზული დამოკიდებულება ჰქონდა კატებთან: „ვეგილები ორსულ კატებს, ყოველთვის კმაყოფილი და იღუმალი სახე აქვთ. აი, სიმბოლო ნაყოფიერებისა და სიყვარულისა. ვაფასებ კატებს“...

### შიგადაშიგ ბონობო



მათ პირდაპირ ტიპიურ პიპებს უწოდებენ. ნებისმიერ პრობლემას ისინი სექსით აგვარებენ. ბონობო ჩვეულებრივი „ფრანგული“ კოცნით კოცნის პარტნიორს, იყენებს ყველა შესაძლო სექსუალურ სიამოვნებას. ეს მაიმუნები ევოლუციის სექსუალურ სიურპრიზებად ითვლებიან. ისინი ერთადერთნი არიან მსოფლიოს ცხოველებს შორის, რომლებიც მზად არიან სექსი იქონიონ „მისიონერული პოზიციებიდან“. ბონობოს შეუძლია სექსი ყოველ ნახევარ საათში იქონიოს. ფრანს დე ვალი, ბონობოს ხასიათების შემსწავლელი ფიზიოლოგი თავის დაკვირვებას გადმოგვცემს. „ისინი თითქმის ისე იქცევიან, როგორც „კამასუტრაში“...“

საინტერესოა ის, რომ ბონობოები არასდროს ჩხუბობენ საკვების გაყოფისას. ნაყოფით სავსე ხეები მათ სექსუალურ ფანტაზიებს უღვივებთ, ისე, როგორც პრეინციპალურ ფრანგული რესტორანი.

ერთი სიტყვით, ეს მაიმუნები ცხოვრობენ იმ უტოპიაში, როგორც ოცნებობდნენ პლატონი და ალექსანდრა კოლონტაი.

### დელფინები



ის, რომ დელფინები მაღალინტელექტუალურები არიან, ახალი არ არის. ისინი ისევე, როგორც ადამიანები, მზად არიან ფიზიკური კონტაქტი იქონიონ მხოლოდ მამის, როცა შთამომავლობის გაგრძელება სურთ და არა უბრალოდ, სიამოვნებისთვის. როგორც წესი, მამრი დელფინები ცხოვრობენ ცალკე მდებარეობისგან განსაკუთრებით.

საქორწილო პერიოდი განსაკუთრებულია იმით, რომ მამრი გამოიწვევს მდებარე დელფინის „საცეკვაო“. იგი გარს უკლის მდებარე ნაზად და ახებს მას ფრთხილად ცხვირს, კუდს, ფარფლებს. შეყვარებული მამრები თავის რჩეულებს ჩუქნიან – ნიჟარებს, თევზებს, ზღვის პროდუქტებს, რომლებიც მათთვის სპეციალურად ამოაქვთ ზღვის სიღრმიდან. მიუხედავად იმისა, რომ დელფინები პოლიგამიურები არიან, მამრებს შეუძლიათ იბრძოლონ „ქალის“ გულის მოსაგებად. სექსი მათ ღვთისმთავრად შეუძლიათ.

### არგენტინული ტანის იხვი

მამრი არგენტინული ტანის იხვი ძალიან თავშეკავებულია. მას ყველაზე დიდი სასქესო ორგანო აქვს მეცნიერებაში დღეს-დღეობით ცნობილ ფრინველებს შორის. მისი სპირალური ორგანო 33-45 სმ-ია.



იხვების უმეტესობა სტაბილური წყვილები არიან. მდებარე იხვთა უმეტესობა უფრო მეტად აფასებს მათ, ვისაც უფრო მეტად გრძელი ორგანო აქვს.

### ლორები



ასეთ საოცრებებს კაცობრიობაც ვერ წარმოიდგენდა. ლორები ყველანაირად ცდილობენ მიანიჭონ სისხარული მეგობარს. მით უმეტეს, რომ ორგანოში მათთვის ნახევარ საათზე მეტ ხანს გრძელდება.

როგორც წესი, ლორებს ჰარემი აქვთ. საინტერესოა ის, რომ ახალგაზრდა ტანები სექსუალურ ურთიერთობებს ერთი წლის ასაკიდან იწყებენ.

### გაღვიძი

ამ ფრინველების სიყვარულზე ლეგენდები დადის. ისინი ტრადიციულად სიყვარულის სიმბოლოდ ითვლებიან. გელები 100 წელიწადს ცოცხლობენ. ასე, რომ, შესაძლებელია, „ბრილიანტის ქორწილიც“ კი გადაინადონ, რადგან თუკი ერთხელ მაინც შეწყვიტეს აირჩევენ, მისი ერგულები არიან მთელი ცხოველების განმავლობაში, სანამ ერთ-ერთი მათგანი არ გარდაიცვლება. გელების საოჯახო ცხოვრება სავსეა ნაზი ზრუნვით, მეგობრობით.



რამდენიმე ხნის წინ საფრანგეთში შემადრწუნებელი ისტორია მოხდა ბულონის ტყის ფრინველებს შორის. ერთ-ერთი გედი კინაღამ გარდაიცვალა მეთევზის მიერ გადაგებული ანკესის მოწყობილობით. საქმეში პოლიცია ჩაერია, რადგან მეწყვილე გედი თვითმკვლელობამდე მივიდა.

დაურეკეს ვეტერინარს. დაზარალებული გედი რომ სამკურნალოდ წაიყვანეს, მამრი ადგის ვერ პოულობდა. მისი მეუღლე გადარჩა. დღეს მზრუნველი ქმარი თითქმის კანკალებს, როცა ნაპირზე ანკესიან კაცს დაინახავს.

### მომზად ანა პალატორიანა

**ქ. ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი**

საქართველოში არსებული ყველა საკათედრო ქსელიდან და მობილური ოპერატორიდან 0 901 800 800

**გთხოვთ დარეკოთ**

**წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი**

საქართველოში არსებული ყველა საკათედრო ქსელიდან და მობილური ოპერატორიდან 0 901 901 901

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგენავთ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გნამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მაგლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნი, ერთად ღვთისავენ!

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაქლიეროთ!**

## ასკროლოგიური პროგნოზი

- მირამი** - ძაღლების მოზიდვას იგრძნობთ. იოლად და სწრაფად გადალახავთ ნებისმიერ დაბრკოლებას. მოაგარია, საკუთარ თავზე უფრო მეტი არ იტვირთოთ, ვიდრე შეგიძლიათ. მეგობრები და მეზობლები თქვენი ხშირი სტუმრები იქნებიან.
  - კურო** - საზოგადოებასთან და პარტნიორებთან კარგ ურთიერთობას დაამყარებთ. თქვენი გეგმების განსახორციელებლად შეიძლება გარკვეული საიდუმლო ზერხები გამოგადგოთ.
  - ტყუპები** - გაგიჩნდებათ სურვილი, თქვენი აზრები მეგობრებს გაუზიაროთ. მთელი თქვენი გონება მიმართული იქნება ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად.
  - პირჩხიბი** - დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ გულახდილი საუბრები და მეგობრებთან ერთად ქალაქარე გატარებული სადამოები. შეიძლება ახალი ნაცნობებიც გაგიჩნდნენ.
  - ლომი** - ამჯერად, ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენთვის თანამოაზრებთან ურთიერთობა იქნება. თანამოაზრებთან დიდი ავტორიტეტით ისარგებლებთ და შეიძლება, მათ აროფიციალურ ზღვრებში გადმოვიდეთ.
  - ქალწული** - ამ დღეებში ბევრს იფიქრებთ საკუთარ წარსულზე და ცხოვრების აზრზე, რის გამოც ძალზე მგრძობიარე გახდებით.
  - სასწორი** - პარტნიორული ვალდებულებები შეგობოკით და დაბრკოლებებს შეგიქმნით. ყურადღება გამართეთ ფინანსური ზღვრებების დაცვისას.
  - მორიმი** - შექმნილი ვითარება აქტიურ ქმედებას მოგთხოვთ. თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან.
  - მშვილდოსანი** - იძულებული იქნებით, პირადი საქმეებით დაკავდეთ. საინფორმაციო პარტნიორთან უსიამოვნო საუბარი გელოთ. სამაგიეროდ, გაგიმართლებთ ბიზნესში. თამამად წამოიწყეთ ახალი საქმე.
  - თხის რქა** - მოგეცემათ პროფესიული წინსვლის შანსი. მიზნის მიღწევაში ხელმძღვანელები დაგეხმარებიან. მოცემული პერიოდი ხელსაყრელი იქნება ბიზნესმენებისთვის, პოლიტიკოსებისა და ადმინისტრატორებისთვის.
  - მირწმუნე** - ეს პერიოდი შემოქმედებითად ნაყოფიერი იქნება. პარტნიორები მოგვებინან შემოთავაზებთ მოგმართავენ. გამოავლენთ ნიჭსა და კარგ მონაცემებს. არ არის გამორიცხული, სათანადო პარტნიორსაც შეხვდეთ.
  - თმწმუბი** - დროს სასამონოდ გაატარებთ. ადვილად დაამყარებთ კავშირს ადამიანებთან და არაერთ ახალ მეგობარს შეიძენთ. უშუალოდ და საზრიალოდ მიმოიღველობას შეგმატებთ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა თვალში.
- ამავე ნომრის სპანსორის პასუხმართ:**  
სპანსორი  
1. კოწიხური. 2. გვარლი. 3. ამუნდსენი. 4. აბაზანა. 5. ბროდვი. 6. ვაიმარი. 7. აბორდავი. 8. წყალტუბო. 9. კანადა. 10. კაშხალი. 11. ვუბი. 12. ქრისტეფორე. 13. პითაგორა. 14. გვარია. 15. ფიჩხი. 16. კარლიკი. 17. თოჯინა. 18. მგერელი. 19. პულმანი. 20. კამაყე. 21. სლაბო. 22. მაჯა. 23. ლეკური. 24. კეპი. 25. არსენა. 26. მირნი. 27. ლოქო. 28. თქვაგა. 29. ფრენელი. 30. ქრეში. 31. პინცეტი. 32. კარიბი. 33. ვეიბა. 34. დასლი. 35. პრემიერა. 36. ასისთავა. 37. ვეჭტა. 38. ორინტა. 39. სუკუშინა. 40. ზოტივარი. 41. კოლიზია. 42. ბანკომპტი. 43. დისკო. 44. კიმი. 45. კონსოლი. 46. ოფოსკოპი. 47. სოლი. 48. კალგერა. 49. შარაპოვა. 50. ინდუსტრია. 51. სრა. 52. კასანდრა. 53. მოია. 54. დოლი. 55. ბორკა. 56. პანანა. 57. ოსპი. 58. ამერი. 59. ჯაგელი. 60. მიკოპი. 61. როზი. 62. პასატი. 63. კვერი. 64. სევილია. 65. გრემი. 66. ლანგი.